

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიუბელი

1. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

მოპასუხის უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	4
საჯარო რეესტრის მოქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	24
ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა	47
ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოსა და საკომისიო თანხის დაკისრების საფუძველი	77
ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობის დადგენა ...	130

2. მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი

მორალური ზიანის ოდენობის შემცირება	162
საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა	174

1. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

მოქალაქის უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-14(კ-23)

1 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ბ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოქალაქე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული მოთხოვნა), დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოსარჩელე ვ. ბ-ის სასარგებლოდ, იძულებითი განაცდური ხელფასის – თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურების დანამატისა და წოდებრივი სარგოს ანაზღაურება, 2018 წლის 8 აგვისტოდან 24 თვის განმავლობაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულებამდე), სულ ხელზე ასაღები – 46 080 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, ვ. ბ-ის წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დანესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში. 2018 წლის 8 აგვისტოს №პ/277 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან. ვ. ბ-მა 2018 წლის 2 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეების – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

ტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2018 წლის 8 აგვისტოს №3/277 ბრძანების ბათილად ცნობა, ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალება და განაცდურის ანაზღაურება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვ. ბ-ის დასაქმებასთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სამინისტრომ ხელახლა იმსჯელა მოსარჩელის მობილობასთან დაკავშირებით. 2020 წლის 14 აგვისტოს №01/2875 წერილით სამინისტრომ მოსარჩელეს შეატყობინა, რომ მის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა და უფრო დაბალი რანგის თანამდებობა არ არის ვაკანტური. შესაბამისად, მოსარჩელეს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია მისი დასაქმების საკითხის განხილვის შესაძლებლობას. სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მობილობაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ ტოლფასი თანამდებობა ვაკანტური არ არის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა კი არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში პირის დასაქმებისა და მობილობის შესაძლებლობას.

მოსარჩელის განმარტებით, იგი აღმოჩნდა ისეთ სამართლებრივ მდგომარეობაში, როდესაც მართალია, სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია მის მიმართ უკანონო გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ამ მოცემულობით მისი დასაქმება შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია იძულებითი განაცდური ხელფასის მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, სზაკ-ის 207-ე და 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლებზე მითითებით, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის უკანონო ქმედებით, კერძოდ, მობილობაზე უარის თქმით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. დაევალა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოსარჩელე ვ. ბ-ის სასარგებლოდ, იძულებითი განაცდური ხელფასის – თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურების დანამატისა და წოდებრივი სარგოს ანაზღაურება, 2018 წლის 8 აგვისტოდან, 24 თვის განმავლობაში (საქართველოს უზენაესი

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულებამდე), სულ, ხელზე ასაღები – 46 080 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, 2018 წლის 8 აგვისტოს, შტატების შემცირების საფუძვლით, გამოსცა ბრძანება მოსარჩელე ვ. ბ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და რეზერვში ჩარიცხვის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ და მოპასუხეს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; ბ) საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სამინისტრომ იმსჯელა ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის სამინისტროში ტოლფას თანამდებობაზე დასაქმების საკითხზე. სამინისტროს წერილის თანახმად, ვ. ბ-ი დასაქმებული იყო სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომლის ტოლფას თანამდებობად, ამჟამად, მიიჩნევა ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, რომელიც ამჟამად არ არის ვაკანტური. ამასთან, ფუნქციის გათვალისწინებით, სამინისტრომ იმსჯელა მოსარჩელის დეპარტამენტში დაბალი რანგის თანამდებობაზე დასაქმების საკითხზე, თუმცა, ამ ეტაპზე, შესაბამისი მიმართულებით ვაკანსია არ იყო. რაც შეეხება, სამინისტროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებს, მოსარჩელე ვერ აკმაყოფი-

ლებდა შესაბამის თანამდებობებზე განსაზღვრულ ფუნქციათა შესრულებასა და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვ. ბ-ს უარი ეთქვა დასაქმებაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თავისი შინაარსით მის უკანონობას გულისხმობს და ასეთი აქტის საფუძველზე პირის იძულებითი განაცდური ხელფასი, უკანონოდ მიყენებულ ზიანად ჩაითვლება განაცდურის სრული ოდენობით.

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებით (2020 წლის 14 აგვისტოს წერილობითი მიმართვა), სამინისტროში არსებობს მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი პოზიცია, რაც თავისთავად, უკვე მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკანონოებაზე და შესაბამისად, მოსარჩელეს უკანონოდ მიადგა ზიანი მიუღებელი ხელფასის სახით, მისი გათავისუფლების დღიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების მიღებამდე, რამაც საერთო ჯამში შეადგინა ხელზე ასაღები 46 080 ლარი. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, იმთავითვე კანონის შესაბამისად მოქმედების პირობებში, მოსარჩელე გადაყვანილი იქნებოდა ტოლფას თანამდებობაზე და მას არ მიადგებოდა აღნიშნული ზიანი. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვ. ბ-ი ტოლფასი თანამდებობის არსებობის ფარგლებში მაინც იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, სასარჩელო მოთხოვნა უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ და მოპასუხეს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით, საკასაციო პალატამ ცალსახად მიუთითა, რომ სადავო პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენდა მოსარჩელის შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან რეორგანიზაცია შტატების შემცირებით განხორციელდა მის სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულებაში – საავტომობილო გზების დეპარტამენტში. საკასაციო პალატის განმარტებით, მოხელის რეზერვში ჩარიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ. ამდენად, მობილობა უნდა განხორციელდეს არა ფორმალურად, არამედ კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, საჯარო სამსახურის უწყვეტობის, სტაბილურობისა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნების გათვალისწინებით. ვინაიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემის შემადგენელ ნაწილს, სადავო პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე, სამინისტრო წარმოადგენდა შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და აღნიშნული წარმოშობდა მის ვალდებულებას, დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის მიზეზი სათანადოდ დაესაბუთებინა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთანავე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით,

დასაბუთების ვალდებულებას არ გამოორიცხავს კასატორის მითითება მობილობის საკითხის განხილვის მომენტისათვის შესაბამისი ფუნქციების მქონე სტრუქტურული ერთეულის არარსებობის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მართალია, მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმებაზე უარის შესახებ 31.07.2018წ. აქტის გამოცემის თარიღი წინ უსწრებს სამინისტროს ახალი დებულების ძალაში შესვლის თარიღს (01.08.2018წ.), თუმცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულება, დაესაბუთებინა მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, წარმოიშვა სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა მოსარჩელისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტში დაკისრებული ფუნქციების მსგავსი ან იდენტური შინაარსის ფუნქციების მქონე ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას სამინისტრომ დაადასტურა ახლადშექმნილ საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტში მოსარჩელესთან შესაბამისობაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის ვაკანტურობა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შიდა მობილობის ფარგლებში მოსარჩელის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა სათანადო დასაბუთების გარეშე მიუთითებს სამინისტროს მხრიდან მობილობის წესის ეფექტურად გამოყენებასთან მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამოორიცხვას და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში მობილობის ინსტიტუტის დამკვიდრების მიზნის უგულებელყოფას“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია თავდაპირველად მობილობაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების დროს ფუნქციურად ტოლფასი თანამდებობის არარსებობის თაობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ აპელანტის მითითებული არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ გაიზიარა. საკასაციო პალატამ ცალსახად აღნიშნა, რომ შიდა მობილობის წესით დასაქმებაზე უარის თქმის უკანონოობის დადასტურება, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, არ გამოორიცხავს საჯარო მოხელის უფლებას, მოითხოვოს კონსტიტუციით გარანტირებული, სახელმწიფო ორგანოსგან უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დადგენილია მოსარჩელის მიმართ გამოცემული აქტების (შიდა მობილობის წესით დასაქმებაზე უარი) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე გამოცემა, ხოლო თავის მხრივ, აპელანტი მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული 2020 წლის 14 აგვისტოს წერილით მიუთითებს მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი პოზიციის არსებობაზე, აღნიშნული გარემოებები ადასტურებს აპელანტის მიერ მოსარჩელისთვის მობილობის წესით დასაქმებაზე უარის თქმის (შესაბამისი აქტების) კანონშეუსაბამობას. აპელანტის მხრიდან კანონის შესაბამისად მოქმედების პირობებში მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, დასაქმებულიყო ტოლფას თანამდებობაზე, შესაბამისად, მას არ მიადგებოდა ზიანი, მიუღებელი ხელფასის სახით (მისი გათავისუფლების დღიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების მიღებამდე, რამაც საერთო ჯამში შეადგინა ხელზე ასაღები 46 080 ლარი). ვინაიდან ვ. ბ-ი მობილობის პროცედურის დაცვის გარეშე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, აპელანტი წარმოადგენს უკანონო ქმედების შედეგად ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს და მის მიერ მითითებული გარემოებები გავლენას ვერ მოახდენს განსახილველი დავის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტის წინაპირობებზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს განმარტებას, რომ სამინისტროს მხრიდან ვ. ბ-ისთვის მობილობაზე უარის თქმის შედეგად მას მიადგა ზიანი, რომლიც ექვემდებარება ანაზღაურებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს მიერ არ ყოფილა უტყუარად დადგენილი სამინისტროს 16.07.2018წ. №2438-01 და 31.07.2018წ. №2617-01 მობილობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებებით ვ. ბ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სამინისტროს ზემოთხსენებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველად უზენაესმა სასამართლომ 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დაადგინა ამ აქტების არასაკმარისი დასაბუთებულობა და ამიტომ, მის მიერ არ მომხდარა საკითხის გადაწყვეტა, არამედ საკითხი მიიჩნია სამინისტროს უფლებამოსილებად და ცნო რა სადავო საკითხის გადაუწ-

ყვეტლად აქტები ბათილად, დაავალა სამინისტროს საქმის გარემოებათა გამოკვლევა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, რაც შესრულებულ იქნა სამინისტროს მიერ. საყურადღებოა, რომ სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს №01/2875 წერილი, რომლითაც ვ. ბ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, უარი ეთქვა სამინისტროში დასაქმებაზე, მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა. ამასთან, სამართლებრივი შედეგი ორივე შემთხვევაში დადგა ერთნაირი, კერძოდ, ვ. ბ-ი არ იქნა დასაქმებული სამინისტროში. პირველი ინსტანციის სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელიათ მიზეზობრივ კავშირზე სამინისტროს აქტებსა და მოთხოვნილ სავარაუდო ზიანს შორის.

საკასაციო სასამართლომ 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სამსახურში დანიშვნისას საჯარო მოხელეს წარმოეშობა თანამდებობრივი სარგოს გარანტირებულად მიღების გონივრული მოლოდინი. ამასთან, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც დადასტურებულია კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხელის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მოხელის სამსახურში აღდგენისა და მისთვის განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ორგანო ან სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (კანონის 118.3 და 118.4 მუხლები). თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის უკანონოდ იქნა გათავისუფლებული ან ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას. ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს. ამდენად, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მოხელის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოლოდინი უნდა დაუკავშირდეს უშუალოდ იმ ორგანოს, რომელმაც იგი თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლა. მოცემულ შემთხვევაში ძალაშია მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018წ. №პ/227 ბრძანება (არ გასაჩივრებულა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში), თუმცა მოსარჩელეს თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაყენებულია სამინისტროს სხვა უწყების მიმართ, სადაც პირი არ იყო დასაქმებული, რომელმაც მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება მო-

სარჩელის მობილობის წესით დანიშვნის საკითხზე“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მობილობის წესით დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, იმავდროულად არ ნიშნავს პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას. მობილობასთან დაკავშირებული პროცედურის დასრულების შემდგომ პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დანესებულება, რომელიც შტატის შემცირების გამო მოხელის დარჩენა შეუძლებელია“. შესაბამისად, მოსარჩელის ზიანის საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დარჩა, მაგრამ შესაძლო ზიანზე აპელირება სხვა უწყების გადაწყვეტილების გამო, რომ მას მობილობის განხორციელებაზე უარი ეთქვა, ვერ ჩაითვლება აღნიშნული ზიანის გამომწვევ საფუძველად. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ პირველ მობილობაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების დროს, აღნიშნული ფუნქციურად ტოლფასი თანამდებობა სამინისტროში საერთოდ არ არსებობდა სამართლებრივად. შეიქმნა მობილობაზე უარის თქმის შემდეგ პერიოდში, ხოლო მეორე მობილობის საკითხის განხილვის დროს, სამინისტროს ვაკანსია არ გააჩნდა აღნიშნულ ფუნქციურად ტოლფას თანამდებობაზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მცდარი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტში გათავისუფლებამდე ვ. ბ-ის დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობად ამჟამად მიიჩნევა სამინისტროს ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. ამასთან, ამ მცდარი მსჯელობიდან, თითქოსდა დადგენილი ფაქტიდან გამომდინარე, ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ აღნიშნული მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობაზე და შესაბამისად, მოსარჩელეს უკანონოდ მიადგა ზიანი მიუღებელი ხელფასის სახით, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ორივე ინსტანციის სასამართლო გასცდა დავის საგნის ფარგლებს და იმსჯელა სამინისტროს იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, კერძოდ, დავის საგანი იყო ზიანის ანაზღაურება დაკავშირებული მობილობაზე უარის თქმის პირველ გადაწყვეტილებასთან, მაშინ როდესაც სასამართლო მსჯელობს მობილობაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს მეორე გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლოს 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ: „იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს. ამდენად, თანამდებობიდან გათავისუფ-

ლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მოხელის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოლოდინი უნდა დაუკავშირდეს უშუალოდ იმ ორგანოს, რომელმაც იგი თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლა“. მოცემულ შემთხვევაში ძალაშია მოსარჩელის თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018 წ. №3/227 ბრძანება (არ გასაჩივრებულა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში), თუმცა მოსარჩელეს თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაყენებულია სამინისტროს მიმართ, რომელმაც მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება მოსარჩელის მობილობის წესით დანიშვნის საკითხზე.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ სამინისტროს მიერ არ მომხდარა მოსარჩელე ვ. ბ-ის თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლება. ვინაიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო მოხელის გაათავისუფლების შემთხვევაში, როდესაც დადასტურებულია კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხელის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, ძალაშია მოსარჩელის თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018 წ. №3/227 ბრძანება, შესაბამისად, სახეზე არ არის ვ. ბ-ის მიმართ ზიანის მიყენების ფაქტი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელ-

ლად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, 2018 წლის 8 აგვისტოს გამოსცა ბრძანება მოსარჩელე ვ. ბ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და რეზერვში ჩარიცხვის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილებები ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ იმსჯელა ვ. ბ-ის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე დასაქმების საკითხზე და 2020 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით უარი უთხრა დასაქმებაზე იმ საფუძველით, რომ ვ. ბ-ი დასაქმებული იყო სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომლის ტოლფასი თანამდებობა – ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, არ არის ვაკანტური. სამინისტრომ ასევე იმსჯელა დეპარტამენტში დაბალი რანგის თანამდებობაზე მოსარჩელის დასაქმების საკითხზე, თუმცა, ამ ეტაპზე, შესაბამისი მიმართულებით ვაკანსია არ იყო. რაც შეეხება, სამინისტროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებს, მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის თანამდებობებზე განსაზღვრულ ფუნქციათა შესრულებასა და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებას.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ სახელ-

მნიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმნიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმნიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმნიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმნიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმნიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სახელმნიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმნიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმნიფო. „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავ-

დება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული..“ (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება). ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზმდებლობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურება 2018 წლის 8 აგვისტოდან 24 თვის განმავლობაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულებამდე), სულ ხელზე ასაღები თანხა – 46 080 ლარის ოდენობით. ამასთან, ზიანს ოდენობას მოსარჩელე უკავშირებს თანამდებობრივ სარგოს, წელთა ნამსახურების დანამატსა და წოდებრივი სარგოს, რომელსაც იგი მიიღებდა მობილობის წესით დასაქმების შემთხვევაში.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, კერძოდ, ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილებები ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ სამინისტრო წარმოადგენდა შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და აღნიშნული წარმოშობდა მის ვალდებულებას, დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის მიზეზი სათანადოდ დაესაბუთებინა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სასამართლოს განმარტებით, „შიდა მობი-

ლობის ფარგლებში მოსარჩელის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა სათანადო დასაბუთების გარეშე, მიუთითებს სამინისტროს მხრიდან მობილობის წესის ეფექტურად გამოყენებასთან მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამორიცხვას და „საჯაროს სამსახურის შესახებ“ კანონში მობილობის ინსტიტუტის დამკვიდრების მიზნის უგულებელყოფას. დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში, პროფესიული საჯარო მოხელის ინტერესების დაცვის მიზნით, მხოლოდ სათანადო დასაბუთებით და კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით, გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად უნდა გამოირიცხოს საჯარო სამსახურში კადრის შენარჩუნების შესაძლებლობა“. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №2438-01 და 2018 წლის 31 ივლისის №2617-01 გადაწყვეტილებები ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში გამოცემული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე. აქტები არ შეიცავდნენ მითითებას მათი გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე, შესაბამისად, არსებობდა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მობილობის წესით მოსარჩელის დასაქმებაზე ადმინისტრაციული ორგანოს უართან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, თუმცა მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ადმინისტრაცი-

ული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემას. ამასთანავე, აღნიშნული მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამოორიცხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას (სუსგ 20.04.2006წ. №ბს-1291-866(კ-05); 18.10.2018წ. №ბს-368-368(კ-18)). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი უქმდება სადავო საკითხის გადაწყვეტლად, შესაბამისად გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობა არ წარმოშობს მოსარჩელის უფლებას ზიანის მოთხოვნის შესახებ და შესაბამისად, სარჩელი მხოლოდ ამ საფუძველზე მითითებით ვერ დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოში 2017 წლის პირველი ივლისიდან სრულად ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. ახალი კანონი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა (1-ლი მუხლი).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონით საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას, საჯარო სამსახურის სტაბილურობისა და მოხელეთა უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, გათვალისწინებულ იქნა მობილობის ინსტიტუტი.

ზემოაღნიშნული კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი

სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობით სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. ამავე კანონის 110-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის № 199 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესსა და პირობებს, მობილობის პროცესში ჩართული სუბიექტების უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს (1.1 მუხლი).

ზემოაღნიშნული წესის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მიხედვით, (1) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით; (2) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის უზრუნველყოფის მიზნით, იმავე საჯარო დაწესებულებაში ან მის სისტემაში მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიმართვიდან ერთი კვირის ვადაში ბიურო ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოიძიებს ინფორმაციას საჯარო სამსახურის სისტემაში არსებული სხვა საჯარო დაწესებულების შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ და აცნობებს მას საჯარო დაწესებულებას. ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ვაკანტური თანამდებობების მოძიებისას ბიურო ხელმძღვანელობს ტერიტორიულო-

ბის პრინციპის გათვალისწინებით; (3) იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ მოიძებნა საჯარო დაწესებულების საშტატო რიცხოვნობის შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებულ მოხელეთა თანამდებობების ტოლფასი თანამდებობები, ბიურო ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე მოიძიოს ინფორმაცია დაბალ ვაკანტურ თანამდებობებზე მოხელეთა კომპეტენციის გათვალისწინებით და გააგზავნოს მათ შესახებ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში; (8) საჯარო დაწესებულება ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ ბიუროს აწვდის ინფორმაციას მობილობის განხორციელების ან მისი შეუძლებლობის შესახებ.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 09.07.2018წ. №7051-2-01 წერილით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ეცნობა, რომ „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.05.2018წ. №119 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული რეორგანიზაციის პირობებში, დაგეგმილია დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის (სტრუქტურული ქვედანაყოფის) ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა და დეპარტამენტის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის მიღება, დეპარტამენტის შტატების შემცირება, დეპარტამენტის არავაკანტური შტატების გადაადგილება, შესაბამისი თანამდებობების ფუნქციების, იერარქიული რანგებისა და კატეგორიების შეცვლა. წერილში მითითებულია, რომ დეპარტამენტის ახალი საშტატო ნუსხის პროექტი აღარ ითვალისწინებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს – საავტომობილო გზების ...ის სამსახურებს. აღნიშნული სამსახურების გაუქმებით, მათ ბაზაზე იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული (ქვედანაყოფი) – ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახური. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილში მითითებულ იქნა, რომ საავტომობილო გზების ...ის სამსახურებში შტატების შემცირების, შესაბამისი თანამდებობების იერარქიული რანგის/კატეგორიის ცვლილების გათვალისწინებით, აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებული მოხელეები, მათ შორის, ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვ. ბ-ი განისაზღვრენ გასათავისუფლე-

ბელ მოხელეთა სიაში. დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.1 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ 12.1 მუხლის შესაბამისად, მოხელე, მისი თანხმობით შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში, მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, კომპეტენციის გათვალისწინებით. დეპარტამენტის ახალ სამტატო ნუსხაში ზემოაღნიშნულ პირთა კომპეტენციის, თანამდებობის იერარქიული რანგისა და კატეგორიების გათვალისწინებით, არ არის გათვალისწინებული მათი თანამდებობის ტოლფასი ან/და დაბალი თანამდებობა. ამდენად, დღის წესრიგში დგას ზემოაღნიშნულ პირთა შიდა მობილობის საკითხი. 09.07.2018წ. №7051-2-01 წერილის პასუხად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №2438-01 გადაწყვეტილებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხელეები. ანალოგიური შინაარსის 30.07.2018წ. №7785-2-07, №7787-2-07, №7788-2-07, №7790-2-07 და №7792-2-07 წერილების პასუხად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 31.07.2018წ. №2617-01 გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხელეები.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ „სამინისტროს ახალი დებულება, რომელიც ახალ სტრუქტურულ ერთეულად ითვალისწინებს მოსარჩელის ფუნქციებთან შესაბამისობაში არსებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტს, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №385 დადგენილებით. ამავე თარიღით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა №7792-2-01 წერილით მიმართა სამინისტროს და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიურომ სამინისტროს უწყებაში ხელახლა მოიძია შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობები, მოითხოვა წერილში მითითებული პირების მიმართ მობილობის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება. 31.07.2018წ. №2617-01 გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხე-

ლევები, ხოლო ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს – 2018 წლის პირველ აგვისტოს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №385 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს ახალი დებულება. ამდენად, მართალია, მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმებაზე უარის შესახებ 31.07.2018წ. აქტის გამოცემის თარიღი წინ უსწრებს სამინისტროს ახალი დებულების ძალაში შესვლის თარიღს (01.08.2018წ.), თუმცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულება, დაესაბუთებინა მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, წარმოიშვა სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა მოსარჩელისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტში დაკისრებული ფუნქციების მსგავსი ან იდენტური შინაარსის ფუნქციების მქონე ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას სამინისტრომ დაადასტურა ახლადშექმნილ საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტში მოსარჩელესთან შესაბამისობაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის ვაკანტურობა.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის შედავებას ტოლფასი თანამდებობის არარსებობასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც დადგენილ იქნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენდა ვ. ბ-ის შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, სასამართლოში საქმის განხილვისას სამინისტროს მიერ დადასტურდა ახლადშექმნილ საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტში მოსარჩელესთან შესაბამისობაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის ვაკანტურობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად გამოცემულ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს №01/2875 აქტში სამინისტრო ადასტურებს ფუნქციურად ტოლფასი პოზიციის არსებობას, მიუთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა 2020 წლის 14 აგვისტოს (აქტის გამოცემის თარიღი) მდგომარეობით

უკვე არ იყო ვაკანტური. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხის მიერ ვ. ბ.-ისათვის მობილობაზე უარის თქმისას, ტოლფასი თანამდებობა იყო ვაკანტური, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის უარი მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმებაზე, ეწინააღმდეგება კანონს და წარმოადგენს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ წინაპირობას. აღნიშნული უარით მოსარჩელეს მიადგა ზიანი და სახეზეა მიზეზობრივი კავშირი – მოპასუხის მიერ მობილობის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით მოქმედების პირობებში ვ. ბ.-ს არ მიადგებოდა ზიანი. მოსარჩელისთვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სწორედ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მობილობის საკითხის გადანაცვებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ კასატორი სადავოდ ხდის მხოლოდ ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობას და არა მიყენებული ზიანის ოდენობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 46080 ლარის ოდენობით.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის შედგება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული არ არის სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს №01/2875 წერილი, რომლითაც ვ. ბ.-ს უზენაესი სასამართლოს გადანაცვეტილების შემდეგ, უარი ეთქვა სამინისტროში დასაქმებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დასახელებული აქტით, მოსარჩელეს უარი ეთქვა მობილობის წესით დასაქმებაზე იმ საფუძველით, რომ იგი დასაქმებული იყო სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომლის ტოლფასი თანამდებობა – ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, არ არის ვაკანტური, ისევე როგორც დეპარტამენტში დაბალი რანგის სხვა თანამდებობა. ვინაიდან, მოსარჩელე მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ უკავშირებს თავდაპირველად მისთვის მობილობაზე უარის თქმის პერიოდში ვაკანტური თანამდებობის არსებობას, ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს №01/2875 აქტი ვერ გახდება ვ. ბ.-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელ-

ლად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ზ გ ი ნ ა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჯარო რეესტრის მოქმედებით გამოწვეული ზიანის
ანაზღაურება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-349(კ-23)

1 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 აპრილს ე. თ-იმა და ლ. ნ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 11 ივლისს, ე. თ-მა მონაწილეობა მიიღო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულ საჯარო აუქციონში, რომელში გამარჯვების შედეგად, 14 000 ლარად, შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე – თბილისი, ... შესახვევი №..., მოვალე რ. ქ-ის საკუთრებაში არსებული 1/4 წილი (ს/კ ...). მოსარჩელემ უძრავი ქონებიდან წილი აჩუქა თავის დას – ლ. ნ-ის, რომელმაც სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება.

გ., თ. და მ. რ-იები, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველზე, გახდნენ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეები, ხოლო ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკუთრების უფლება და უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკა გაუქმდა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაკისრებოდათ მოსარჩელეთათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, გამომდინარე იქიდან, რომ იძულებითი აღსრულება განხორციელდა არასწორად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საკითხი არ შეისწავლა სრულყოფილად, არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც, მოსარჩელებს – ე. თ-ისა და ლ. ნ-ის მიადგათ მატერიალური ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს 2014 წლის 11 ივლისს უკანონოდ ჩატარებული იძულებითი საჯარო აუქციონის შედეგად, უძრავი ქონების შეძენისათვის მათ მიერ გადახდილი ფულადი თანხის მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრება, აუქციონის ჩატარების დღიდან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტიდან, ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით. მოსარჩელეთა შეფასებით, ზიანის თანხა შეადგენდა 25 969 ლარს, საიდანაც 20 000 ლარი იყო ძირითადი, აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი და სხვა დამატებით ხარჯები, ხოლო 4 000 ლარი იყო იურიდიული მომსახურების ხარჯები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ იყო ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები. სათანადო წესით არ დასტურდებოდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა პირის კანონიერი უფლებების შეზღუდვა და მატერიალური ზიანი. მოპასუხეთა მოქმედებები შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. თ-იმა და ლ. ნ-იმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინებით ე. თ-ის და ლ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, 2013 წლის 13 სექტემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროში იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი №... (სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: 09.09.2013 წ. კრედიტორი – ნ. რ-ი, მოვალე – რ. ჭ-ი). აღმასრულებელმა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №13072727/28483 ბრძანების აღსრულების მიზნით, 2014 წლის 20 იანვარს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: ირიცხებოდა თუ არა რ. ჭ-ის საკუთრებაში უძრავი ქონება (მდებარე – ქალაქი თბილისი, ... შესახვევი №..., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 153.21 კვ.მ საცხოვრებელი ფართი – 124.98 კვ.მ (ს/კ:...), 1/4 ნილი); იყო თუ არა აღნიშნული ქონება დატვირთული იპოთეკით (მათ შორის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით), როდის და ვის სასარგებლოდ, სხვა სანივთო ან სახელშეკრულებო უფლებით (ვალდებულებით), როდის და ვის სასარგებლოდ; იყო თუ არა უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღა, როდის და ვის მიერ. აღმასრულებელმა მოითხოვა უძრავი ქონების ამონაწერის ასლი, იპოთეკის ხელშეკრულების ასლები, სხვა სანივთო თუ ვალდებულებითი ხელშეკრულების ასლები, ინფორმაცია დამყადაღებლის და დამყადაღების საფუძვლების შესახებ, ასევე, მათ ხელთ არსებული აღნიშნული უძრავი ქონების ნახაზები და ორთოფოტოები. აღმასრულებლის მიერ ასევე მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რეგისტრირებული იყო თუ არა რ. ჭ-ი სამენარმეო რეესტრში ინდივიდუალურ მენარმედ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 იანვრის №15678 წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული იყო საკუთრების უფლება შემდეგი ნილობრივი მონაცემებით: კ. ხ-ი – 1/4 ნაწილიდან 1/3 ნაწილზე; რ. ჭ-ი – 1/4 ნაწილზე; თ. რ-ი, გ. რ-ი, მ. რ-ი – 1/4 ნაწილზე; ა. მ-ი – 5/12 ნაწილზე (განცხა-

დება №..., თარიღი – 28/05/2012 წ.). რ. ქ-ის კუთვნილი წილი დატვირთული იყო იპოთეკით, საფუძველი – 1) იპოთეკის ხელშეკრულება, დამონშების თარიღი – 27/01/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იპოთეკარი: ნ. რ-ი (პ/ნ:...), მესაკუთრე რ. ქ-ი (პ/ნ:...); საგანი: რ. ქ-ის კუთვნილი 1/4 ნაწილი მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (გან. რეგ. №...; თარიღი – 27.01.2010 წ.); 2) სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დამონშების თარიღი 27/12/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იპოთეკარი: გ. ს-ი (პ/ნ...); მესაკუთრე რ. ქ-ი (პ/ნ...), საგანი: რ. ქ-ის კუთვნილი 1/4 ნაწილი მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (განცხადება №... თარიღი – 27.12.2011 წ.). ამასთან, აღმასრულებელს დამატებით ეცნობა, რომ რ. ქ-ის კუთვნილ წილზე ყადაღა რეგისტრირებული იყო თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 12 ნოემბრის №... მიმართვის საფუძველზე. რ. ქ-ის ქონების მიმართ გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ იყო.

2014 წლის 16 ივლისს ე. თ-იმა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს და მოითხოვა იძულებითი აღსრულება ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში (საკადასტრო კოდი ...) მდებარე უძრავ ნივთზე. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სახით წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 15 ივლისის №A13059476-025/001 განკარგულება. აღნიშნული განკარგულების თანახმად, ე. თ-იმა 2014 წლის 11 ივლისს გაიმარჯვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამართულ იძულებით საჯარო აუქციონზე და გახდა მოვალე რ. ქ-ის თანასაკუთრებაში რიცხული ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში (ს/კ:...) მდებარე უძრავი ქონების – 1/4 წილი, შემძენი, რომელმაც უძრავი ქონება შეიძინა 14000 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრულება განხორციელდა უზრუნველყოფილი კრედიტორის ნ. რ-ის სასარგებლოდ. აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე, 2014 წლის 18 ივლისიდან, დარეგისტრირდა ე. თ-ის საკუთრების უფლება (რეგისტრაციის ნომერი: ...).

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაფორმებული 2014 წლის 29 ივლისის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ე. თ-ის საკუთრებაში აღრიცხულ, ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში მდებარე უძრავი ქონებაზე (ს/კ: ...) – 1/4 წილი, 2014 წლის 01 აგვისტოდან, დარეგისტრირდა ე. თ-ისა და ლ. ნ-ის თანასაკუთრება.

2014 წლის 08 სექტემბერს გ. რ-იმა განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული

2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 სექტემბრის განჩინება, კანონიერ ძალაში შესული ამავე სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, სანოტარო აქტი – მოსარჩელეთა მიერ 2500 ლარის ლ. ნ-ისთვის გადასაცემად, დებოზიტზე შეტანის შესახებ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს დაევალა სასამართლოს მიერ დამოწმებული იმ აზომვითი ნახაზის წარდგენა, რომლის მიხედვითაც იმსჯელა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას, ასევე დაევალა კანონიერ ძალაში შესული 01.09.2014 წ. განჩინების წარდგენა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, შეჩერების ვადაში, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო.

2014 წლის 19 სექტემბერს ნ. ჯ-ესა და ლ. ნ-ის შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნ. ჯ-ემ, 6 თვის ვადით, ლ. ნ-ის ასესხა 20 000 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტივრთა ლ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული, ქ. თბილისში, ... შესახვევი №...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილი. 2014 წლის 19 სექტემბერს ნ. ჯ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე, ლ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებულ ნაწილზე, იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 22 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით, განხორციელდა იპოთეკის რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით გ. რ-ის, თ. რ-ის, მ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი, იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაციის შესახებ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 22 სექტემბრის №... გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო და შემდეგ საკასაციო სასამართლოში, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2016 წლის 13 ივლისს გ. რ-იმა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს და მოითხოვა სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტის საფუძველზე უფლების რეგისტრაცია ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სა-

ხით წარდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 სექტემბრისა და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებები უფლებამონაცვლედ ცნობისა და უფლებამონაცვლედ დაშვების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება გ., თ. და მ. რ-იების სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილი თ. რ-ის, გ. რ-ის და მ. რ-ის საკუთრებაში გადასცა რ. ა-იმა, ხოლო მოსარჩელები ამჟამად ითხოვენ იმ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობას, რომელიც აღრიცხული იყო კ. შ-ას საკუთრებად და შპს „გ...ს“ აზომვითი ნახაზის მიხედვით შეადგენდა 46,17 კვ.მ და საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო რ. ჭ-ის საკუთრებად – 1/4 ნაწილი. ამავე გადაწყვეტილებით, გ. რ-ის, თ. რ-ისა და მ. რ-ის, რ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2500 ლარის გადახდა. ასევე გ. რ-ი, თ. რ-ი და მ. რ-ი ცნობილი იქნენ ქ. თბილისში, ...ს შესახვევ №...-ში მდებარე, რ. ჭ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული 46,17 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ (საკადასტრო კოდი ...; 1/4 ნაწილი). იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ნივთის მესაკუთრედ რ. ჭ-ის ნაცვლად ლ. ნ-ი იყო რეგისტრირებული, ამავე სასამართლოს 2014 წლის 01 სექტემბრის განჩინებით რ. ჭ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ლ. ნ-ი, ხოლო 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით, ლ. ნ-ითან ერთად, ე. თ-იც.

„რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და სარეგისტრაციოდ წარდგენილ უძრავ ნივთზე, საცხოვრებლის 1/4 ნაწილზე, დარეგისტრირდა გ., თ. და მ. რ-იების საკუთრების უფლება. ამავე სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში გაუქმდა უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკაც, სადაც მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ ლ. ნ-ი და ე. თ-ი, ხოლო იპოთეკარს – ნ. ჯ-ე (რეგისტრაციის №...).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიმართ დამდგარი ზიანი მოპასუხეების ან მათი სახელით მოქმედ მოხელეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგს არ წარმოადგენდა. მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ ზემოაღნიშნული ზიანი საალსრულებო ბიუროს მიერ განხორციელებული საალსრულებო წარმოების შედეგად დადგა, მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ბრალეული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების ან უმოქმე-

დობის გამო, რაც გამოიხატა მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს შეუსრულებლობაში ან რაიმე ვალდებულის შესრულებისგან თავის არიდებაში. სასამართლო შეფასებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აუქციონი მომზადდა და ჩატარდა „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით, ადმინისტრაციულ ორგანოს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჰქონდა ვალდებულება ჩაეტარებინა სააღსრულებო წარმოება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების აღსრულების მიზნით. წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნიდა რაიმე ეჭვის საფუძველს შეეჩერებინა, შეენეცვით ან უარი ეთქვა სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებაზე. აპელანტი მხარე ვერ უთითებდა მოწინააღმდეგე მხარის ბრალეულ ქმედებებზე, რაც კანონთან შეუსაბამო იყო და რაც დაადასტურებდა რაიმე მიზეზობრივ კავშირს მათ ქმედებებსა და დამდგარ ზიანს შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. თ-იმა და ლ. ნ-იმა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (საქმე №2/9395-2011), მოქალაქეები: გ., თ. და მ. რ-იები, რომლებიც ამავე მისამართზე ცხოვრობენ, თანამესაკუთრეთა სტატუსით ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... შესახებ №...-ში მდებარე, რ. ჭ-ის სახელზე რიცხული 46.17 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეებად (ს.კ. ...). აღნიშნული რეგისტრაცია მოგვიანებით განხორციელდა საჯარო რეესტრში, მაგრამ ეს ფაქტი არ გამორიცხავს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობას. ამკარაა, რომ მოპასუხეთა მხრიდან აუქციონზე გატანილი ქონება უფლებრივი ნაკლის მატარებელი იყო, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მოეპოვებინათ მოპასუხეებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთის ნაკლით (ან ხელშეკრულებით) განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი, ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით. მოსარჩელეს თავისი ქმედებით, არც განზრახ და არც გაუფრთხილებელი ბრალი ზიანის დადგომაში არ მიუძღვის. მას ამოძრავებს უძრავი ქონების შეძენის სურვილი და ამ მიზნის მისაღწევად განახორციელა ის მოქმედებები, რასაც ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესები მოითხოვდა. უდავოდ დგინდება, რომ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი უძრავი ქონება (ნივთი) უფლებრივი ნაკლის მატარებელი

იყო, ამ ქონების აუქციონზე გამოტანის მიზეზები უფრო მეტ წინდახედულობას და დანვრილებით შემონმებას მოითხოვდა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით, სახელმწიფოს მხრიდან ბრალეული ქმედების შედეგად, ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ ნორმებზე და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ქმედებაში გამოხატული, მოპასუხეთა ბრალეული მოქმედებით მას მიადგა ზიანი, რაც მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის საკმარისი პირობაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა შედგა 2023 წლის 16 ნოემბერს მხარეთა დასწრებით და გადაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ნოემბრის განჩინებით, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ე. თ-ის და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს მოსარჩელეთათვის მოპასუხეთა მხრიდან ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული ადმინისტრაციული წარმოებების დაწყებამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2/9395-2011) დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ...ს შე-

სახევე №...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილი თ. რ-ის, გ. რ-ის და მ. რ-ის საკუთრებაში გადასცა რ. ა-იმა, ხოლო მოსარჩელები დამატებით ითხოვდნენ იმ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობას, რომელიც აღრიცხული იყო კ. შ-ას საკუთრებად, შპს „გ...ს“ აზომვითი ნახაზის მიხედვით ფართი შეადგენდა 46,17 კვ.მ.-ს და საჯარო რეესტრში იმ დროისთვის აღრიცხული იყო რ. ჭ-ის საკუთრებად – 1/4 ნაწილი. მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებით, გ. რ-ის, თ. რ-ისა და მ. რ-ის რ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 2500 ლარის გადახდა. ამასთან, გ. რ-ი, თ. რ-ი და მ. რ-ი ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში მდებარე, რ. ჭ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული 46,17 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეებად (საკადასტრო კოდი ...; 1/4 ნაწილი).

საქმეზე დადგენილია, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (მომზადების თარიღი: 14.06.2013) მიხედვით, ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილიდან 1/3 ნაწილზე რეგისტრირებული იყო კ. ხ-ის საკუთრების უფლება, 1/4 ნაწილზე რ. ჭ-ის საკუთრების უფლება, 1/4 ნაწილზე თ. რ-ის, გ. რ-ისა და მ. რ-ის საკუთრების უფლება, ხოლო 5/12 ნაწილზე ა. მ-ის საკუთრების უფლება.

2013 წლის 13 სექტემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროში იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი №... (სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: 09.09.2013წ. კრედიტორი – ნ. რ-ი, მოვალე – რ. ჭ-ი).

აღმასრულებელმა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №13072727/28483 ბრძანების აღსრულების მიზნით, 2014 წლის 20 იანვარს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: ირიცხებოდა თუ არა რ. ჭ-ის საკუთრებაში უძრავი ქონება (მდებარე – ქალაქი თბილისი, ...ს შესახვევი №..., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 153.21 კვ.მ საცხოვრებელი ფართი – 124.98 კვ.მ (ს/კ:...) 1/4 ნილი); იყო თუ არა აღნიშნული ქონება დატვირთული იპოთეკით (მათ შორის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით), როდის და ვის სასარგებლოდ, სხვა სანივთო ან სახელშეკრულებო უფლებით (ვალდებულებით), როდის და ვის სასარგებლოდ; იყო თუ არა უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღა, როდის და ვის მიერ. აღმასრულებელმა მოითხოვა უძრავი ქონების ამონაწერის ასლი, იპოთეკის ხელშეკრულების ასლები, სხვა სანივთო თუ ვალდებულებითი ხელშეკრულების ასლები, ინფორმაცია დამყადაღებლის და დაყადაღების საფუძვლების შესახებ, ასევე, მათ ხელთ არსებული აღნიშნული უძრავი ქონების ნახაზები და ორთოფოტოები. აღმასრულებლის მიერ ასევე მოთხოვნილ

იქნა ინფორმაცია მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრიდან, რეგისტრირებული იყო თუ არა რ. ჭ-ი სამენარმეო რეესტრში ინდივიდუალურ მენარმედ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 იანვრის №15678 წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული იყო საკუთრების უფლება შემდეგი ნილობრივი მონაცემებით: კ. ხ-ი – 1/4 ნაწილიდან 1/3 ნაწილზე; რ. ჭ-ი – 1/4 ნაწილზე; თ. რ-ი, გ. რ-ი, მ. რ-ი – 1/4 ნაწილზე; ა. მ-ი – 5/12 ნაწილზე (განცხადება №..., თარიღი – 28/05/2012 წ.). რ. ჭ-ის კუთვნილი წილი დატვირთული იყო იპოთეკით, საფუძველი – 1) იპოთეკის ხელშეკრულება, დამონშების თარიღი – 27/01/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იპოთეკარი: ნ. რ-ი (პ/ნ:...), მესაკუთრე რ. ჭ-ი (პ/ნ:...); საგანი: რ. ჭ-ის კუთვნილი 1/4 ნაწილი მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (გან. რეგ. №...; თარიღი – 27.01.2010 წ.); 2) სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დამონშების თარიღი 27/12/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იპოთეკარი: გ. ს-ი (პ/ნ...); მესაკუთრე რ. ჭ-ი (პ/ნ...), საგანი: რ. ჭ-ის კუთვნილი 1/4 ნაწილი მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (განცხადება №... თარიღი – 27.12.2011 წ.). ამასთან, აღმასრულებელს დამატებით ეცნობა, რომ რ. ჭ-ის კუთვნილ წილზე ყადაღა რეგისტრირებული იყო თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 12 ნოემბრის №... მიმართვის საფუძველზე. რ. ჭ-ის ქონების მიმართ გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ იყო.

2014 წლის 16 ივლისს ე. თ-იმა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს და მოითხოვა იძულებითი აღსრულება ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში (საკადასტრო კოდი ...) მდებარე უძრავ ნივთზე. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სახით წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 15 ივლისის №A13059476-025/001 განკარგულება. აღნიშნული განკარგულების თანახმად, ე. თ-იმა 2014 წლის 11 ივლისს გაიმარჯვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამართულ იძულებით საჯარო აუქციონზე და გახდა მოვალე რ. ჭ-ის თანასაკუთრებაში რიცხული ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში (ს/კ:...)) მდებარე უძრავი ქონების – 1/4 წილი, შემძენი, რომელმაც უძრავი ქონება შეიძინა 14000 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. აღსრულება განხორციელდა უზრუნველყოფილი კრედიტორის ნ. რ-ის სასარგებლოდ. აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე, 2014 წლის 18 ივლისიდან, დარეგისტრირდა ე. თ-ის საკუთრების უფლება (რეგისტრაციის ნომერი: ...).

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაფორმებული 2014 წლის 29 ივლისის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ე. თ-ის საკუთრებაში აღრიცხულ, ქ. თბილისში, ...ს შესახვევი №...-ში მდებარე უძრავი ქონებაზე (ს/კ: ...) – 1/4 წილი, 2014 წლის 01 აგვისტოდან, დარეგისტრირდა ე. თ-ისა და ლ. ნ-ის თანასაკუთრება.

2014 წლის 08 სექტემბერს გ. რ-იმა განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 სექტემბრის განჩინება, კანონიერ ძალაში შესული ამავე სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, საწოტარო აქტი – მოსარჩელეთა მიერ 2500 ლარის ლ. ნ-ისთვის გადასაცემად, დეპოზიტზე შეტანის შესახებ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს დაევალა სასამართლოს მიერ დამონმებული იმ აზომ-ვითი ნახაზის წარდგენა, რომლის მიხედვითაც იმსჯელა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას, ასევე დაევალა კანონიერ ძალაში შესული 01.09.2014 წ. განჩინების წარდგენა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, შეჩერების ვადაში, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საქმეზე №2/9395-2011 (კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება) იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის ((ს/კ: ...) – 1/4 წილი) მესაკუთრედ რ. ჭ-ის ნაცვლად ლ. ნ-ი იყო რეგისტრირებული, სასამართლოს 2014 წლის 01 სექტემბრის განჩინებით, რ. ჭ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ლ. ნ-ი. ხოლო, მოგვიანებით, 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით, რ. ჭ-ის უფლებამონაცვლედ ლ. ნ-ითან ერთად დაშვებულ იქნა ე. თ-ი.

„რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და სარეგისტრაციოდ წარდგენილ უძრავ ნივთზე, საცხოვრებლის 1/4 ნაწილზე დარეგისტრირდა გ., თ. და მ. რ-იების საკუთრების უფლება. ამავე სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში, გაუქმდა უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკაც, სადაც მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ ლ. ნ-ი და ე. თ-ი, ხოლო იპოთეკარს-ნ. ჯ-ე (რეგისტრაციის №...).

კიდევ ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №3/3904-14), გ. რ.-ის, თ. რ.-ის, მ. რ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 22 სექტემბრის №... გადაწყვეტილება იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაციის შესახებ.

საქმეზე წარმოდგენილი, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (18.07.2016) უძრავ ნივთზე – თბილისი ...ს შესახვევი №... (ს/კ – ...), რეგისტრირებულია კ. ხ-ის საკუთრების უფლება 1/12 წილზე, ა. მ-ის საკუთრების უფლება 5/12 წილზე და გ., მ. და თ. რ-ების საკუთრების უფლება 2/4 წილზე. რეგისტრაციის საფუძვლებად, მათ შორის, მითითებულია №2/9395-2011 სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და ამავე საქმეზე მიღებული 01.09.2014 წ. და 27.01.2015 წ. განჩინებები.

მხარეები სადავოდ არ ხდიან და ქვედა ინსტანციების სასამართლოთა გადაწყვეტილებების ანალიზით, უდავოდ დგინდება, რომ მოსარჩელებს მიადგათ მატერიალური ზიანი. დადგენილია, რომ მოსარჩელებმა, აუქციონზე, კანონით დადგენილი წესით, შეიძინეს უძრავი ნივთი. შემდგომში, დაკარგეს მოპოვებული საკუთრების უფლება, რადგან მათი მხრიდან აუქციონში მონაწილეობის პარალელურად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სამართალწარმოება, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც, გაუქმდა საჯარო რეესტრში მოსარჩელეთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის ფარგლებში ვერ შემოწმდება სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების, 2014 წლის 1 სექტემბრისა და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებების კანონიერება, რამდენადაც აღნიშნული აქტები მიღებულია სხვა, სამოქალაქო საქმეზე, რისი კვლევაც სცდება საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დავის საგანთან დაკავშირებით იმსჯელებს განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს მოსარჩელეთათვის დამდგარი ზიანის არსებობა, მაგრამ სასამართლოთა შეფასებით, სახეზე არ იყო მოპასუხეთა მხრიდან ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საკასაციო საჩივრის ფარგლებში, დავის საგანს სწორედ მოპასუხეთა ქმედებების მართლზომი-

ერებისა და შესაბამისად, მათთვის ზიანის დაკისრების საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ხოლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება).

დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ივლისის

№ბზ-52-47(კ-13) განჩინება).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესით, მოსარჩელის მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოპასუხეთათვის დაკისრების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ამ უკანასკნელის მართლწინააღმდეგობრივი ხასიათის მოქმედების (უმოქმედობა) არსებობა, რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს მის პასუხისმგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილების არასათანადო შესრულება/შეუსრულებლობაში, რამაც გამოიწვია დამდგარი ზიანი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ მოპასუხე მხარეებად მიუთითა – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სწორედ აღნიშნული ორგანოები იყვნენ ვალდებული, უზრუნველყოთ აუქციონის წესით ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის განკარგვა, რის შედეგადაც, აუქციონში გამარჯვებული გახდებოდა კეთილსინდისიერი შემძენი, შესაბამისად მისი საკუთრება არ დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელია შეფასდეს ორივე ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება, ცალკეულად უნდა შემოწმდეს მათ მიმართ არსებული სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იძულებითი აუქციონის წესებს არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას. ამავე მუხლის 1¹ და 1² პუნქტები არეგულირებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის უძრავ ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლება რეგისტრირებული, თუმცა აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს ნივთის უფლებრივი მდგომარეობა და ისე განახორციელოს აღსრულება. კერძოდ, 1¹ პუნქტის თანახმად, თუ მოვალე საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საჯარო რეესტრის მეშვეობით უზრუნველყოფს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ინფორმაციის მოძიებას უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის ან/და ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში მოვალის სახელზე რიცხული ქონების თაობაზე. ხოლო 1² პუნქტის მიხედვით, თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან მოძიებული შესაბა-

მისი ცნობით დადასტურდება, რომ მოვალის სახელზე ირიცხება უძრავი ქონება, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონებას და განახორციელოს აღსრულება ამ კანონით დადგენილი წესით. მოვალე ან პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ქონება მას ეკუთვნის, უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს საკუთრების უფლების დამდგენი მტკიცებულებები, რომელთა სარწმუნოდ მიჩნევის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო არ განახორციელებს ან/და გააუქმებს ამ ქონების მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ქონების რეალიზაციის შემთხვევაში მისი შემძენი ხდება ამ ქონების მესაკუთრე. მესამე პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქონების რეალიზაციის შედეგად მისი უფლება დაირღვა ან/და მას მიაღდა ზიანი, უფლებამოსილია მოვალეს წაუყენოს პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამავე კანონის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ, ხოლო მე-5 პუნქტი ადგენს, რომ სააღსრულებო წარმოებისას გაყიდული ქონების ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში ამ ქონების ფლობასთან ან/და ამ ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქონების შემძენის ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს, კანონმდებლობის და აუქციონის პირობების შესაბამისად, განცხადების წარდგენა და თანხის გადახდა, რის შემდგომაც შემძენი იკავებს მესაკუთრის ადგილს. ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აუქციონის შედეგების გაუქმების ერთადერთ საფუძვლად მიუთითებს, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ თანხის გადაუხდელობას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები და წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუქციონის ჩატარების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ-განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) აუქციონის დაწყების და დასრულების დროს. აუქციონის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია აუქციონის ხანგრძლივობის გაზრდა გონივრული ვადით; ბ) ქონების საწყის ფასს; გ) გასაყიდი ქონების დასახელებას; ქონების მოკლე აღწერას (ლოტებად დაყოფის შემთხვევაში ლოტების მიხედ-

ვით), მის ადგილმდებარეობას, გარდამავალ უფლებათა ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში; დ) საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც არის ქონების საბაზრო ღირებულების 5%, გარდა ამ მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. უძრავი ქონების წინმსწრებ აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს მესაკუთრის მიერ განსაზღვრული საწყისი ფასის 5%-ს; ე) ფასის მატების ბიჯის ოდენობას; ვ) აუქციონის ჩატარების პროცედურებს; ზ) ავტორიზებული პირის არსებობის შემთხვევაში, მისი მეშვეობით მოძრავი ქონების გაყიდვის პირობების თაობაზე. იუსტიციის მინისტრის ამავე ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების პროცედურების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ თანხის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად გამოსცემს განკარგულებას შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, იძულებითი აუქციონის მარეგულირებელი კანონმდებლობა, აუქციონის პროცესს არეგულირებს იმგვარად, რომ სარეალიზაციო ქონება, დაინტერესებული პირებისათვის წინასწარ ცნობილი ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობით გადის აუქციონზე სარეალიზაციოდ. დაინტერესებული პირი ვალდებულია გაეცნოს ქონების შესახებ ინფორმაციას და მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის, ქონების შეძენის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუკი ქონების აღწერაში სწორად იყო მითითებული ქონების ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა შემძენი უკმაყოფილოა შეძენილი ნივთის მდგომარეობით, შემძენის მხრიდან აუქციონის ჩამტარებლის მიმართ შედავება ხდება უსაფუძვლო. იმ შემთხვევაში, თუ ქონების შეძენის შემდგომ ირკვევა, რომ ნივთის უფლებრივი და ნივთობრივი მდგომარეობა არსებითად შეუსაბამოა გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან და შემძენმა არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ, იგი კეთილსინდისიერია ამ გარემოების მიმართ, ასეთ დროს დაუშვებელია პასუხისმგებლობის ტვირთის გადმოტანა შემძენზე.

საქმეზე დადგენილია, რომ აღმასრულებელმა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №13072727/28483 ბრძანების (დავალიანების გადახდევინების შესახებ) აღსრულების მიზნით, 2014 წლის 20 იანვარს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და გამოითხოვა აუქციონზე სარეალიზაციო ქონების თაობაზე ინფორმაცია, მისი მესაკუთ-

რისა და რეგისტრირებული უფლებების შესახებ. ინფორმაციის გამოთხოვა შეესაბამებოდა სააღსრულებო წარმოების, აუქციონის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რათა დადგენილიყო და აუქციონში მონაწილე დაინტერესებული პირებისათვისაც ცნობილი ყოფილიყო ქონების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული მიმართვის პასუხად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 იანვრის № 15678 წერილით აღმასრულებელს ეცნობა ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც, უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან მიღებული ცნობების შესაბამისად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოხდა ქონების განკარგვა, ხოლო ე. თ-ის მიერ ამ ქონების შეძენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობებს. მოცემული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ხოლო, ამავე კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმების საფუძველზე აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, იძულებითი აუქციონის წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“, თუმცა

აუქციონის მიმდინარეობის პროცესში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უფლებრივი მდგომარეობის კვლევისას იგი ეყრდნობა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს, რომლის მიმართაც მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია. ამდენად, სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას, უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის მოძიების და შეფასებისას, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია იმოქმედოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს სააპელაციო პალატის შეფასებას იმ ნაწილში, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედებები შესაბამისობაში იყო სააღსრულებო წარმოების, იძულებითი აუქციონის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. მართალია, კასატორი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მიუთითებს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრალეულობაზე, თუმცა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონის პროცედურები წარმართა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სარეალიზაციო ქონებასთან დაკავშირებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. აუქციონის დასრულების ეტაპზე, შედეგების შემაჯამებელი 2014 წლის 15 ივლისის №A 13059476-025/001 განკარგულება გამოცემულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული განკარგულება არ გამხდარა სადავო, იგი კვლავ ძალაშია. საქმეზე არ დგინდება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან, ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა) და ამ მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. ამდენად, ამ ნაწილში მართებულია სააპელაციო პალატის შეფასება, რომ არ არსებობდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები იყო საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისი. თუმცა, საქმეზე ისიც უდავოდ დგინდება, რომ მოსარჩევეებმა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზით დაკარგეს საკუთრების უფლება და შესაბამისად, ჩატარებული აუქციონის შედეგები ფაქტობრივად გაუქმებულია. მართალია, ფორმალურად, არ არის გამოცემული ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა ფაქტობრივად, აუქციონის შედეგი ძალადაკარგულია, რადგან აუქციონის შედეგად გამოცემულმა განკარგულებამ დაკარგა მოქ-

მედების ეფექტი, იგი ველარ აღსრულდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. შესაბამისად, სასამართლოს როლი არ შემოიფარგლება კანონის მხოლოდ სიტყვასიტყვით განმარტებაში. აუცილებელია, რომ სასამართლომ განმარტოს კანონი კონკრეტული სამართალურთიერთობის, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სწორედ კანონის მიზნიდან გამომდინარე და არა ფორმალისტურად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აუქციონის შედეგი (სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 15 ივლისის №A13059476-025/001 განკარგულება) იურიდიულად ძალაშია და არ გაუქმებულა, თუმცა იგი ფაქტობრივად გაუქმებულია, რამდენადაც ქონების შემძენზე, არ გადავიდა საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მან შეასრულა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის მიერ სრულად არის შეფასების მიღმა დატოვებული მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოქმედებები. განჩინებაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან აუქციონის ჩატარების პროცედურებზე, თუმცა შეფასებული არ არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან გან-

ხორციელებული მოქმედებების, კერძოდ, აუქციონში გამარჯვებული ე. თ-ის და მისი თანამესაკუთრე ლ. ნ-ის საკუთრების უფლების გაუქმების მართლზომიერება.

საქმეზე დგინდება, რომ „რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და სარეგისტრაციოდ წარდგენილ უძრავ ნივთზე, საცხოვრებლის 1/4 ნაწილზე დარეგისტრირდა გ., თ. და მ. რ-იების საკუთრების უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსარჩელებმა ე. თ-იმა და ლ. ნ-იმა დაკარგეს რეგისტრირებული საკუთრების უფლება. მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებას, 2014 წლის 1 სექტემბრის და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებებს.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ 2012 წლის 30 მარტს, აუქციონის ჩატარებამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რ. ჭ-ის საკუთრების ობიექტის მესაკუთრეებად აღიარებულ იქნენ გ., თ. და მ. რ-იები, რაც წარმოადგენდა უძრავ ნივთზე მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს. დადგენილია, რომ გ., თ. და მ. რ-იებს აუქციონის ჩატარებამდე არ მოუხდენიათ უფლების რეალიზება, კერძოდ, არ მიუმართავთ რეგისტრაციის მოთხოვნით საჯარო რეესტრისათვის. აღნიშნულის პარალელურად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 15 ივლისის №A13059476-025/001 განკარგულების თანახმად, ე. თ-იმა 2014 წლის 11 ივლისს გაიმარჯვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამართულ იძულებით საჯარო აუქციონზე და გახდა მოვალე რ. ჭ-ის თანასაკუთრებაში რიცხული (1/4 ნაწილი) უძრავი ქონების შემძენი, რომელმაც უძრავი ქონება შეიძინა 14 000 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად. ამდენად, სააღსრულებო ბიუროს განკარგულება წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამოუკიდებელ საფუძველს, რაც სადავო არ გამხდარა და დღემდე იურიდიული ძალის მქონეა. სწორედ აღნიშნული განკარგულების საფუძველზე დარეგისტრირდა ჯერ ე. თ-ის, ხოლო შემდგომ, ჩუქების საფუძველზე, ე. თ-ისა და ლ. ნ-ის თანასაკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, სამოქალაქო საქმეზე 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება წარმოადგენდა გ., თ. და მ. რ-იების საკუთრების უფლების დამდგენ საფუძველს, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ადმინისტრაციული წარმოების

(სააღსრულებო წარმოება) შედეგად მიღებულმა განკარგულებამ დაადგინა უძრავი ქონების ახალი მესაკუთრე, წარმოშვა რეგისტრაციის ახალი საფუძველი, შესაბამისად სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 15 ივლისის №A13059476-025/001 განკარგულებამ სამართლებრივად შემოფარგლა სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების მოქმედება და მისი სამართლებრივი ეფექტი. სასამართლო გადაწყვეტილება ეხებოდა მისი მიღებისას არსებულ მდგომარეობას, გ., თ. და მ. რ-იების მოთხოვნის საფუძვლიანობას – იმდროინდელი მესაკუთრის – რ. ჭ-ის მიმართ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ მოახდენდა გავლენას შემდგომში, 2014 წლის 15 ივლისის განკარგულების საფუძველზე, ე. თ-ის წარმოშობილ საკუთრების უფლებაზე. სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე კასატორების საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და შესაბამისად, სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებამ, რომლის საფუძველზეც უფლების რეალიზება არ მოუხდენიათ გ., თ. და მ. რ-იებს, დაკარგა სარეგისტრაციო მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 სექტემბრის და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებები, რომელთა შესაბამისად, რ. ჭ-ის (რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებაში წარმოადგენდა მოპასუხეს და დავა წააგო გ., თ. და მ. რ-იებთან) უფლებამონაცვლებად დადგინდნენ ე. თ-ი და ლ. ნ-ი, მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც უკვე არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულება, რომელიც საფუძვლად დაედო ე. თ-ის საკუთრების წარმოშობასა და რეგისტრაციას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული განჩინებები მიღებულ იქნა 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, მათი სამართლებრივი ეფექტი შემოფარგლული იყო ამავე გადაწყვეტილებით. მოცემული განჩინებები არ წარმოადგენდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არსებული ახალი სამართალურთიერთობის მონესრიგებას, რადგან ისინი გამოტანილი იყო 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებაზე, ხოლო თავად ეს გადაწყვეტილება, სააღსრულებო განკარგულების არსებობიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების დადგენისა და რეგისტრაციის მიზნებისთვის გახდა იურიდიული ეფექტის არმქონე, არააღსრულებადი. 2014 წლის 01 სექტემბრისა და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებები არ ეხებოდა და ვერ გააუქმებდა, 2012 წლის 30 მარტის შემდგომ წარმოქმნილ, საკუთრების უფლების წარმოშობის ახალ საფუძველს – სააღსრულებო განკარგულებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, ამავე კოლეგიის 2014 წლის 01 სექტემბრისა და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებები არ ქმნიდა ე. თ.-ისა და ლ. ნ.-ის საკუთრების უფლების გაუქმების და გ., თ. და მ. რ.-ების საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს, იმ პირობებში, როდესაც ძალაში იყო მათი უფლებების დამდგენი სამართლებრივი აქტები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული გარემოება შეფასებული არ აქვს სააპელაციო პალატას. სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დატოვებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოქმედებები და მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები, რის გამოც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო პალატის განჩინება არსებითად დაუსაბუთებელია და არ პასუხობს საქმეში არსებულ, მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ კასატორებს (მოსარჩელებს), მართალია, ცალკე არ გაუსაჩივრებიათ გ., თ. და მ. რ.-ების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული გარემოება, მოცემულ საქმეზე, ვერ გახდება ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველი. კასატორები სადავოდ ვერ გახდიდნენ გ., თ. და მ. რ.-ების საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს – კანონიერ ძალაში არსებულ სასამართლო აქტებს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კასატორთა მოთხოვნა საფუძვლიანია იმ გარემოების გათვალისწინებიდან გამომდინარე, რომ ძალაში მყოფი უფლების დამდგენი სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციის პირობებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უსაფუძვლოდ მოახდინა მათი რეგისტრირებული უფლების გაუქმება. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოქმედებები უნდა შეფასდეს ერთიანობაში, რაც, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილების გასაჩივრების გარეშეც, ქმნის შესაძლებლობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტი-

ლებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები) გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებები არის შეფასების გარეშე დატოვებული. სააპელაციო პალატის განჩინება არ პასუხობს საჩივრის საფუძვლებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და სამართლებრივად შეაფასოს, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, მოსარჩელეთა სასარგებლოდ რეალური ზიანის დაკისრების საკითხი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე გაწეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა დადგინდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული სასამართლოს საპროცესო ნორმების შესაბამისად.

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. თ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-492(კ-23)

10 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. კ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარულად

დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 100 000 (ასი ათასი) ლარის ანაზღაურება; ბ) საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 19 500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება, როგორც უკანონო ბრალდებით, მსჯავრდებით და პატიმრობით მიყენებული ზიანი, ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის ანაზღაურება.

დაზუსტებული სარჩელის თანახმად, მოსარჩელე 2015 წლის 7 აპრილს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს მიერ იქნა დაკავებული და მიცემულ იქნა პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მოსარჩელეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და 2015 წლის 7 აპრილიდან 7 სექტემბრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში. 2015 წლის 8 სექტემბრიდან მოსარჩელეს აღკვეთის ღონისძიება შეეცვალა გირაოთი.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენით ბრალდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. ა. კ.-ს ქმედება 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 8 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე. ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის აღსრულება გადაუვადდა მშობიარობის შემდეგ 1 წლით. მოსარჩელეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაწყებოდა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდგომ გადავადებული განაჩენის აღსრულების მიზნით მისი ფაქტობრივად დაკავების დღიდან. მოსარჩელეს სასჯელის მოხდელ ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 აპრილიდან 7 სექტემბრის ჩათვლით. აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა ლ. ჯ.-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ 20000 ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარ-

ჩვენო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 10 წლით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით შეიცვალა გასაჩივრებული განაჩენი, არ დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის სააპელაციო საჩივარი, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ა.კ.-ას ადვოკატის სააპელაციო საჩივარი. მოსარჩელე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განაჩენით ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

მოსარჩელე, რომელიც არისის მოქალაქე, ცხოვრობდა ლეგალურად და ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას რუსეთის ფედერაციაში. მან ვერ შეძლო ცხოვრების დადასტურების შესახებ შეტყობინების წარდგენა შესაბამის სამსახურში, რის გამოც გაუუქმდა ბინადრობის უფლება და შეუწყდა სამენარმეო საქმიანობის უფლება, დარჩა შემოსავლების წყაროს გარეშე. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯმა შეადგინა 19500 ლარი. ასევე, უკანონო ბრალდებამ და მსჯავრდებამ გამოიწვია მოსარჩელის პატიმრობაში ყოფნა 2015 წლის 7 აპრილიდან 7 სექტემბრის ჩათვლით, აგრეთვე მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. სამი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შედეგების მოლოდინმა და ტანჯვამ ა. კ.-ას მიაყენა მძიმე მორალური ზიანი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს 100000 ლარის ოდენობით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ა. კ.-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის ანაზღაურება. მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ა. კ.-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით 2 000 (ორი ათასი) ლარის ანაზღაურება. მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მი-

მართ და მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ა. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენის მიხედვით საქმეზე №1-137-15, ა. კ-ას ბრალი ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში. სასამართლომ დაადგინა: ა. კ-ას საქართველოში 2015 წლის 7 აპრილს ნარკოტიკული საშუალებები ... და ...ის ... არ შემოუტანია. სამართლებრივი შეფასება: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ინფორმაციის თანახმად, ა. კ-ამ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა 2015 წლის 7 აპრილს 20:40 საათზე. ა. კ-ას პირადი ჩხრეკა მოხდა ქ. ბათუმში, ... №220-ში მდებარე საბაჟო გამშვებ პუნქტში. პირადი ჩხრეკა დაიწყო 2015 წლის 7 აპრილს 21:12 საათზე, საზღვრის გადმოკვეთიდან 32 წუთის შემდეგ. პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა პოლიეთილენის პარკში შეხვეული მოთეთრო ფერის ფხვიერი და ოთხკუთხედი და მრგვალი ფორმის ორი ცალი მასა. მოწმე ე. ბ-ემ განაცხადა, რომ 2015 წლის 7 აპრილს მიიღო ინფორმაცია, რომ ქ. ბათუმის აეროპორტის გავლით, უნდა შემოსულიყო ა. კ-ა, რომელსაც უნდა შემოეტანა ნარკოტიკული საშუალება, რაც მისი მხრიდან ეცნობა სამსახურებრივ ხელმძღვანელს. ე.ბ-ის მიერ ა. კ-ას მიმართ მიღებული ოპერატიული ინფორმაცია სამმართველოს ხელმძღვანელს შესაბამისი პატაკით ეცნობა 2015 წლის 7 აპრილს. მოწმის სახით დაკითხული თ. დ-ის ჩვენების თანახმად, მან განახორციელა ა. კ-ას პირადი ჩხრეკა, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმში, ... №220-ში მდებარე საბაჟო გამშვებ პუნქტში, 2015 წლის 7 აპრილს 21:00 საათზე. ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა წითელი ფერის ნაჭერი თავისი ხუფით, რომელშიც აღმოჩნდა პოლიეთილენის პარკში შეხვეული მოთეთრო ფერის ფხვიერი და ოთხკუთხედი და მრგვალი ფორმის ორი ცალი მასა; ბ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენით საქმეზე №1-137-15, ბრალდებული ა. კ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა; ა. კ-ას ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 8 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვე-

პუნქტზე. ბრალდებული ა. კ-ა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით, რომლის აღსრულება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაუვადდა მშობიარობის შემდეგ 1 (ერთი) წლით. ა. კ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდგომ გადავადებული განაჩენის აღსრულების მიზნით მისი ფაქტიური დაკავების დღიდან. ა. კ-ას სასჯელის მოხდელ ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 აპრილიდან 2015 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით. გაუქმდა მსჯავრდებულ ა. კ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო და მოეხსნა ყადაღა ლ. ჯ-ის სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხულ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას მდებარე ქალაქი ქუთაისი, ...ას ქ. მე-... შესახვევი, №32-ში, საკადასტრო კოდი: №...; გ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით საქმეზე №1/ზ-209-2017, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ა. კ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა. ა. კ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღა მოეხსნა ლ. ჯ-ის სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხულ 20000 (ოცი ათასი) ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას მდებარე ქალაქი ქუთაისი, ...ას ქ. მე-... შესახვევი, №32-ში, საკადასტრო კოდი: №.... ა. კ-ას განემარტა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების თაობაზე; დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით საქმეზე №5550აპ-17, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 25 ნოემბრის №282391-21 წერილით, ა. კ-ა დაბადებული ... წლისის, ...ის რესპუბლიკის მოქალაქე, დაკავებული იქნა ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს მიერ 2015 წლის 7 აპრილს. აღნიშნული პიროვნება №... პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 აპრილის განჩინების საფუძველზე. ა. კ-ას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

2015 წლის 7 სექტემბრის განჩინების საფუძველზე აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალა „გირაოთი“ და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომათა დარბაზიდან; ვ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 2 აგვისტოს №966 ცნობის მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმიდან №1-137-15, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინება ქართულ ასევე გამართლებულ ა.კ-ას ადვოკატს ა. ტ-ას ჩაბარდა 2018 წლის 27 მარტს. აქვე მიეთითა, რომ რუსულ ენაზე ა. კ-აზე გადასაცემად გადაეგზავნებოდა. 2018 წლის 5 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული №55აპ-17 ცნობის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება რუსულ ენაზე ნათარგმნი ა. ტ-ას გაეგზავნა და ჩაბარდა 2018 წლის 10 აპრილს; ზ) საქმეში წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერებით ა. კ-ამ ადვოკატის მომსახურებისთვის 2017 წლის 3 მარტს გადაიხადა 7500 ლარი, 2017 წლის 20 მაისს – 7500 ლარი და 2017 წლის პირველ ივლისს – 4500 ლარი.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. კ-ა ითხოვს მოპასუხეებს – საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროთ მორალური ზიანის სახით 100 000 (ასი ათასი) ლარისა და მატერიალური ზიანის სახით 19 500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება, როგორც უკანონო ბრალდებით, მსჯავრდებით და პატიმრობით მიყენებული ზიანი, ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი ანაზღაურება. უკანონო ბრალდებისთვის გამართლებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, საქართველოს გენერალური პროკურატურის სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნორმები ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძველების შეფასებისას. ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლო განაჩენით წყდება პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საპროცესო დოკუმენტით სასამართლო ადგენს, ჩაიდინა თუ არა პირმა ინკრიმინირებული ქმედება და რა სახის სასჯელი უნდა დაეკისროს მას. პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქ-

ნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. გამამართლებელი განაჩენის არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეს აქტი ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, არ უნდა მოხდეს კანონის მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან არ შეიძლება ნორმა განიმარტოს ისე, რომ გამართლებულს არ მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა. მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, საქართველოს პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ინდივიდს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მისი უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. მოქმედი კანონმდებლობით არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია აღიდგინოს დარღვეული უფლებები. გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს განაჩენით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ასანაზღაურებელ ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის

მიხედვით. უკანონოდ დაკავება/პატიმრობის შედეგად მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანი, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს იყო ორსული. სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა მოწყდეს რეალობას. მოთხოვნა წარმოადგენს მოსარჩელის მოსაზრებას, ხოლო ანაზღაურების მოცულობის ოდენობას გონივრულ ფარგლებში განსაზღვრავს სასამართლო. შელახული სიკეთის ხასიათის, სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა. სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმებს, სახელდობრ, იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელეს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი ფაქტობრივად 5 თვის განმავლობაში, რაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. მართალია, ამა თუ იმ ფორმით თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის იწვევს დისკომფორტს, მაგრამ დაპატიმრებული პირი, გონივრულ ფარგლებში, მაინც ვალდებულია ითმინოს ეს, როდესაც დაცულია გარკვეული სტანდარტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ არსებობს ტანჯვის დონე, რომელიც გარდაუვალად უკავშირდება დაკავებას (პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2002 წლის 25 ივლისი, §40) და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელი ყველა შემთხვევაში იწვევს სირთულეს და ტანჯვას. იმავეს ვერ ვიტყვით პირზე, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად არის დაპატიმრებული. ის არ არის ვალდებული, ითმინოს პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატება თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ა. კ.-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის სახით 19 500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლოდ დანყებული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მოსარჩე-

ლე წარმოდგენილი იყო ადვოკატით, საქმეს ასევე ერთვის ადვოკატებზე მომსახურებისათვის გადახდილი სალაროს შემოსავლის ქვითრები. ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი შეიძლება ანაზღაურდეს იმ პირობებშიც, როდესაც არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ადვოკატის მომსახურება სადავო გარემოებას არ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გაწეული ხარჯის ოდენობა გონივრულ ფარგლებში. საქმეში წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერებით ა. კ-ამ 2017 წლის 3 მარტს გადაიხადა 7500 ლარი, 2017 წლის 20 მაისს გადაიხადა 7500 ლარი და 2017 წლის პირველ ივლისს – 4500 ლარი ადვოკატის მომსახურებისათვის. ამდენად, რომ არა მის მიმართ უკანონო ბრალდება, მას აღნიშნული თანხის გაღების აუცილებლობა არ ექნებოდა. შესაბამისად, დადასტურებულია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ნაწილში ფაქტობრივ-სამართლებრივად დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას უნდა დაეკისროს მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება გონივრულ ფარგლებში – 2 000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის საქმეზე სარგებლობს უფლებამოსილებით, ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები. შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე უკვე სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა პროკურატურა. სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების საფუძველი იარსებებდა თუ მოსარჩელე მხარე წარადგენდა სათანადო მტკიცებულებებს, რომ გამოძიების ეტაპზე სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა კანონდარღვევით. ის ფაქტი, რომ სასამართლომ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია ა. კ-ას მსჯავრდებისათვის, ეს სამინისტროს თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ მოქმედებებს უკანონოს არ ხდის. ამასთან, პოლიციელთა მხრიდან რაიმე დარღვევა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებებში არ დაუდგენია სასამართლოს. არც მოსარჩელეს წარმოუდგენია სასამართლოში რაიმე სახის მტკიცებულება აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. კ-ას სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მიმართ დაუსაბუთებელია. საქმეში წარმოდგენილი მასალებით ვერ მტკიცდება პოლიციელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, სახეზე არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არც მორალური და არც მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება რუსულ ენაზე ნათარგმნი ა.ტ.-ას გაეგზავნა და ჩაბარდა 2018 წლის 10 აპრილს. მოსარჩელის მიერ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია 2021 წლის 5 აპრილს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. კ.-ასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ა. კ.-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ა. კ.-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 17 500 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივ შეფასებები, თუმცა არ დაეთანხმა სასამართლოს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის ნაწილში და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების შეცვლის საჭიროება განპირობებულია მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კუთხით, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება არსებითად კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინ-

დეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნორმები ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან პირი, რომლის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა და რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, გამამართლებელი განაჩენის არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეს აქტი ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, რომელსაც გამამართლებელი განაჩენით შეეზღუდა უფლებები, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს მისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ უკანონოდ დაკავება/პატიმრობის შედეგად მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანი. ამასთან, სასამართლომ მართებულად გაამხავილა ყურადღება იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სისხლის სამართლის განხილვის დროს იყო ორსული. გასათვალისწინებელია მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმები, სახელდობრ, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელეს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი ფაქტობრივად თითქმის 5 თვის განმავლობაში, რაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. მართალია, ამა თუ იმ ფორმით თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის იწვევს დისკომფორტს, მაგრამ დაპატიმრებული პირი, გონივრულ ფარგლებში, მაინც ვალდებულია ითმინოს ეს, როდესაც დაცულია გარკვეული სტანდარტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ არსებობს ტანჯვის დონე, რომელიც გარდაუვალად უკავშირდება დაკავებას (პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2002 წლის 25 ივლისი, §40) და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელი ყველა შემთხვევაში იწვევს სირთულეს და ტანჯვას. იმავეს ვერ ვიტყვით პირზე, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად

არის დაპატიმრებული. ის არ არის ვალდებული, ითმინოს პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატება თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში. უკანონოდ დაპატიმრებული პირის პატიმრობაში ყოფნაა, როგორც ასეთი, უკანონოა, მიუხედავად იმისა, დაირღვევა თუ არა რეჟიმის რომელიმე მოთხოვნა. დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ მოსარჩელის მიერ განცდილი სტრესის, შიშის და უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით 10 000 ლარი წარმოადგენს მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ საერთაშორისო თუ ეროვნული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ანაზღაურებას ექვემდებარება ხარჯი, რომელიც განეულება, თუმცა კონკრეტული ოდენობით ხარჯის განევის დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე ხარჯი, რომელიც ჯერ არ არის განეული, თუმცა დასტურდება საადვოკატო მომსახურება და არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი ხარჯის განევის შესახებ. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელემ ადვოკატის მომსახურებისთვის 2017 წლის 3 მარტს გადაიხადა 7 500 ლარი, 2017 წლის 20 მაისს გადაიხადა 7 500 ლარი, ხოლო 2017 წლის პირველ ივლისს – 4 500 ლარი, ჯამში 19 500 ლარი. დადგენილია ასევე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში მხოლოდ ნაწილობრივ – 2000 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა. იმის გათვალისწინებით, რომ დადასტურებულია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა ფულად ზარალსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ქმედებას შორის, მოსარჩელეს სრულად უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზიანი (ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯები). შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მატერიალური ზიანის ანაზღაურება 17 500 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება აპელანტის – საქართველოს გენერალური პროკურატურის პოზიციას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება რუსულ ენაზე ნათარგმნი ა.ტ.-ას გაეგზავნა და ჩაბარდა 2018 წლის 10 აპრილს. მოსარჩელეს სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილი აქვს 2021 წლის 5 აპრილს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დაცულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა და არ არსებობს ხანდაზმულობის საკითხთან

დაკავშირებით აპელანტის – საქართველოს გენერალური პროკურატურის არგუმენტაციის გაზიარების სამართლებრივი საფუძველი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ პირს ზიანი უნდა მიაღდეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით, ამასთან, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს პროკურატურის მხრიდან აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. სისხლის სამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვას. ამასთან, წინასწარ ვერ განისაზღვრება კონკრეტული საქმის შედეგი, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი/გამამართლებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 მარტის განაჩენით ა. კ.-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებაში. ამავე განაჩენით, ა. კ.-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 8 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ა. კ.-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის აღსრულება გადაუვადდა მშობიარობის შემდეგ 1 (ერთი) წლით. მოსარჩელეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 აპრილიდან 2015 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით. გაუქმდა მსჯავრდებულ ა. კ.-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულ ქონებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით ა. კ.-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა საქართველოს სსკ-ის

260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განაჩენით, რომლის ქართული და რუსული ვერსია მოსარჩელის ადვოკატს ჩაბარდა 2018 წლის 27 მარტს და 10 აპრილს.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ არ არსებობს ზიანის ანაზღაურების წინაპირობების ერთობლიობა (მართლსაწინააღმდეგობა, ბრალი, პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი), რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას ამ უკანასკნელის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები, გატარდა კანონშესაბამისი ღონისძიებანი, საბოლოოდ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მარეაბილიტირებელი საფუძვლით დამთავრების შემთხვევაშიც არ არსებობს პროკურატურის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძველი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია ა.კ.-ას მსჯავრდებისთვის, ეს პროკურატურის ქმედებებს უკანონოს არ ხდის.

კასატორი აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები: პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

კასატორი აღნიშნავს, რომ ა.კ-ა პატიმრობაში იმყოფებოდა 5 თვის განმავლობაში, ხოლო მორალური ზიანი სასამართლომ განსაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით, ანუ თვეში 2000 ლარით, რაც აბსოლუტურად განსხვავდება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე არსებული სასამართლო პრაქტიკისგან. გარდა ამისა, სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი რომ ა.კ-ა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ნაწილობრივ გამართლდა, მხოლოდ სააპელაციო სასამართლომ გაამართლა იგი სრულად. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო არ მიუთითებს რატომ განსაზღვრა განსხვავებულად მორალური ზიანი. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმების და სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის დაკისრება უსაფუძვლოა. გარდა ამისა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების არაპროპორციულია, არ ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში და შესაბამისად, უნდა გაუქმდეს.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის სახით (ადვოკატის ხარჯი) 17 500 ლარის დაკისრების თაობაზე. მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის გაღებული ხარჯის უპირობოდ სრულად ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობა, სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანის ოდენობა, წარმომადგენლების მიერ გაწეული სამუშაო, რაც უნდა დასტურდებოდეს საქმის მასალებით. მხარე სარგებლობს თავისუფალი არჩევანით საადვოკატო მომსახურების მიღებისას, თუმცა მატერიალური ზიანის სახით ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში მას აუნაზღაურდება არა ნებისმიერი ხარჯი, რასაც გასწევს ადვოკატის მომსახურებისთვის, არამედ აუცილებლად გასაწევი ხარჯი, საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით. მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე განხორციელებული მოქმედებები, მათ შორის, ადვოკატის აყვანა არის პირის (ბრალდებულის) უფლება და ამ უფლებით სარგებლობა (მით უფრო, როდესაც ხარჯების გაღება არ დასტურდება) არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დევნის განმახორციელებელი ორგანოს – პროკურატურის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა საპროცესო ხარჯის სახით საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის 1000 ლარის დაკისრება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის განმარტებით, „მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ამგვარი წარმოდგენილი არ ყოფილა. ზემოაღნიშნული ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას წარმოადგენს და მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ ხელშეკრულების რაიმე განსხვავებულ ფორმას არ ითვალისწინებს, მაგრამ საგულისხმოა, რომ როდესაც ხელშეკრულების მხარე მესამე პირს უყენებს პრეტენზიას ამ ურთიერთობიდან გამომდინარე და ითხოვს კონკრეტული თანხის დაკისრებას, საქმეში წარმოდგენილი უნდა იყოს იმდაგვარი მტკიცებულებები, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს ხარჯის გაღებასა და მის მიზნობრიობაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2022 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-628(2კ-20) აღნიშნავს, რომ მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრების) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა ხანდაზმულობის საკითხი და განმარტავს, რომ დელიქტიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნებისათვის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით, რომლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება სამართლებრივი ურთიერთობის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, პირმა სწორედ კანონით დადგენილ ვადაში უნდა განახორციელოს საკუთარი უფლების დაცვა და რეალიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულის განხორციელება დამოკიდებული ხდება მეორე მხარის კეთილ ნებაზე. ხანდაზმულობის ვადის გასვლა ნიშნავს უფლების დაცვის საშუალების მოსპობას, ანუ ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ ართმევს პირს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, მაგრამ წარმოადგენს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. სასამართლო მიუთითებს, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება რუსულ ენაზე ნათარგმნი ა.ტ-ას გავგზავნა და ჩაბარდა 2018 წლის 10 აპრილს, მოსარჩელეს სარჩელი სასამართლოში წარმოდ-

გენილი აქვს 2021 წლის 5 აპრილს“. სასამართლო მხოლოდ ამ ფრაზით შემოიფარგლა ხანდაზმულობაზე მსჯელობისას და არგუმენტის გასამყარებლად, რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2021 წლის 5 აპრილს, მიუთითებს საფოსტო გზავნილის დასტურზე, თუმცა ამგვარი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ თავად სასამართლო 2021 წლის 17 ივნისის დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში მიუთითებს, რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იქნა 2021 წლის 16 აპრილს, რომელზედაც 5 დღის ვადაში, კერძოდ, 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით დაადგინა ხარვეზი.

კასატორის განმარტებით, ა.კ-ას მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია 2018 წლის 19 მარტს, რომლის ქართული ვერსია ადვოკატს ჩაბარდა 27 მარტს, ხოლო რუსული ვერსია იმავე ადვოკატს – 10 აპრილს, სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია 2021 წლის 16 აპრილს. ა.კ-ა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების სრულად დასრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების თაობაზე ინფორმირებული იყო 2018 წლის 19 მარტიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის (3 წელი) დაუცველად, რის გამოც სრულად უნდა ეთქვას მოსარჩელეს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადვოკატისთვის განაჩენის რუსული ვერსიის ჩაბარებაზე და ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ქართულ ენაზე სასამართლო განაჩენი ა.ტ-ას ჩაბარებული ჰქონდა 2018 წლის 27 მარტს. შესაბამისად, წარმომადგენლისთვისაც ცნობილი იყო განაჩენის შინაარსი. შესაბამისად, ყველა გარემოება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოთხოვნა არის ხანდაზმული.

კასატორის მოსაზრებით, იმ ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც კი, თუ რუსულენოვანი თარგმანის ჩაბარება მოხდა 2018 წლის 10 აპრილს, ხოლო სარჩელი წარდგენილია 2021 წლის 5 აპრილს, წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულია და სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მხარისათვის განაჩენის ჩაბარებისა და სარჩელის წარდგენის საკითხს. სისხლის სამართლის საქმის წარმოების არსებით განხილვას ა.კ-ა არ ესწრებოდა, ანუ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა განხორციელდა ბრალდებულის დასწრების გარეშე. სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ა.კ-ა წარმოდგენილი იყო ადვოკატით ა.ტ-ათი, რომელიც სრულად იცავდა მოსარჩელის ინტერესებს, მათ შორის, ასაჩივრდება სასამართლოს განაჩენებს. შესაბამისად, შემაჯამებელი გადაწ-

ყვეტილების – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინების ქართული ვერსიის ჩაბარება ადვოკატისათვის 2018 წლის 27 მარტს, არის ის თარიღი, საიდანაც ათვილი უნდა იქნეს ხანდაზმულობის ვადა. ადვოკატისათვის განჩინების ჩაბარება ითვლება იმგვარ გარემოებად, რომელიც ადასტურებს 2018 წლის 27 მარტიდან ა. კ-ასთვის საქმის შედეგისა და ზიანის მავალდებულებელი გარემოების თაობაზე ინფორმირებას. საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი ხანდაზმულობას ითვლის არა უშუალოდ დოკუმენტის ფორმალური ჩაბარების მომენტიდან, არამედ ზიანის დამდგენი გარემოების/პირის ცნობის მომენტიდან. სასამართლომ ისე მიიჩნია ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად განჩინების რუსული ვერსიის ადვოკატისათვის 2018 წლის 10 აპრილს ჩაბარება, რომ არ დაინტერესებულა და გამოუკვლევია უზრუნველყო თუ არა ადვოკატმა დოკუმენტის გაგზავნა ა. კ-ასთვის. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტიად არა მოსარჩელისთვის დოკუმენტის ჩაბარება, არამედ რუსულად ნათარგმნი დოკუმენტის ადვოკატისთვის ჩაბარება მიიჩნია.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მარტის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენით საქმეზე №1-137/15, ბრალდებული ა. კ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა; ა. კ-ას ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 8 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე. ბრალდებული ა. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით, რომლის აღსრულება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაუვადდა მშობიარობის შემდეგ 1 (ერთი) წლით. ა. კ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდგომ გადავადებული განაჩენის აღსრულების მიზნით მისი ფაქტიური დაკავების დღიდან. ა. კ-ას სასჯელის მოხდელ ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 აპრილიდან 2015 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით. გაუქმდა მსჯავრდებულ ა. კ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება გირაო და მოეხსნა ყადაღა ლ. ჯ-ის სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხულ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას მდებარე ქალაქი ქუთაისი, ...ას ქ. მე-... შესახვევი, №32-ში, საკადასტრო კოდი: №...; ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით საქმეზე №1/ბ-209-2017, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ა. კ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა. ა. კ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღა მოეხსნა ლ. ჯ-ის სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხულ 20000 (ოცი ათასი) ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას მდებარე ქალაქი ქუთაისი, ...ას ქ. მე-... შესახვევი, №32-ში, საკადასტრო კოდი: №... ა. კ-ას განემარტა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების თაობაზე; გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით საქმეზე №550აპ-17, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად; დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 25 ნოემ-

ბრის №282391/21 წერილის თანახმად, ა.კ-ა დაბადებული ... წლის ს, ...ის რესპუბლიკის მოქალაქე, დაკავებული იქნა ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს მიერ 2015 წლის 7 აპრილს. აღნიშნული პიროვნება №... პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 აპრილის განჩინების საფუძველზე. ა.კ-ას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 სექტემბრის განჩინების საფუძველზე აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალა „გირაოთი“ და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომათა დარბაზიდან; ე) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 2 აგვისტოს №966 მიმართვით ა,გ-ას მისი 2021 წლის 22 ივლისის განცხადების საფუძველზე გაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონული სისხლის სამართლის საქმიდან 1-137/15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინების (ქართულ ასევე რუსულ ენაზე ნათარგმნი) გამართლებულ ა.კ-ას ადვოკატ ა.ტ-ასათვის გაგზავნისა და ჩაბარების დოკუმენტები (დანართი 4 ფურცლად); ვ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის 2018 წლის 5 აპრილის №... მიმართვის შესაბამისად, ადვოკატ ა.ტ-ას (მისამართზე თბილისი, ...ის ქ. №15/2) გაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინების ასლი ა.კ-ას მიმართ. ამავე მიმართვით, ა.ტ-ას ეცნობა, რომ აღნიშნული განჩინება ნათარგმნი რუსულ ენაზე ა.კ-ასათვის გადასაცემად გაეგზავნებოდა; ზ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს №... გზავნილი მისამართზე თბილისი, ...ის ქ. №15/2 ჩაბარდა ადრესატის ა.ტ-ას ბიძაშვილს ხ.ხ-ეს 2018 წლის 10 აპრილს; თ) საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფოსტის გზავნილის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადვოკატ ა.ტ-ასათვის გაგზავნილი №... გზავნილი, 2018 წლის 27 მარტს ჩაბარდა ხ.ხ-ეს მისამართზე თბილისი, ...ის ქ. №15/2.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ხაზს უსვამს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ნორმა კონკრეტულად შეეხება უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდული პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისა და მო-

სამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კონსტიტუციის მე-13 მუხლთან კავშირშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება.

ამდენად, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული... (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-

ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე, კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს.“ (სუს 2019 წლის 7 თებერვლის №ბზ-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება და სხვ.).

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ გამოტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ივლისის განაჩენი, რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით და რომლითაც ა. კ.-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ

ბრალდებაში, წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს. განაჩენით უტყუარად დასტურდება დანაშაულის ჩადენის ფაქტის არარსებობა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიმართ ფორმალურად კანონიერად გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. „...ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, რელევანტურია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას.“ (სუს 2021 წლის 27 მაისის №ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილება). „...დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში.“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რამეთუ „ვადის უფლებანარმომშობი და უფლებალმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურსამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები –

ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ გარანტს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის, რომლის მიხედვითაც, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება № 1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1). უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებათა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის № ბს-590-590(კ-18) გადაწყვეტილება).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკაში სასამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებთან დაკავშირებით განვითარებულ მსჯელობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება № 3/1/531 საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 17).

საკასაციო პალატა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარ-

ღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საექვეოობის ხასიათის მატარებელი. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსთვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს, კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედულებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

ვინაიდან, ხანდაზმულობა არსებით გავლენას ახდენს პირის უფლება-მოვალეობებზე, პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს მისი ათვლის მომენტი. ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრის უზოგადესი წესი დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნული ზოგადი წესის გამოყენებამდე, სასამართლოს ვალდებულებაა, შეამოწმოს, იმ სამართალური თეორიების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლიდანაც გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნა, ხომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის განსხვავებული წესი. იმის მიხედვით, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება მოთხოვნა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის განსხვავებულ (სპეციალურ) ვადებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც მოსარჩელე მის უფლებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უკავშირებს სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს.

დელიქტური პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის განსაზღვრის სპეციალური წესი, პალატა ხელმძღვანელობს არა

ზოგადი, არამედ სპეციალური დანაწესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, ზოგადი წესის მსგავსად, ასევე დაწესებულია ხანდაზმულობის ვადის ათვლის წინაპირობები, რაც გულისხმობს დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ დაზარალებულის ინფორმირებას. მას შემდეგ, რაც უფლებაშელახული პირი შეიტყობს დელიქტით მიყენებული ზიანის ან ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობას, მას აქვს სამი წლის ვადა დარღვეული უფლების აღსადგენად. ამრიგად, კანონმდებლობით იმპერატიულად არის განსაზღვრული დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სასამართლო წესით მხოლოდ სამი წლის განმავლობაში მოთხოვნის შესაძლებლობა, ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაციის შეტყობის მომენტიდან.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ა. კ.-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სს.კ.-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი 2017 წლის 25 ივლისის უცვლელად დარჩა და კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით. შესაბამისად, ა.კ.-ასთვის ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინების ჩაბარების მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან უნდა აითვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დაცულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა და განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის რუსულ ენაზე ნათარგმნი განჩინება ა. ტ.-ას

გაეგზავნა და ჩაბარდა 2018 წლის 10 აპრილს, მოსარჩელეს კი, სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილი აქვს 2021 წლის 5 აპრილს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, თუ რატომ დაუკავშირდა ხანდაზმულობის ვადის ათვლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის რუსულ ენაზე ნათარგმნი განჩინების ჩაბარებას, იმ პირობებში, როდესაც ა. კ-ა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში წარმოდგენილი იყო ადვოკატი და როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადვოკატ ა.ტ-ასათვის გაგზავნილი №... გზავნილი, 2018 წლის 27 მარტს ჩაბარებული აქვს ხ.ხ-ეს მისამართზე თბილისი, ...ის ქ. №15/2.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(f) პუნქტის შესაბამისად, „მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე: ... f) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.3 „ე“ მუხლის თანახმად, ყოველ ბრალდებულს აქვს, უფლება ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თარჯიმნით ისარგებლობის უფლება არის მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების აუცილებელი წინაპირობა, ვინაიდან ეს უფლება უზრუნველყოფს პირს, რომელსაც არ ესმის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით მიმდინარე სასამართლო სამართალწარმოებისას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა,

რომ მე-6 მუხლის მე-3 („e“) პუნქტი უზრუნველყოფს თარჯიმნის უფასო დახმარებას. ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, თარგმნის მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლება არა მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ ზეპირ განცხადებებზე ვრცელდება, არამედ ნებისმიერ დოკუმენტაციასთან და წინასასამართლო პროცესთან მიმართებაშიც. მე-3 (e) პარაგრაფი აღნიშნავს, რომ პირს, რომელსაც „ბრალის ედება სისხლის სამართლის დანაშაულში“, რომელსაც არ ესმის ან ლაპარაკობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე, აქვს უფლება ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში გამოცემული ყველა იმ დოკუმენტისა თუ განცხადების თარგმნის მისაღებად, რომელიც აუცილებელია, რომ მან იცოდეს ან მიეწოდოს, რათა ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უპირატეოსებით (Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, # 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978; Kamasinski v. Austria, # 9783/82, § 74, ECHR 1989; Hermi v. Italy, #18114/02, §69, ECHR 2006). საყურადღებოა, რომ ამავე საქმეში (Kamasinski v. Austria) ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის 6.3 „e“ მუხლი არ ვრცელდება იმ დონეზე, რომ მოითხოვდეს სამართალწარმოებაში ყველა წერილობითი მტკიცებულების ან ოფიციალური დოკუმენტის წერილობითი თარგმნის უზრუნველყოფას. თარჯიმნის დახმარება უნდა იყოს ისეთი, რომ ბრალდებულს ესმოდეს მის წინააღმდეგ წარმოებული საქმე და დაიცვას თავი, განსაკუთრებით იმით, რომ შეეძლოს სასამართლოს წარუდგინოს მოვლენების თავისი ვერსია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით (Kamasinski v. Austria), განჩინების წერილობითი თარგმანის უქონლობა თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის 6.3 „e“ მუხლის დარღვევას (Kamasinski v. Austria §85).

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ თარჯიმნით მომსახურების უფლება პირველ რიგში უკავშირდება პირის უფლებას სათანადო წესით შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა და არ დაერღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბრალდებული, რომელსაც არ ესმის ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე, უფლებამოსილია, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით უფასოდ, ასევე იმ დოკუმენტაციისა თუ განცხადებების შემთხვევაში რომლებიც საჭიროა პროცესისათვის (მათ შორის, თარგმნა სასამართლო ენაზე) ან აუცილებელია მისთვის პროცესის გასაგებად და სამართლიანი სასამართლოსათვის (Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, # 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978). საყურადღებოა, რომ კონვენციის 6.3 „e“ მუხლის ტექსტში მოხსენიებულია „ზეპირი თარჯიმანი“ და არა „წერილობითი თარჯიმანი“. ეს ნიშნავს, რომ ზეპირი თარგმანი შეიძლება საკმარისი იყოს კონვენციის მოთხოვნების დასაკმა-

ყოფილებლად (*Husain v. Italy*; *Hermi v. Italy* §70). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეფასება უნდა მიეცეს, ა.კ-ას ადვოკატისათვის ქართულ ენაზე გაგზავნილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება იყო თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ ბრალდებულისათვის ცნობილი ყოფილიყო მისი გამართლებულად ცნობის შესახებ, რაც წარმოადგენდა მარეაბილიტირებელ გარემოებას და წარმოშობდა უფლებას აღეძრა სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის 6.3 „ე“ მუხლი არ ვრცელდება ურთიერთობებზე ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის, არამედ იგი ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულსა და მოსამართლეს შორის ურთიერთობებზე (*X. v. Austria*). ასევე საყურადღებოა ევროპული სასამართლოს განმარტება *Kamasinski v. Austria* საქმეში, სადაც განმცხადებელს არ უთარგმნეს ის განაჩენი, რომლის გასაჩივრებასაც აპირებდა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „მისთვის მიცემული ზეპირი განმარტებების შედეგად, [განმცხადებელმა] საკმარისად კარგად გაიგო განაჩენის შინაარსი და არგუმენტაცია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დამცველის დახმარებით შეედგინა სააპელაციო საჩივარი სასჯელის წინააღმდეგ და განცხადება გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ასაჩივრებდა სასამართლო განხილვისა და განაჩენის მრავალ ასპექტს“.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება, რომლითაც განსახილველად არ იქნა დაშვებული ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი, მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე. მითითებული განჩინების გაგზავნის დამადასტურებელ გზავნილში აღნიშნულია, რომ განჩინება გაეგზავნა ადვოკატ ა.ტ-ას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ გააჩნდა ვალდებულება, რომ ადვოკატისათვის, ა.კ-აზე გადასაცემად, აღნიშნული განჩინება არასახელმწიფო, რუსულ ენაზე გაეგზავნა. შესაბამისად, უფლებამოსილი ადვოკატისთვის განჩინების სახელმწიფო ენაზე ჩაბარება მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენის არმცოდნე მხარისათვის განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონვენციის 6.3 „ე“ მუხლი არ ვრცელდება ურთიერთობებზე ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს ა.კ-ას ადვოკატის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარ-

ტის განჩინების ჩაბარების მომენტიდან, ასეთის დადასტურების პირობებში. სწორედ ამ მომენტიდან იქნებოდა უფლებამოსილი ა.კ-ა მიემართა სასამართლოსთვის, მისი კანონით დაცული უფლებების დარღვეულად მიჩნევის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე, დაადგინოს ადვოკატი ა. ტ-ას უფლებამოსილება ა. კ-ას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში ა.ტ-ას მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარების თარიღი და აღნიშნულის შესაბამისად მოახდინოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოსა და
საკომისიო თანხის დაკისრების საფუძველი**

**ბანკინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1024(2კ-23)

24 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: რეაბილიტირებული პირისთვის ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოსა და საკომისიოს თანხის ზიანის სახით დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ამ 16.12.2021წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. 08.04.2022წ. დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელემ უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნის, უკანონო სისხლისსამართლებრივი ბრალდებისა და უკანონო პატიმრობის გამო მოითხოვა მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის, 2014 წლის 7 ნოემბრიდან 2022 წლის პირველ მარტამდე პერიოდის მიუღებელი ხელფასის, ხელფასში შემავალი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, კანონით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე და მორიგი სპეციალური ნოდების გათვალისწინებით 150 990,40 ლარის, გ. გ-ასა და სს „... ბანკს“ შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების შესრულებაში 2014 წლის 8 ნოემბრიდან დღემდე საქმეზე მისაღები შემაჯამებელი გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით გამონეული ზიანის 190 000 ლარის, არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში მოსარჩელის შეყვანით ქონებრივი ზიანის 25 000 ლარის და მორალური ზიანის 50 000 ლარის მოპასუხეზე დაკისრება. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით ასევე მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარებისთვის 20 000 ლარის, მინდობილობების, დავალების ხელშეკრულებისა და დოკუმენტების სანოტარო წესით დამონშვებისთვის გაღებული სანოტარო ხარჯის – 100 ლარის, სა-

სამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლოს გადანყევტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 200 ლარის, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებული ხარჯის – 1500 ლარის, ქალაქის ფურცლებისთვის – 100 ლარის, ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯის – 50 ლარის, ლითონის აკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯი – 10 ლარის, საფოსტო კავშირისთვის გაღებული ხარჯის – 70 ლარის, საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული ხარჯის – 10 ლარის, სასამართლოში გამოცხადებისას, გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული ხარჯის – 300 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ასანაზღაურებლად – 5000 ლარის, საქმეზე მიღებული სასამართლოს გადანყევტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის – 7000 ლარის ოდენობით მოპასუხეზე დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1997წ. ჩაირიცხა შს სამინისტროს აკადემიაში, რომლის კურსი დაამთავრა 2001წ. და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. მოსარჩელე მსახურობდა შს სამინისტროს სენაკის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შსს ... დეპარტამენტში, შსს ...ის საქალაქო სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე. შსს ...ის სამხარეო სამმართველოს უფროსის 11.06.2014წ. ბრძანებით მოსარჩელე გამწესდა ...ის საქალაქო სამმართველოს ...ის პოლიციის განყოფილების ...ის თანამდებობაზე. 07.11.2014წ. მოსარჩელე დაკავებული და მოთავსებული იქნა შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო 08.11.2014წ. პროკურორის დადგენილებით ბრალდებულად იქნა ცნობილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.01.2015წ. განჩინებით, აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული პატიმრობა შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიებით – გირაოთი. მოსარჩელის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე დასრულდა მის სასარგებლოდ, საბოლოოდ გ. გ-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა. მის მიმართ წარმოებული საქმის მიმდინარეობისას, მთელი 7 წლის მანძილზე მოსარჩელე იმყოფებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში, რამაც იგი უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში და ყოველდღიურ სტრესში, შფოთვასა და გაურკვეველობაში ამყოფა. აღნიშნულმა მდგომარეობამ მოსარჩელეს და მისი ოჯახის წევრებს შეუქცევადი მორალური ტანჯვა მიაყენა. სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით და ამავე კონვენციის

მე-7 ოქმის მესამე მუხლით. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სკ-ის 1005-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. მითითებული ნორმის მიზნებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. რეაბილიტაცია შელახული ღირსების აღდგენას, ჩამორთმეული უფლებების დაბრუნებას გულისხმობს. სკ-ის 1005.3 მუხლი რეაბილიტირებული პირებისთვის წარმოადგენს სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურების მიღების გარანტიას. მოსარჩელის მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში არსებული განაჩენები წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოცულობას, ამ მიმართებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი. მორალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად. მორალური ზიანის თანხა უნდა იყოს იმ ოდენობის, რომ სახელმწიფოს შეკავება გამოიწვიოს, ვინაიდან მისმა მცირე ოდენობამ შესაძლოა სახელმწიფო წაახალისოს ანალოგიური ზიანის მიყენებაზე. მოსარჩელის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების გამო სამსახურში დაკავებული თანამდებობიდან ჯერ გათავისუფლებითა და შემდგომ თანამდებობიდან გადაყენების გამო, მოსარჩელემ ვერ მიიღო 2014 წლის 7 ნოემბრიდან დავის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში კუთვნილი თანამდებობრივი სარგო, მასში შემავალი ყველა კომპონენტით, ვერ ისარგებლა ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით. მითითებული პერიოდიდან განაცდური ხელფასის დაანგარიშება თითოეული წლისათვის უნდა მოხდეს, როგორც მორიგი სპეციალური წოდებისათვის, ასევე წელთა ნამსახურობის მხედველობაში მიღებით. მოსარჩელის ერთადერთი სამსახური იყო შს სამინისტროს ორგანო. მის შემოსავალზე იყო დამოკიდებული მისი მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები. მოსარჩელემ და მისმა ოჯახმა მთლიანად დაკარგა შემოსავალი, რის გამოც მოსარჩელის ოჯახი რეგისტრირებული იქნა სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მოპასუხის უკანონო ქმედებებმა სიღარიბის მიღმა აღმოაჩინა მოსარჩელე და ის პირები, რომლებზედაც მოსარჩელეს ზრუნვის ვალდებულება კანონით გააჩნია. ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი

ხელფასი უნდა ანაზღაურდეს იმ ოდენობით, რაც მოსალოდნელი იყო, თუკი მოსარჩელე გააგრძელებდა მუშაობას იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობებისა და ზღვრული წოდების თანხვედრით. მიუღებელი ანაზღაურების გამოანგარიშება უნდა მოხდეს ე.წ. „ხელზე ასაღები“ თანხის ოდენობით, რასაც მოსარჩელე მიიღებდა კანონით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის შედეგად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბრალდებულის სახით დაკავებამდე გ.გ-ას სს „... ბანკთან“ დადებული ჰქონდა საბანკო კრედიტის ორი ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ სესხის სახით მიიღო მთლიანობაში 25 800 ლარი, რომელიც ყოველთვიური პერიოდულობით უნდა დაეფარა 2017 წლის 2 ივნისამდე და დაფარვის ერთადერთი წყარო მოსარჩელის ხელფასი იყო. მოსარჩელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების და შემდგომში თანამდებობიდან გადაყენების შემდგომ მან ველარ შეძლო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით დაყოფილი გრაფიკით დადგენილი ვალდებულების შესრულება. შეუსრულებელი ვალდებულების გამო მას გადასახდელო და ეკისრა პროცენტები, ჯარიმები, საურავები და სხვაგვარი სანქციები, ამასთან, მოსარჩელე შეყვანილი იქნა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – ე.წ. „შავ სიაში“, რამაც მოსარჩელეს საკრედიტო ბაზარზე დამატებითი და შეუქცევადი ზიანი მიაყენა. მოსარჩელემ ვერ შეძლო სესხის მიღება საბანკო დანესებულებისაგან ცუდი საბანკო რეპუტაციის გამო, რაც მისთვის მუდმივად მორალური ზიანის მიმყენებელია. სს „... ბანკმა“ გ.გ-ას სასესხო ვალდებულებაზე მოთხოვნის უფლება საკუთრებით გადასცა შპს „...ს“, რომლის 06.12.2021წ. ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის ჯამური ვალდებულება შეადგენს 138 864,35 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხაა 12 200,95 ლარი, საკომისიო – 208,27 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 116 537,19 ლარი. გადაუხდელი სასესხო ვალდებულების ძირითად თანხაზე საკომისიოს და პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხების წარმოშობა პირდაპირ და უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებულ უკანონო მოქმედებებთან. აღნიშნულის გამო, მოპასუხეს უნდა დაეკისროს გადაუხდელი სასესხო ვალდებულების ძირითად თანხაზე საკომისიო და პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხები სრულად, მოცემულ საქმეზე მისაღები შემაჯამებელი გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სკ-ის 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.12.2021წ. განჩინებით, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე

საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.2022წ. გადაწყვეტილებით, გ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა მოსარჩელის გ. გ-ას სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირის, უკანონო სისხლისამართლებრივი დევნისა და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებით, მიყენებული მორალური ზიანის 7000 ლარის ოდენობით ანაზღაურება, მატერიალური ზიანის სახით 2014 წლის 7 ნოემბრიდან 2022 წლის 16 მარტამდე პერიოდის მიუღებელი ხელფასის (ხელფასში შემავალი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) – 120 792.32 ლარის ოდენობით ანაზღაურება, მოსარჩელესა და სს „... ბანკს“ შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების შესრულებაში 2014 წლის 8 ნოემბრიდან საქმეზე მისაღები შემაჯამებელი გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით გამოწვეული მატერიალური ზიანის სახით – 116 534.19 ლარის ოდენობით ანაზღაურება, სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ასევე სასამართლოსგარეშე ხარჯის, სანოტარო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის 13.80 ლარის, საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით გამოყენებული ქაღალდის ღირებულება 50 ლარის და მტკიცებულებათა მოძიების პროცესში საფოსტო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის 43.61 ლარის ანაზღაურება, სხვა ნაწილში სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის, წარდგენილი ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმთავითვე გულისხმობს პირის სამართლებრივ რეაბილიტაციას და წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია. სკ-ის 1005-ე მუხლის მიზნებისათვის მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს (სუსგ 07.02.2019წ. საქმე №ბს-432-429(2კ-17)). ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ეკავა კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, თუმცა მის მიმართ სისხლისსამართლებრი-

ვი დევნის მიმდინარეობის გამო იგი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ამდენად, ვერ მიიღო ხელფასის სახით შემოსავალი. გარდა ამისა, სახეზეა მარეაბილიტირებელი გარემოება, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს, შესაბამისად, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ფულად ზარალსა და მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის თანმდევ შედეგებს შორის. მიუღებელი ანაზღაურების გამოანგარიშება უნდა განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით, მისი გამოკლებით, შესაბამისად, ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ თანხიდან, რასაც გ. გ-ა უშუალოდ მიიღებდა შრომის ანაზღაურების სახით, კანონით გათვალისწინებული გადასახადის დაქვითვის შემდგომ. მოსარჩელის მიერ 2014 წლის ნოემბრიდან 2022 წლის 16 მარტამდე პერიოდში მისაღები დარიცხული ხელფასი (თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, წელთა ნამსახურობის დანამატი) შესაბამისი წოდებების გათვალისწინებით შეადგენდა 150 990.40 ლარს. ამდენად, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ოდენობა, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შეადგენს 150 990.40 ლარს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის ექვივალენტური ოდენობა, რამაც საბოლოო ჯამში შეადგინა 120 792.32 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სასესიო ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით გამოწვეული მატერიალური ზიანის სახით – 190 000 ლარის ოდენობით ანაზღაურებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დარიცხული პირგასამტეხლოს – 116 534.19 ლარის ნაწილში. მოსარჩელესა და საბანკო დანესებულებას შორის კრედიტის ხელშეკრულება დაიდო 09.06.2014წ., ამასთან, იგი დააკავეს 07.11.2014წ. და 08.11.2014წ. წარედგინა ბრალდება, რის შემდეგაც პოლიციის მაიორი გ. გ-ა გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან 2014 წლის 08 ნოემბრიდან სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ძირითადი საკრედიტო ვალდებულების გადახდასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მატერიალური ზიანის სახით მოსარჩელეს მოცემული დავის ფარგლებში აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური – მიუღებელი ხელფასი, შესაბამისად მას პირვანდელი მდგომარეობის არსებობის პირობებში ხელფასიდან უნდა გადაეხადა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, თუმცა პირგასამტეხლოს დარიცხვა გამოწვეულია სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის შემდეგ ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით, შესაბამისად არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელისთვის 116 534.19

ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებასა და მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ დევნის თანმდევ შედეგებს შორის. მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება პირის არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის პირობებშიც უსაფუძვლოა მხოლოდ ამ ფაქტზე მითითებით მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრება, რადგან გ. გ-ა ვერ ადასტურებს რაიმე სახის ზიანის დადგომის ფაქტს მისი შავ სიაში დარეგისტრირებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მორალური ზიანი არაქონებრივ ზიანს წარმოადგენს და მას ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. იგი დაკავშირებულია პირის პატივისა და ღირსების შელახვასთან, განცდილ სტრესთან, შიშთან, უარყოფით ემოციებთან და ა.შ.. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. მოსარჩელე 2014 წლის 07 ნოემბრიდან 2015 წლის 08 იანვრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში, ამასთან, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა 19.12.2018წ.. ამრიგად, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში მოსარჩელის მიმართ გამოყენებული დაკავების, აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის და აქედან გამომდინარე, მის მიერ განცდილი სტრესის, შიშის და უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 50 000 ლარი არ წარმოადგენს ადეკვატურ ოდენობას, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაევალოს მორალური ზიანის ანაზღაურება 7000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.2022წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის და გ. გ-ას მიერ. სააპელაციო საჩივრით აპელანტმა გ. გ-ამ ასევე მოითხოვა სააპელაციო განხილვის ეტაპზე სასამართლოსგარეშე ხარჯების მონინალმდევე მხარისთვის დაკისრება, კერძოდ, საადვოკატო მომსახურების ხარჯი – 25 000 ლარი, სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელებისა და მისი წარმომადგენლების სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად გაღებული ხარჯი – 180 ლარი, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე – 80 ლარი, ქალაქის ფურცლებისთვის – 179 ლარი, ასლების მომზადებაზე – 47 ლარი, მათი ლითონის აკინძვით შეკვრაზე – 0,59 ლარი, საფოსტო კავშირისთვის – 52 ლარი, საფოსტო კონვერტით შესაფუთად – 13 ლარი, მოსარჩელის და

მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯების ანაზღაურება – 130 ლარი, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 6000 ლარი, საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით. საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარზე წარდგენილი სააპელაციო შესაგენლით გ. გ-ამ ასევე მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარეზე საადვოკატო მომსახურების ხარჯის 14 000 ლარის და სხვა სასამართლო **სგ** არეში ხარჯების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.2023წ. განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სს „... ბანკსა“ და ...ს დაევალათ შვიდი სამუშაო დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში სს „... ბანკსა“ და გ. გ-ას შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენა, მათ შორის ინფორმაცია, გ. გ-ას მიერ კრედიტორი ბანკის სასარგებლოდ ძირითანხის, სარგებლის და პირგასამტეხლოს გადახდის, ასევე ბოლოს გ. გ-ას მიერ სესხის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის, კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით მოვალის გაფრთხილების თაობაზე, სს „... ბანკს“ და ...ს ასევე დაევალათ შვიდი სამუშაო დღის ვადაში 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე გ. გ-ასთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემცირების ან გაუქმების თაობაზე ინფორმაციის სააპელაციო პალატაში წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.04.2023წ. განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და სენაკის რაიონულ სასამართლოს დაევალათ ორი სამუშაო დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გ. გ-ასა და სს „... ბანკს“/...ს საბანკო საკრედიტო ურთიერთობებიდან გამომდინარე სასამართლოს დავის არსებობისა და შედეგის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა.

შპს „...ს“ 19.04.2023წ. წერილის თანახმად, სასესიო ვალდებულების სრული თანხა შეადგენს 138 809,077 ლარს, საიდანაც ვალდებულების ძირია 12 200,95 ლარი, საკომოსიო 208,27 ლარი, პროცენტი – 9 915,94 ლარი, ხოლო ჯარიმა 116 484,61 ლარი. აღნიშნული ინფორმაცია შპს „...სთვის“ ცნობილი გახდა ვალდებულების ძველი კრედიტორისაგან. ვალდებულების კომპანიაში გადმოსვლიდან დღემდე პირგასამტეხლოს ოდენობა არ შეცვლილა, კომპანია ასევე არ ფლობს ინფორმაციას ძველი კრედიტორის მიერ გ. გ-ას გაფრთხილების თაობაზე, ხოლო ბოლო

გადახდა ფიქსირდება 04.09.2015წ..

თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.04.2023წ. წერილის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანცელარიის ელექტრონული ბაზის მონაცემებით, 2013 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 24 აპრილის ჩათვლით, სამოქალაქო საქმე მხარეების გ. გ-ას, სს „... ბანკის“/...ს მონაწილეობით არ არის რეგისტრირებული.

სენაკის რაიონული სასამართლოს 26.04.2023წ. წერილის მიხედვით, სს „... ბანკის“/შპს „...ს“ სამოქალაქო სარჩელი მოპასუხის გ. გ-ას მიმართ სენაკის რაიონულ სასამართლოში შემოსული და განხილული არ ყოფილა.

სს „... ბანკის“ 03.05.2023წ. წერილის თანახმად, გ. გ-ას სამომხმარებლო სესხი (№ 1802220-2607157) 10.09.2021წ. გაიყიდა შპს „...ზე“, შესაბამისად, მოვალის გაფრთხილების და დღეის მდგომარეობით არსებული დავალიანების თაობაზე სს „... ბანკი“ ინფორმაციას არ ფლობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.05.2023წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის და გ. გ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის გ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის 1500 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც იგი ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას სხვა გარემოებებთან ერთად პირველი ინსტანციის სასამართლოს

მიერ მართებულად იქნა მხედველობაში მიღებული მოსარჩელის ბრალდებულად ყოფნის პერიოდის ხანგრძლივობა, ასევე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში პროკურორის მიერ გასაჩივრების სააპელაციო და საკასაციო უფლების გამოყენების შედეგად ფაქტობრივად განვლილი პერიოდი საქმის წარმოების საბოლოო დასრულებამდე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია უკანონო მსჯავრდების შედეგად მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელეს ეკავა კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, თუმცა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის გამო იგი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ამდენად, ვერ მიიღო ხელფასის სახით შემოსავალი, შესაბამისად, დადასტურებულია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა მატერიალურ ზარალსა და მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის თანმდევ შედეგებს შორის. მიუღებელი ხელფასი უნდა ანაზღაურდეს იმ ოდენობით, რაც მოსალოდნელი იყო, თუკი გ. გ-ა გააგრძელებდა მუშაობას იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობებისა და ზღვრული წოდების თანხვედრით. მიუღებელი ხელფასი, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი დანამატი და წელთა ნამსახურობის დანამატი. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ გ. გ-ას მიერ 2014 წლის ნოემბრიდან 2022 წლის 16 მარტამდე პერიოდში მისაღები დარიცხული ხელფასი (თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, წელთა ნამსახურობის დანამატი) შესაბამისი წოდებების გათვალისწინებით შეადგენდა 150 990.40 ლარს. ამდენად, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ოდენობა, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას შეადგენს 150 990.40 ლარს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის ეკვივალენტური ოდენობა. საბოლოო ჯამში აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 120 792.32 ლარი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელესა და საბანკო დანესებულებას შორის კრედიტის ხელშეკრულება დაიდო 09.06.2014წ., ამასთან, იგი დააკავეს 07.11.2014წ., ბრალდება წარედგინა 08.11.2014წ., რის შემდეგაც მოსარჩელე გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან 2014 წლის 08 ნოემბრიდან სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ძირითადი საკრედიტო ვალდებულების გადახდასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეს მოცემული დავის ფარგლებში აუნაზღაურდა იძულებითი განაცდურის სახით მიუღებელი ხელფასი (მატერიალური ზიანი), შესა-

ბამისად მას პირვანდელი მდგომარეობის არსებობის პირობებში ხელფასიდან უნდა გადაეხადა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, თუმცა პირგასამტეხლოს დარიცხვა გამონეწეულია სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის შემდეგ ვალდებულების შესრულებისთვის ხელის შეშლით, შესაბამისად, არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელისთვის 116 534.19 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებასა და მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ დევნის თანმდევ შედეგებს შორის.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სკ-ის 1005.2 მუხლით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულს უშუალოდ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ დროულად წარდგენილი საჩივრის ან სარჩელის შეტანის გზით შეეძლო მიყენებული ზიანის აცილება ან შემცირება. მოცემულ შემთხვევაში საბანკო დაწესებულებამ გ. გ-ა დააჯარიმა 116 484.61 ლარით საკრედიტო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო. დელიქტურ სამართალში დამკვიდრებული მოსაზრების და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კანონმდებელს მხედველობაში აქვს ძირითადად ის შემთხვევა, როდესაც დაზარალებულს უშუალოდ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ დროულად წარდგენილი საჩივრით ან სარჩელით შეტანის გზით შეეძლო მიყენებული ზიანის აცილება ან შემცირება. მოცემულ შემთხვევაში გ. გ-ა საბანკო დაწესებულებამ დააჯარიმა საკრედიტო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო. კრედიტორის თავდაპირველი სარჩელის გარეშე მხოლოდ მოვალე გ. გ-ას ინიციატივით აღძრულ აღიარებით სარჩელს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით განხილვის პერსპექტივაც არ აქვს. საქმის მასალებით არ დასტურდება ასევე ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მატერიალური ზიანი გ. გ-ას მხრიდან მისი ბრალეული კანონშეუსაბამო ქმედებებით იქნა გამოწვეული, რაც გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებულ შერეული ბრალის არსებობას. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანასთან დაკავშირებით მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან გ. გ-ა ვერ ადასტურებს რაიმე სახის ზიანის დადგომის ფაქტს მისი შავ სიაში დარეგისტრირებით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების შედეგად მოსარჩელეს წარმოეშვა ადვოკატის მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება, შესაბამისად, მას უნდა აუნაზღაურდეს აღნიშნული ხარჯი მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, გონივრული ოდენობით. სარჩელის ნაწილობ-

რივ დაკმაყოფილების პირობებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას მართებულად დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლოსგარეშე ხარჯის სახით 3000 ლარის ანაზღაურება. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სხვა სასამართლოსგარეშე ხარჯების ნაწილში. სსკ-ის 53-ე მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხეს გ. გ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისთვის გაწეული ხარჯის ჯამში – 1500 ლარის გადახდა, ნაცვლად მოთხოვნილი 14 000 ლარისა, ხოლო დანარჩენ ნაწილში უსაფუძვლოების გამო არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის მოთხოვნა საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის სასამართლოსგარეშე სხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.05.2023წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა გ. გ-ას და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

კასატორმა გ. გ-ამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ქვედა ინსტანციის სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს და მისი ოჯახის წევრებს მიადგა შეუქცევადი მორალური ტანჯვა, რაც გამოწვეული იყო პროკურატურის მხრიდან საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებით მოსარჩელის დამნაშავეობასთან დაკავშირებით. ოთხ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე ატარებდა ბრალდებულის სტატუსს, ხოლო მის მიმართ უკანონო ბრალდების არსებობის საფუძველი – შს ორგანოებიდან გადაყენებული პირის სტატუსს. სისხლის სამართლის საქმეზე მისი დაკავებისა და დევნის გამო მოსარჩელეს დაეუფლა დაუცველობის განცდა, უსამართლობის შიში, განიცადა სულიერი ტკივილი, შეეღაზა საქმიანი რეპუტაცია, არა ერთ საინფორმაციო საშუალებებში მისი დაკავების გავრცელებით საზოგადოების წინაშე წარმოჩინდა, როგორც კრიმინალი. უკანონო ბრალდების გამო მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა და მოსარჩელის კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილები ვერ უმკლავდებოდნენ ჯანმრთელობის პრობლემებს, რადგან მოსარჩელემ დაკარგა ერთდაერთი შემოსავალი. ამდენად, მორალური ზიანის ოდენობის ნაწილში სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

კასატორმა გ. გ-ამ აღნიშნა, რომ ხელფასის სახით განცდილი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ არასწორად ჩამოაყალიბა სარეზოლუციო ნაწილი. მართალია, სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ პროკურატურისთვის დაკისრებული თანხა 120 792,32 ლარი წარმოადგენს უკვე დაქვითულ თანხას, თუმცა აღნიშნული არ

მიეთითა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. ამის გამო აღსრულება შეიძლება წარმართოს იმგვარად, რომ უკვე დაქვითულ თანხას კიდევ დაექვითოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები. იმისათვის, რომ სამომავლოდ არ დადგეს განმარტების საპროცესო ძალისხმევაზე დროის და ენერგიის ხარჯვის წინაპირობები, ამ ნაწილში ახალი გადანყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ გაიზიარა მხოლოდ შეუსრულებელ ვალდებულებაზე პირგასამტეხლოს საფუძვლიანობა, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება არ შეიცავს დასკვნას შეუსრულებელ ვალდებულებაზე საკომისიოს სახით გადასახდელი თანხის 208,27 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. შეუსრულებელ ვალდებულებაზე საკომისიოს სახით გადასახდელი თანხის წარმოქმნა დაკავშირებულია მოსარჩელის დაკავებასთან და მისთვის უკანონო ბრალდების წაყენებასთან. პირგასამტეხლოს ოდენობა სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოთვლილი. მატერიალური ზიანის სახით 1 16 534,19 ლარის ოდენობის ნაწილში სასამართლო დაეყრდნო შპს „...ს“ ცნობას, რომელიც ასახავდა მისი მომზადების დროისთვის – 06.12.2021წ. არსებულ პირგასამტეხლოს. ხსენებული თანხა მზარდია ყოველდღიურად და გადანყვეტილების გამოტანის ეტაპზე აღნიშნული თანხა შეადგენდა 180 000 ლარს. აღნიშნული თანხა კვლავ იზრდება საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზეც. ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ აღნიშნული ზიანი მოპასუხეს დაეკისრა აღსრულებამდე, ხოლო მითითებული არ არის მისი მოცულობა და გამოანგარიშების წესი აღსრულების პერიოდისთვის. მართებული იქნებოდა სასამართლოს მიეთითებინა მოპასუხისთვის მატერიალური ზიანის სახით 1 16 534,19 ლარის ოდენობით 2021 წლის 6 დეკემბრამდე, ხოლო 2021 წლის 6 დეკემბრიდან ყოველთვიურად ფიქსირებული პირგასამტეხლოს 20 ლარის დაკისრების თაობაზე, ამასთან, 13 800 ლარის 0,5%-ის ყოველდღიურად აღსრულებამდე დაკისრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს ამ ნაწილთან მიმართებით შესაგებლად რაიმე შედავა არ წარმოუდგენია. დაუსაბუთებელია სასამართლოს გადანყვეტილება მოსარჩელის არაკეთილსინდისიერ პირთა რეეტრში შეყვანით გამოწვეული მატერიალური ზიანის 25 000 ლარის და მორალური ზიანის 50 000 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სწორედ პროკურატურის უკანონო მოქმედებით და მისი ბრალეულობით ვერ გადაიხადა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამ დასაბუთებით პროკურატურას დაეკისრა პირგასამტეხლოს თანხა. საბანკო ვალდებულების შეუსრულებელი მო-

ცულობა 9 წლის განმავლობაში გასცდა 200 000 ლარს, შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე შეყვანილი იქნებოდა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში და 9 წელი მას კეთილსინდისიერ პირად არავინ განიხილავდა საბანკო კრედიტის ბაზარზე, ამასთან, ამ ნაწილთან მიმართებით პროკურატურას შესაგებლით რაიმე სახის შედაგება არ წარმოუდგენია. პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური თავისებურება ისაა, რომ მისი გაქარწყლება ევალება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს ეს ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში პროკურატურის ბრალით არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში მოსარჩელის შეყვანის ფაქტი მოწინააღმდეგე მხარეს სადავო არ გაუხდია. ამდენად, უნდა გაირკვეს სახეზე ხომ არ არის პრეზუმირებული ფაქტები, რითაც დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს გარკვეული ფაქტები. დამტკიცებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული მარტოოდენ ის ფაქტები, რომელთა შესახებ საქმეში წარმოდგენილია რაიმე სახის გამატერიალიზებული მტკიცებულება. აღნიშნულს ასევე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი საბანკო დანვსებულებების წერილობითი უარები მოსარჩელისთვის ახალი საბანკო სესხის გაცემაზე. ამდენად, არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში მოსარჩელის შეყვანის ფაქტი დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული. არაქონებრივი ზიანი უკვე სახეზეა ამგვარ რეესტრში მოპასუხის ბრალეულობით შეყვანის გამო, რამეთუ პირს დაკარგული აქვს ფინანსურ და კერძო ბაზარზე კეთილსინდისიერი გადამხდელის სახელი და ის უვადოდ უნდა წარმოდგენდეს მოპასუხის გამო ამგვარ სიაში შეყვანილ პირს, რაც პირდაპირ აისახება მოსარჩელის მატერიალურ მდგომარეობაზე.

კასატორმა გ. გ-ამ აღნიშნა აგრეთვე, რომ დაუსაბუთებელია ადვოკატის დახმარებისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში მარტოოდენ 3000 ლარის და სააპელაციო ინსტანციის ეტაპზე 1500 ლარის მოპასუხეზე დაკისრება. წარმომადგენლობა განეული იქნა იშვიათი კატეგორიის, განსაკუთრებით რთული კატეგორიის დავაზე, არა ერთი მოთხოვნით, რაც განეული შრომისთვის ძალზე მცირეა და ვერ უზრუნველყოფს ადვოკატის წინაშე მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. დაუსაბუთებელია ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა სახის სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმასთან მიმართებით, რამეთუ ისინი განეული იქნა. დადგენილია, რომ მოსარჩელეებმა საქმის საწარმოებლად განიეს გარკვეული ხარჯები, რომლის გარეშე საქმეში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ფურცლები, ასლები, ფოსტით გამოგზავნილი საჩივრები, აკინძული მასალები და სხვ., შესაბამისად განეული ხარჯის განევა იმთავითვე პრეზუმირებულია საქმეში ამ ნივთების არსებობის გამო. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა სანჯავის ანაზღაურებაზე უარის თქმის

თაობაზე, ვინაიდან ის სხდომამდე იყო შეძენილი სასამართლოში გამოცხადების მიზნებისთვის და მის შეძენას სხვა მიზანი არ გააჩნდა. ამ პრეტენზიასთან მიმართებით კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს 07.05.2018წ. განჩინებაზე (საქმე №ას-316-316-2018).

კასატორმა მოითხოვა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.03.2023წ. და 10.04.2023წ. განჩინებების გაუქმება. სააპელაციო პალატამ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სტადიაზე გამოითხოვა მტკიცებულებები იმ ფაქტების დასადგენად, რომელსაც სადავოდ არ ხდიდა პროკურატურა პირველი ინსტანციის სასამართლოს არც ერთ ეტაპზე. უკანონოა მხარის მითითების გარეშე სადავო გარემოებების სასამართლოს ინიციატივით კვლევა და ძიება მაშინ, როდესაც მხარეს არ მიუთითებია სააპელაციო საჩივარში მის მიერ სადავოდ მიჩნეული კონკრეტული გარემოებების შესახებ, ასევე პროკურატურას არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან ვერ შეძლო ამ მტკიცებულებების მოძიება. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი სააპელაციო საჩივარი, ხოლო განჩინების ნაცვლად მიიღო გადაწყვეტილება, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 386-ე მუხლს. თანმდევი შედეგით უნდა გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს გარეშე ხარჯების ნაწილში. კასატორმა ასევე მოითხოვა ადვოკატისთვის დახმარებისთვის 25 000 ლარის ანაზღაურება საკასაციო ინსტანციის ეტაპისთვის. მოცემული დავა აღძრულია, როგორც არაქონებრივი, ასევე ქონებრივი მოთხოვნებით რამდენიმე სუბიექტის წინააღმდეგ, რაც მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებდა, სახეზე იყო მოპასუხეთა სიმრავლე. ადვოკატის მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოუდგენლობის შემთხვევაშიც, ის მაინც ექვემდებარება პროცესში წარუმატებელი მხარისთვის დაკისრებას, რამეთუ სახეზეა ვალდებულების წარმოშობის წინაპირობა – ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ფარგლებში კლიენტს შემსრულებლისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება აქვს. საგულისხმოა, რომ მოსარჩელეს გაღებული აქვს ხსენებული თანხა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. კასატორმა მიუთითა ეროვნული სასამართლეობის პრაქტიკაზე და ასევე აღნიშნა, რომ ადვოკატების ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული მიდგომა თავსებადია და გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ევროპული სტანდარტიდანაც. თუ კასატორის დაუშვებელ მოთხოვნებზე მონიშნულმდეგე მხარის მიერ წინააღმდეგობის განევის გამო მხარეს გაენია ადვოკატის მომსახურება ადვოკატის დახმარებისთვის ხარჯის ანაზღაურება არსებითად სწორია (სუსგ 30.10.2015წ. საქმე №ას-444-423-2015).

საპროცესო სამართალი ადვოკატის ხარჯის წაგებული მხარისთვის დაკისრების მიზნებისთვის ვერ დაადგენს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წინასწარ გადახდის ვალდებულებას, შესაბამისად, ჯერ კიდევ გადაუხდელი საადვოკატო მომსახურების საფასური, კანონით დადგენილი ოდენობის ფარგლებში, ექვემდებარება მონინალმდეგე მხარისთვის დაკისრებას.

კასატორმა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას საპროცესო ღონისძიებების გამოყენება განხორციელდა კანონით დადგენილი წესის დაცვით, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტს – სასამართლო განჩინებას. ამდენად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ შეიძლება გაგებულ იქნეს პირისთვის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით ზიანის მიყენებად. მიუხედავად პირის გამართლებისა დაუშვებელია მიჩნეულ იქნეს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებულმა ყველა მოქმედებამ არამართლობიერი ხასიათი შეიძინა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებას – აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, დამოუკიდებელი, კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და შესაბამისი გარემოებები გააჩნია. შესაბამისად, პირის გამართლების შემთხვევაში ვერ მიენიჭება კანონის საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებებს არამართლობიერი ხასიათი. საქმის მასალების მიხედვით, 07.11.2014წ. გ. გ-ა იქნა დაკავებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.11.2014წ. განჩინებით მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, 08.01.2015წ. განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო 10 000 ლარის ოდენობით, საქალაქო სასამართლოს 19.12.2018წ. განაჩენით გ. გ-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში. პროკურატურის მიმართ სახეზე არ არის ზიანის ანაზღაურების წინაპირობები (მართლსაწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი). მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლომ, გარდა მოსარჩელის განმარტებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკა, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ანალოგიურ საქმეებზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები (გ. გ-ას თავისუფლება შეზღუდული ჰქონდა ორი თვის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან რაიმე დავადების წარმოშობას ადგილი არ ჰქონია). ამდენად, მორა-

ლური ზიანის სახით 7 000 ლარის დაკისრება არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან და შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენს.

კასატორმა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია, ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა მისთვის მიყენებული ზიანისა და მისი მოცულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. იმისთვის, რომ შემოსავალი რეალურად მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან (სუსგ 03.05.2022წ. საქმე №ბს-705(კ-21), 28.04.2022წ. საქმე №ბს-164(კ-21), 12.07.2022წ. საქმე №ბს-508(2კ-21)). სსსკ-ის 159-ე-162-ე მუხლებით განსაზღვრულია ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, წესი და ვადა. პროკურატურას სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობით – გ. გ-ას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე არ მიუმართავს, შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 04.12.2014წ. შს მინისტრის ბრძანებით გ. გ-ა დათხოვნილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რაც სასამართლომ ბათილად ცნო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გ. გ-ას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ბრძანება მიიღო მხოლოდ 21.06.2016წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული 21.06.2016წ. ბრძანება, რომლის მიხედვითაც გ. გ-ა თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა 2014 წლის 08 ნოემბრიდან (ძველი თარიღით), ვერ გახდება საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი შემოსავლის) დაკისრების კანონიერი საფუძველი, ამასთან, სასამართლომ განაცდურის პერიოდი განსაზღვრა 2014 წლის 7 ნოემბრიდან – 2021 წლის 16 მარტამდე, ხოლო ამ პერიოდთან პროკურატურის შემცხელობა არ დაუსაბუთებია. გ. გ-ა გამართლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.12.2018წ. განაჩენით, რომელიც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.10.2019წ. და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.10.2021წ. განჩინებით, შესაბამისად, 2018 წლის 19 დეკემბრის შემდგომ დამსაქმებელის საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოსარჩელის სამსახურში აღუდგენლობა არ შეიძლება გახდეს პროკურატურისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. სადავო საკითხი შრომით-სამართლებრივ ქრილში უნდა გადაწყდეს, რაც შეიძლება წარმოშობდეს მოთხოვნას დამსაქმებლის და არა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიმართ. დაუსაბუთებელია სააპელაციო სამართლოს დასკვნა გ. გ-ას მიერ საბანკო ვალდებულებების მისი ხელფასიდან გადახდისა და სხვა ალტერნატიული შემოსავლის წყაროს არარსებობის თაობაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საბანკო ვალდებულებების შესრულება. აღსანიშნავია, რომ გ. გ-ას ორი თვის განმავლობაში ჰქონდა თავისუფლება შეზღუდული. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ შეუფასებია პირგასამტეხლოს სახით განსაზღვრული 116 484,61 ლარის ფაქტობრივი ზიანის სახით არსებობის ფაქტი. საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული პირგასამტეხლოს თანხა გ. გ-ას მიერ უკვე გადახდილი იქნა, ასევე არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის მოთხოვნილი თანხის დაკისრების შესახებ. ამდენად, სახეზე არაა ფაქტობრივი ზიანი, რომლის არარსებობის პირობებში კრედიტორის მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო ვერ იქნება განხილული ზიანად. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნებით არის გამოწვეული ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულად მიჩნევის პირობებში პირგასამტეხლოს ხანდაზმულად მიჩნევა. სკ-ის 129-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამ წელს შეადგენს. სკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეიტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქმის მასალების თანახმად ბოლო გადახდა ფიქსირდება 2015 წელს, შესაბამისად, გასულია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნის 3 წლიანი ვადა, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია. არსებობს ასევე საერთო სასამართლოების მყარად დადგენილი პრაქტიკა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე. კრედიტის თანხას შეადგენდა 12 200 ლარი, ხოლო პირგასამტეხლოს ოდენობად მიჩნეულია 116 484,61 ლარი. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოდ განსაზღვრული 116, 484.61 ლარის დაკისრება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ამასთან წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობას. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სკ-ის 1005.2 მუხლთან მიმართებით. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება მოვალე გ. გ-ას და კრედიტორის სს „... ბანკის“ ან/და მშს „...ს“ მიერ ზიანის აცილების მცდელობა. მოვალეს

არ მიუმართავს კრედიტორისთვის ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელების (დადგენილი პრაქტიკა), ვალის რესტრუქტურისაციის მოთხოვნით. თავის მხრივ არც კრედიტორს არ მოუთხოვია ვალდებულების შესრულება. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და პირგასამტეხლოს ზიანად მიჩნევა უკანონოა და არ გამოდინარეობს მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმებიდან. კასატორი ასევე არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პროკურატურისთვის საპროცესო ხარჯების დაკისრების თაობაზე. კასატორის მითითებით საქმეში წარმოდგენილი უნდა იყოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს ხარჯის გაღებასა და მის მიზნობრიობაში. სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის გაღებული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც გამორიცხავს მისი დაკისრების საფუძვლიანობას. უსაფუძვლოა ასევე პროკურატურისთვის სანოტარო მომსახურების 13.80 ლარის, საფოსტო მომსახურების 43.61 ლარისა და ქალაქის საფასურის 50 ლარის დაკისრება. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ გ. გ-ას სასამართლოში საქმის წარმოებისას დასჭირდა 50 ლარის ღირებულების ქალაქის შეძენა. აღნიშნული ხარჯის გაღების ფაქტი შესაბამისი მტკიცებულებით არ დასტურდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებების, გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ გ. გ-ას და საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია დაადგინოს საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. სააპელაციო სასამართლო, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სააპელაციო პრეტენზიების უარყოფის შემთხვევაში ვალდებულია მოიყვანოს მოსაზ-

რებები შესაბამის ფაქტებსა და ნორმებზე მითითებით. სსკ-ის 390-ე მუხლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ გამოორიცხავს სააპელაციო სასამართლოს კანონისმიერ ვალდებულებას დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრებში მოყვანილ არგუმენტაციას. სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და მხარის პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს.

საკაცაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველი სარჩელი ეფუძნება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, რაც გამოწვეულია მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობით (სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანით). საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ყველასთვის არის გარანტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სზაკ-ის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთანავე, სზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. ამდენად, რეაბილიტირებული პირისთვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს სახელმწიფო ანაზღაურებს (სკ-ის 1005.3). მოცემულ შემთხვევაში პროკურატურისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს ქმნის სკ-ის 1005.3 მუხლი, რომლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველად განიხილება ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარე-

მოების არსებობა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთ გარემოებას განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენის არსებობა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. საქმის მასალებში დაცული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 19.12.2018წ. განაჩენით, გ. გ-ა სისხლის სამართლის კოდექსის 338.1 მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, ასევე მას განემართა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 21.10.2019წ. განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.12.2019წ. განაჩენი დარჩა ძალაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 27.10.2021წ. განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი პროკურორის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.10.2019წ. განაჩენზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი, თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც მოქმედი კანონმდებლობით (სკ-ის 413 მუხ.) არის გათვალისწინებული (სუსგ 04.06.2015წ. საქმე №ბზ-485-474(2კ-14)). განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (უკანონო ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მომენტში ფორმალურად მართლ ზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მიიჩნევიან უკანონოდ. ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისთვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას (სუსგ №ბზ-485-474(2კ-14), 04.06.2015წ.). უკანონო დაკავების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის დასადასტურებლად გადაჭარბებული ფორმალიზმი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 5.5

მუხლით გათვალისწინებულ კომპენსაციის უფლებას („დანევი ბულგარეთის წინააღმდეგ“, 2010, §34-35). დაუსაბუთებელია მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კასატორის (გენერალური პროკურატურის) მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ პროკურატურის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ეფუძნებოდა კანონს, რაც კასატორის მოსაზრებით გამორიცხავს პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 9.1 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოა, რომელიც ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას (32-ე მუხ.). გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება (37.3 მუხ.), თავის მხრივ, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (37.2 მუხ.). სასამართლოს ექრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა (25.2 მუხ.). შეჯიბრებითობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მხარეებისთვის შექმნას შესაძლებლობა, წარმოადგინონ სისხლის სამართლის საქმის მოვლენათა განვითარების საკუთარი ვერსია, აღნიშნული ვერსიის ხელშემწყობი არგუმენტები და მტკიცებულებები, ასევე გამოთქვან მოსაზრებები, გაეცნონ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებს, გამოხატონ პოზიციები აღნიშნულ მტკიცებულებებზე ან/და საქმესთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებზე, გააქარწყლონ მოწინააღმდეგე მხარის ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ დასაბუთებული, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.12.2018წ. №2/13/1234, 1235 გადაწყვეტილება საქმეზე „რ. მიქელაძე და გ. ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75). სასამართლოა ის ორგანო, რომელიც როგორც ნეიტრალური არბიტრი, ორგანიზებას უწევს, ზედამხედველობს, აკვირდება და აკონტროლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, მათ შორის, მტკიცებულებების გამოკვლევას, რათა უზრუნველყოს სამართლიანი, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს დაფუძნებული

პროცესი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 28.12.2021წ. გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/1478, II-37). შეჯიბრებითი მოდელის მქონე სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში სამართალწარმოების მხარეებისა და გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების როლები გამოიწველია, მოსამართლის როლი შემოიფარგლება ნეიტრალური არბიტრის ფუნქციით, ხოლო ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის ინიციატივა მხარეებზეა მიმდობილი, რამდენადაც მიიჩნევა, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.09.2015წ. გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/608, 609 II-15). ამდენად, სისხლის სასამართლოწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ გამოყენებული მტკიცებულების ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდების მხარეს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე – პროკურატურა არ მიუთითებს იმ ეფექტიანი საპროცესო მექანიზმების არსებობაზე, რომელთა სასამართლოს მხრიდან გამოუყენებლობას მოსარჩელის უფლებების დარღვევის გამოწვევა შეეძლო. აღნიშნულის საპირისპიროდ, მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციას წარმოადგენდა დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება (სუსგ 20.07.2022წ. საქმე №ბს-628(2კ-20)). ამდენად, კასატორის (პროკურატურის) მითითება პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არარსებობის შესახებ დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მხოლოდ დარღვევის დადგენით ვერ კომპენსირდება უკანონო პატიმრობით მიყენებული მორალური ზიანი, ამდენად, არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს დაზარალებულის განცდების სიღრმის, ინტენსივობის და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას, შესაბამისად, კასატორის (მოპასუხის) მითითება სხვა საქმეებზე უსაფუძვლოა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხისთვის ასანაზღაურებლად დაკისრებული არაქონებრივი ზიანის ოდენობა პასუხობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციებს,

პასუხობს ინდივიდუალურ (ზემოქმედება ზიანის მიმყენებელზე) და ზოგად პრევენციას (უფლების ხელყოფისაგან თავის შეკავება სხვა პირის მიერ), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონანსოვნების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). კასატორი (მოსარჩელე) მიუთითებს, რომ უკანონო ბრალდების გამო ის და მისი ოჯახის წევრები გახდნენ სოციალურად დაუცველები და აღმოჩნდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა. აღსანიშნავია, რომ თავად მოსარჩელის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის ფაქტი არ დგინდება, საქმის მასალებში დაცულ 26.09.2018წ. მომზადებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერში მოსარჩელე მითითებული არ არის, ოჯახის წევრთა გრაფაში მითითებულია ნ. გ-ა, მ. გ-ა (მოსარჩელის შვილი) და ა. გ-ა (მოსარჩელის შვილი), ოჯახის მისამართად მითითებულია ქ. თბილისი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისში, ...ში, ...ში მდებარე 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ 22.12.2020წ. დარეგისტრირდა ნ. გ-ა (საკადასტრო კოდი ...). აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კასატორის მითითება იმაზე, რომ მის მიერ შემოსავლის წყაროს დაკარგვის გამო მისი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა, არ ქმნის მორალური ზიანის ოდენობის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საკმარის საფუძველს. კონვენციის 5.5 მუხლი ადგენს კომპენსაციის მიღების უფლებას უკანონო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, თუმცა არ ადგენს უფლებას კონკრეტული ოდენობის თანხაზე (Bakin Çarşdaş v. Turkey, 2006, §34). ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებით რთულია ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხება პირად განცდებს. არ არსებობს სტანდარტი, რომლითაც ტკივილი, ტანჯვა, ფიზიკური დისკომფორტი და ფსიქოლოგიურ სტრესი, ფულადი თანხის ოდენობით შეფასდება. კომპენსაციის ოდენობის დადგენისას გასათვალისწინებელია ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის პირის პატიმრობის ხანგრძლივობა (Vasilevskiy and Bogdanov v. Russia, 2018, §23). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არსებობს მოპასუხის მიერ იმ მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია მა-

რეაბილიტირებელი გარემოებით – მოსარჩელის მიმართ საბოლოოდ გამართლებელი განაჩენის მიღებით, ამასთანავე, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის (მოსარჩელეს თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა ორი თვით) და საბოლოოდ მოსარჩელის უდანაშაულოდ ცნობის გათვალისწინებით კასატორები ვერ ასაბუთებენ იმ გარემოებას, რომ მორალური ზიანის სახით მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა დარღვეული უფლების არაპროპორციულია.

მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლზე, რომელიც ადგენს კომპენსაციის გაცემას უკანონო მსჯავრდებისთვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონვენციის დამატებითი ოქმის მითითებული მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებული იქნა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომში ეს მსჯავრდება გაუქმდა ან პირი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო („მატვეევი რუსეთის წინააღმდეგ“, 03.07.2008წ.). ამდენად, მითითებული მუხლის მიზნებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია შეფასდეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შემთხვევა, როდესაც პირი გამართლდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოწარმოების ფარგლებში (ანუ პირს მსჯავრი არ დადებია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით) და შემთხვევა, როდესაც პირი გამართლდა და უდანაშაულოდ იქნა ცნობილი მისი მსჯავრდების შემდგომ. განსახილველ შემთხვევაში გ. გ-ა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 19.12.2018წ. განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 338.1 მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. აღნიშნული განაჩენი უცვლელი დარჩა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. ამდენად, მოსარჩელე პირველივე ინსტანციის სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში, რაც გამორიცხავს კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ფარგლების გავრცელების შესაძლებლობასა და არ ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მი-

უღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელ-
 საც იგი მიიღებდა, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევა-
 ში. განსახილველი ნორმის შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი წარ-
 მოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცი-
 ლებელია გათვალისწინებული იქნეს მისი მიღების მოსალოდნელობა. მი-
 უღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობების არსებობა და-
 მოკიდებულია პირისთვის დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად
 შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. აღნიშ-
 ნული ნორმა განსაზღვრავს იმ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას,
 რომელიც ანაზღაურებადია პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლები-
 დან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებ-
 ლობა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბრალდების წარდგენის დრო-
 ისთვის მოსარჩელეს ეკავა შსს ...ის სამხარეო მთავარი სამმართველოს
 ქ. ...ის საქალაქო სამმართველოს ...ის პოლიციის განყოფილების ...ის (დე-
 ტექტივი-გამომძიებლის) თანამდებობა. შს მინისტრის 04.12.2014წ. ბრძა-
 ნებით, შსს ...ის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქ. ...ის საქალაქო სამ-
 მართველოს ...ის პოლიციის განყოფილების ...ი (დეტექტივი-გამომძიე-
 ბელი), პოლიციის მაიორი გ. გ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდე-
 ბობიდან და დათხოვნილი იქნა შს სამინისტროდან საქართველოს სამ-
 ხედრო ძალების რეზერვში 2014 წლის 08 ნოემბრიდან. თბილისის საქა-
 ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.04.2015წ.
 გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა
 ცნობილი შს მინისტრის 04.12.2014წ. ბრძანება გ. გ-ას თანამდებობიდან
 გათავისუფლების და საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში დათ-
 ხოვნის შესახებ, შს სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშ-
 ვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ
 ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-
 მოცემა. მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შსს მი-
 ნისტრმა გამოსცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კერ-
 ძოდ, შს მინისტრის 21.06.2016წ. ბრძანებებით, ბათილად იქნა ცნობილი
 შს მინისტრის 04.12.2014წ. ბრძანება გ. გ-ას დაკავებული თანამდებობი-
 დან გათავისუფლების შესახებ და გ. გ-ა გადაყენებული იქნა დაკავებუ-
 ლი თანამდებობიდან 2014 წლის 08 ნოემბრიდან სისხლის სამართლის
 საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილე-
 ბის მიღებამდე. მოსარჩელის თანამდებობიდან გადაყენების ერთ-ერთ
 სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შინაგან საქმეთა
 მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართვე-
 ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 33.1 მუხ-
 ლი, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს მოსამსახურის დროებით
 გადაყენებას დაკავებული თანამდებობიდან სისხლის სამართლის საქ-

მეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ანალოგიურ დათქმას შეიცავს „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-40 მუხლი. განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნის ამ ნაწილში კასატორი (გენპროკურატურა) მიუთითებს განაცდურის დამსაქმებლის მიერ და არა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მიერ ანაზღაურების ვალდებულებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსგავსი კატეგორიის დავის ფარგლებში სასამართლოსათვის მიმართვის გზით ხორციელდება არა – იძულებითი განაცდური ხელფასის (როგორც ეს ხდება უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში), არამედ მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში პირისთვის ქონებრივი ზიანის – მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში გადამწყვეტია არა თანამდებობიდან გათავისუფლების/გადაყენების მართლზომიერების საკითხი, არამედ პროკურატურის მიერ გამართლებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უკანონოდ განხორციელება (სუსგ 20.07.2022წ. საქმე №ბს-628(2კ-20)). განსახილველ შემთხვევაში ბრალდების წარდგენის დღიდან – 2014 წლის 8 ნოემბრიდან მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი გახდა სისხლის სამართლის საქმეში მოსარჩელის ბრალდებულად ცნობა. დამატებით აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.02.2017წ. გადაწყვეტილებით, გ. გ-ას სარჩელი შს მინისტრის 21.06.2016წ. ბრძანებების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მითითებული საფუძველით გ. გ-ას თანამდებობიდან გადაყენება მიჩნეული იქნა მართებულად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში აღინიშნა, რომ გამართლების შემთხვევაში პირს აუნაზღაურდება იძულებითი განაცდური არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, მოსარჩელის მიერ შემოსავლის (ხელფასის) მიუღებლობა გამონვეული იქნა არა დამსაქმებლის ბრალეული ქმედებით, არამედ პროკურატურის უკანონო მოქმედებით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 33.2 მუხლი ითვალისწინებს პირის გამართლების შემთხვევაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას მისი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება კასატორის (პროკურატურის) მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე გამართლდა 19.12.2018წ. და ამ თარიღის შემდეგ მისი სამსახურში აღუდგენლობა არ არის გამონვეული პროკურატურის ბრალეული ქმედებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის აღნიშნული მოსაზრება არ ქნის ამ ნაწილში ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 33.1

მუხლითა და ამ ნორმის საფუძველზე მიღებული შს მინისტრის 21.06.2016წ. ბრძანებით გ. გ-ა დაკავებული თანამდებობიდან გადაყენებული იქნა სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 19.12.2018წ. გ. გ-ა წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა პირველი ინსტანციის – თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, რომელიც გასაჩივრდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 21.10.2019წ. განაჩენით არ დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი, საბოლოოდ სისხლის სამართლის საქმე დასრულდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 27.10.2021წ. განჩინებით, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი. ზემდგომ ინსტანციებში განაჩენს პროკურატურა ასაჩივრებდა. ამდენად, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული კასატორის (გენპროკურატურის) მითითება იმ გარემოებაზე, რომ დამსაქმებლის – შს სამინისტროს მიერ 2018 წლის 19 დეკემბრის შემდგომ მოსარჩელის სამსახურში აღუდგენლობა არ ქმნის პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანით სისხლის სამართლის საქმე პირველ ინსტანციაში 19.12.2018წ. არ დასრულებულა, აღნიშნულის გამო დამსაქმებელი ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას 19.12.2018წ. გამამართლებელი განაჩენის მიღებისთანავე აღედგინა მოსარჩელე სამსახურში, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს განაჩენი პროკურატურის მიერ გასაჩივრდა ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში და საბოლოოდ ძალაში შევიდა საკასაციო სასამართლოს 27.10.2021წ. განჩინებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი არის ანაცდენი სარგებელი, რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე (სუსგ 10.03.2014წ. საქმე №ას-218-210-2013). განსახილველ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიუღებელი ხელფასის ზიანის სახით ანაზღაურებისას გაითვალისწინეს საშემოსავლო გადასახადი და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრა აღნიშნული გადასახადის გამოკლებით, ანუ იმ თანხის ოდენობით, რასაც მოსარჩელე უშუალოდ მიიღებდა შრომის ანაზღაურების სახით, საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის შემდგომ. დასაბუთებული არ არის კასატორის (გ. გ-ას) მითითება ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებაზე იმ მხრივ, რომ სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს დაკისრებული თანხის დაქვითვაზე მითითებას. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 249.5 მუხლზე, რომ-

ლის მიხედვით სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში ასახული მათი სამართლებრივი შეფასების შედეგი. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით საბუთდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე დავის გადაწყვეტის კონკრეტული შედეგის მართლზომიერება, ხოლო კონკრეტული, აღსრულების ქვემდებარე სამართლებრივი შედეგი აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომლის დებულებები გაგებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით. სააპელაციო პალატა სამოტივაციო ნაწილში პირდაპირ უთითებს, რომ მიუღებელი ანაზღაურების გამოანგარიშება უნდა მოხდეს საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით, მისი გამოკლებით, შესაბამისად ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ თანხიდან, რასაც გ. ა მიიღებდა შრომის ანაზღაურების სახით, კანონით გათვალისწინებული გადასახადის დაქვითვის შემდგომ, 2014 წლის ნოემბრიდან 2022 წლის 16 მარტამდე პერიოდში გ. ა-ს მისაღები ხელფასი (თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, წელთა ნამსახურების დანამატი) შეადგენდა 150 990,40 ლარს, საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის გათვალისწინებით, მისაღები თანხა 120 792,32 ლარს შეადგენს (ანალოგიურ მითითებას შეიცავს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოტივაციო ნაწილი). აღსრულების სტადიაზე ხდება კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს გადაწყვეტილების და არა სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, შესაბამისად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითება დაკისრებული თანხის დაქვითვის შესახებ გამორიცხავს უკვე დაქვითული თანხის განმეორებით დაქვითვას. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მიუღებელი ანაზღაურების გაანგარიშება უნდა მოხდეს ე.წ. „ხელზე ასაღები“ თანხის ოდენობით, რასაც მოსარჩელე მიიღებდა კანონით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის შედეგად, ვინაიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურას მისი გადახდა ეკისრება ზიანის ანაზღაურების და არა ხელფასის სახით. ვინაიდან ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ თანხიდან, რასაც მოსარჩელე უშუალოდ მიიღებდა შრომის ანაზღაურების სახით, კანონით გათვალისწინებული გადასახადის დაქვითვის შემდგომ, ამასთანავე იმის გათ-

ვალისწინებით, რომ დაქვითული ხელფასის ოდენობა მოპასუხეს ეკისრება ზიანის სახით, არ არსებობს ზიანის დადგენილი თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დამატებით დაქვითვის საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში (განაცდურის დაკისრების ნაწილში) სარეზოლუციო ნაწილი შეესაბამება სამოტივაციო ნაწილში ასახულ მსჯელობას, ხოლო კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ გადანყვეტილება შეიძლება აღსრულდეს უკვე დაქვითული თანხის განმეორებითი დაქვითვის გზით, წარმოადგენს კასატორის (გ. გ-ას) ვარაუდს და არა დასაბუთებულ პრეტენზიას, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საქმეში დაცული მასალებით 09.06.2014წ. სს „... ბანკსა“ და გ. გ-ას შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლითაც კრედიტის თანხად განისაზღვრა 13 800 ლარი, კრედიტის ვადად – 1089 დღე, კრედიტის მიზნობრიობად მიეთითა პირადი ხარჯების ფინანსირება/მიმდინარე ვალდებულების დაფარვა. სესხის გრაფიკის მიხედვით, სესხის ბოლოს გადახდის თარიღად მიეთითა 02.06.2017წ.. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო კრედიტის ცნებას განსაზღვრავს სკ-ის 867-ე მუხლი, რომლის თანახმად საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე საბანკო ხელშეკრულება ყოველთვის სარგებლიან სესხს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს. განსახილველ შემთხვევაში 08.04.2022წ. დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა გ. გ-ასა და სს „... ბანკს“ შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების შესრულებაში 2014 წლის 8 ნოემბრიდან საქმეზე მისაღები შემაჯამებელი გადანყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის გათვალისწინებით, ვალდებულების ხელის შეშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას 190 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მითითებით მისი სამსახურიდან ჯერ უკანონოდ გათავისუფლების და შემდგომში თანამდებობიდან გადაყენების გამო ველარ შეძლო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით – გრაფიკით დადგენილი ვალდებულების შესრულება, შეუსრულებელი ვალდებულების გამო მას გადასახდელად დაეკისრა პროცენტები, ჯარიმები, საურავები და სხვაგვარი სანქციები. ამდენად, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მითითებულ ნაწილში აფუძნებდა მისი სამსახურიდან გადაყენების ფაქტსა და შესაბამისად ხელფასის მიუღებლობის გამო სესხის გადახდის შეუძლებლობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი ხელფასის ზიანის ანაზ-

ლაურების სახით მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სარჩელის საფუძველი (ამ შემთხვევაში მიუღებელი ხელფასი), რომელსაც ეფუძნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ნაწილში, აღარ არსებობს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან მოსარჩელის მითითებით სესხის და მისი პროცენტის დაფარვის ერთადერთი წყარო იყო ხელფასი, რომლის მიუღებელი ოდენობა ზიანის სახით დაკმაყოფილდა, არ არსებობს ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. რაც შეეხება კასატორის (გენპროკურატურის) მითითებას იმ გარემოებაზე, რომ არ დგინდება სესხის ხელფასიდან გადახდის შესაძლებლობა და სხვა ალტერნატიული შემოსავლის არარსებობა, კასატორის აღნიშნული მოსაზრება არ არის დასაბუთებული. კასატორი (გენპროკურატურა) არ მიუთითებს ისეთ სახის მტკიცებულებაზე, რომელიც მოსარჩელის შემოსავლის სხვა სახის წყაროს და ამ წყაროდან სესხის გადახდის შესაძლებლობას დაადასტურებდა, ამასთან, საქმეში დაცული მასალებით სასესხო ურთიერთობის დაწყებას წინ უძღოდა საბანკო ანგარიშიდან ამონაწერის სესხის გამცემ დაწესებულებაში წარდგენა ყოველთვიურად მიღებული ხელფასის მითითებით. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში, სხვა ნაწილში – მოსარჩელეს ეთქვა უარი. სარჩელის უარყოფილ ნაწილში გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული იქნა გ. გ-ას მიერ, თუმცა არც სააპელაციო საჩივარი და არც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი გ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს რაიმე სახის დასაბუთებას/პრეტენზიას სესხის ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ნაწილში ზიანის ანაზღაურების თაობაზე. როგორც სააპელაციო საჩივარში, ასევე საკასაციო საჩივარში კასატორი (გ. გ-ა) მიუთითებს მხოლოდ პირგასამტეხლოსა და საკომისიო თანხის მოპასუხისთვის დაკისრების საფუძვლების არსებობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს სკ-ის 416-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას. პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის (სკ-ის 417-ე მუხ.). პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველ-

ყოფის დამატებით საშუალებას და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციის ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა. პირგასამტეხლო არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში სს „... ბანკსა“ და გ. გ-ას შორის 09.06.2014წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის განისაზღვრა 20 ლარის ოდენობით გრაფიკის ყოველი დარღვევისას და ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის – დავალიანების 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. მოსარჩელემ აღნიშნული თანხის მოპასუხეზე ზიანის ანაზღაურების სახით დაკისრება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ გადაუხდეელი სასესხო ვალდებულების ძირითად თანხაზე პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხების წარმოშობა პირდაპირ და უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებულ უკანონო მოქმედებებთან. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის არსებობა წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ და სავალდებულო პირობას. ზიანის არსებობა ქონებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი ელემენტია, თუ არ არსებობს ზიანი, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ზიანი არის პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფა, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც წესი, ზიანის ოდენობა განისაზღვრება ქონებრივი ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებამდე პირის ქონებრივი მდგომარეობის შედარებით ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემდგომ პირის ქონებრივ მდგომარეობასთან. ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა (სხვაობის ჰიპოთეზა) „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სუსგ 07.10.2015წ. საქმე №ას-459-438-2015). ზიანად აგრეთვე შესაძლებელია მიჩნეული იქნეს ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამოწვეულია აქტივების შემცირებით ან/და პასივების ზრდით, ზიანი ასევე შესაძლებელია გამოიხატოს შემოსავლის მიღების დაბრკოლებაში. ამდენად, ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც რეალური ზიანი (სკ-ის 408.1 მუხ.), ასევე მიუღებელი შემოსავალი (სკ-ის 411 მუხ.). დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელე სესხის ხელშეკრულების შესრულებაში ხელის შეშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუ-

თითებს სკ-ის 408-ე, 411-ე-412-ე მუხლებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფაქტობრივი ზიანის და მიუღებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა კონკრეტული მტკიცებულებების შეფასების შედეგად დგინდება. როგორც უკვე აღინიშნა, სხვაობათა ჰიპოთეზის მიხედვით ქონებრივი ზიანი სახეზეა, თუ პირის ქონება ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე ამ ქმედების გარეშე იქნებოდა. ზიანი თავის მხრივ შეიძლება დაიყოს პოზიტიური (**damnum emergens**) და ნეგატიური (**lucrum cessans**) ზიანის სახეებად. პოზიტიური (იგივე რეალური) ზიანი გულისხმობს დაზარალებულის არსებული ქონების შემცირებას ან გასავლების გაზრდას, ხოლო მიუღებელი შემოსავალი არის წმინდა ეკონომიკური დანაკარგი, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენების ნორმალურად განვითარების შემთხვევაში. სკ-ის 408.1 მუხლით განმტკიცებულია ზიანის სრულად გამოსწორების პრინციპი, რაც გულისხმობს ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა ზიანის ანაზღაურების კომპენსაციის ფუნქციიდან გამომდინარე, მისი ოდენობა დაზარალებულისათვის რეალურად მიყენებული ზიანით უნდა შემოიფარგლოს და არ უნდა გამოიწვიოს ამ უკანასკნელის გამდიდრება (სუსგ №ას-1187-2018, 30.04.2020წ.).

მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ სს „... ბანკსა“ და გ. გ-ას შორის 09.06.2014წ. წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, სასესხო/საკრედიტო ურთიერთობა, რომლითაც ბანკმა გასცა, ხოლო მოსარჩელემ იკისრა გაცემული სესხის დაბრუნების ვალდებულება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული ურთიერთობის წარმოშობის შემდგომ 07.11.2014წ. გ. გ-ა დაკავებული იქნა და 08.11.2014წ. ცნობილი იქნა ბრალდებულად სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 09.11.2014წ. განჩინებით, ბრალდებულის გ. გ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა, რომლის ვადა ათივალა მისი დაკავების მომენტიდან. აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალა გირაოთი თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.01.2015წ. განჩინებით. ბრალდებულად ცნობის გამო მოსარჩელე გადაყენებული იქნა თანამდებობიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 19.12.2018წ. განჩინებით, გ. გ-ა წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. საბოლოოდ აღნიშნული განჩინებაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 27.10.2021წ. განჩინებით. საქმის მასალებში

დაცული შპს „...ს“ 06.12.2021წ. წერილის თანახმად, გ. გ-ას სასესიო ვალდებულება შეადგენს ჯამში 138 864 ლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 12 200,95 ლარი, საკომისიო 208,27 ლარი, ხოლო დარიცხული პირგასამტეხლო – 116 534,19 ლარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.2023წ. განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაციის, კერძოდ, შპს „...ს“ 19.04.2023წ. წერილის თანახმად, სასესიო ვალდებულების სრული თანხა შეადგენს 138 809,077 ლარს, საიდანაც ვალდებულების ძირია 12 200,95 ლარი, საკომისიო 208,27 ლარი, პროცენტი – 9 915,94 ლარი, ხოლო ჯარიმა 116 484,61 ლარი, აღნიშნული ინფორმაცია შპს „...სთვის“ ცნობილი გახდა ვალდებულების ძველი კრედიტორისაგან, ვალდებულების კომპანიაში გადმოსვლიდან დღემდე პირგასამტეხლოს ოდენობა არ შეცვლილა, კომპანია ასევე არ ფლობს ინფორმაციას ძველი კრედიტორის მიერ გ. გ-ას გაფრთხილების თაობაზე, ხოლო ბოლო გადახდა ფიქსირდება 04.09.2015წ. სს „... ბანკის“ 03.05.2023წ. წერილის თანახმად, გ. გ-ას სამომხმარებლო სესხი (№1802220-2607157) 10.09.2021წ. გაიყიდა შპს „...ზე“, შესაბამისად, მოვალის გაფრთხილების და დღეის მდგომარეობით არსებული დავალიანების თაობაზე სს „... ბანკი“ ინფორმაციას არ ფლობს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოს თანხის ოდენობის მოპასუხეზე დაკისრების საფუძველად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა გამოწვეულია სისხლის სამართლის საქმეში მოსარჩელის ბრალდებულად ცნობის შემდეგ ვალდებულების შესრულებაში ხელის შეშლით, შესაბამისად არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებასა და მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ დევნის თანმდევ შედეგებს შორის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით მოსარჩელეს უკანონოდ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით მიადგა მატერიალური ზიანი, რამაც შეადგინა 116 534,19 ლარი, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს მითითებული ოდენობა მოსარჩელისთვის დაკისრებულად მიიჩნია მხარეთა (ბანკსა და მსესხებელს) შორის არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების შეფასების გარეშე. საქმეში დაცული მასალებით არ დგინდება მოვალის (გ. გ-ას) მიერ ძველი ან/და ახალი კრედიტორისთვის (სს „... ბანკი“/შპს „...“) ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შპს „...ს“ წერილში მითითებული პირგასამტეხლოს გადახდის ფაქტი, შესაბამისად გამოკვლევას და შეფასებას საჭიროებდა პირგასამტეხლოს როგორც ნამდვილ ქონებრივ დანაკარგად მიჩნევის საფუძველების არსებობა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ მოუხდენია. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურე-

ბის სახით მოითხოვს პირგასამტეხლოს თანხის მოპასუხეზე დაკისრებას, თუმცა აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სასამართლოს არ გაურკვევია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის სახე, კერძოდ, პირგასამტეხლო წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის სახეს თუ სამომავლო, ფაქტობრივად ჯერ არდამდგარ ზიანს. აღნიშნული გარემოების დაზუსტება მნიშვნელოვანია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან სამომავლო ზიანის ანაზღაურება საჭიროებს მისი სამომავლოდ წარმოშობის, დადგომის შესაძლებლობის სათანადო მტკიცებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ შეუფასებიათ პირგასამტეხლოს, როგორც სამომავლო ზიანის, დადგომის გონივრული მოსალოდნელობა. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხისთვის ზიანის სახით პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მნიშვნელოვანია შეფასდეს კრედიტორის – შპს „...“ მიერ ვალდებულების შესრულების მიღების მიზნით ნების გამოვლენის ფორმა, ასევე ამგვარი ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის სფეროს ეკუთვნის მხოლოდ ნების გარეგნულად გამოხატული აქტები, სამართლებრივი შედეგის წარმოშობის მიზნებისთვის ნება არა მხოლოდ უნდა არსებობდეს, არამედ ის უნდა გამოვლინდეს კიდეც. იმისათვის, რომ ნებამ სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძინოს აუცილებელია მიიღოს განსაზღვრული გარეგანი გამოხატულება, რომლის გარეშეც პირის ნება ვერ აღიქმება და არ ექვემდებარება შეფასებას სამართლებრივი ნორმების თვალსაზრისით. ნების გამოვლენა გარეგნულად აღქმადი ნების აქტია, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის მიერ სანქცირებული სამართლებრივი შედეგებისკენ. მნიშვნელოვანია ნების გამოვლენის ფორმა და გამოვლენილი ნების სამართლებრივი შედეგების წარმოშობის შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ პირს სურს რაიმე სამართლებრივი შედეგის მიღწევა, ეს შედეგი ნების გამოვლენის გარეშე არ დადგება. როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირის უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან სათანადო გულისხმიერების, წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. ვალდებულების არსებობისას კრედიტორს აქვს ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური მოლოდინი, ხოლო ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – მისი მოთხოვნის იძულებით განხორციელების მოლოდინი. აღნიშნულის მიუხედავად დაცვის ღირსი არ არის კრედიტორის მოლოდინი განუსაზღვრელად, ნების მიერ დროს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესახებ (სუსგ 21.07.2022წ. საქმე №ბზ-1020(კ-19)). სამართალურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის ცოდნას. კა-

ნონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...“ მიმართ გ. გ-ას სასესხო ვალდებულების არსებობა იმთავითვე არ ადასტურებს ამ მოთხოვნის შესრულებაზე შპს „...“ მიერ ნების გამოვლენას ასეთი შესრულების მიღების მიზნით. მართალია, შპს „...“ საქმეში დაცულ წერილებში მიუთითებს სესხის აქტიურ ხასიათზე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების გრაფიკით გადახდის ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2017 წელი, ძველმა კრედიტორმა ახალ კრედიტორს მოთხოვნა დაუთმო 2021 წელს, საქმეში დაცული მასალებით არ დგინდება ძველი ან/და ახალი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება (მაგ., მოვალისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა, გაფრთხილება (სკ-ის 405-ე მუხ.), სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა და ა.შ.). საქმის მასალებით არ დასტურდება არც თავდაპირველი კრედიტორის სს „... ბანკის“ და არც ამჟამინდელი კრედიტორის შპს „...“ მიერ იძულებითი აღსრულების მექანიზმის განხორციელება, საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია თავდები, საქმის მასალებით არ დასტურდება თავდების მიმართ რაიმე ღონისძიების გატარება (09.06.2014წ. თავდების განცხადების და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ჩ. გ-ამ მსესხებელთან გ. გ-ასთან ერთად სოლიდარულად იკისრა მოვალის ვალდებულებები), ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ამ მიმართულებით მსჯელობა არ იქონიეს. საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე სს „... ბანკის“ და გ. გ-ას შორის დადებული ძირითადი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად 09.06.2014წ. დადებული №123123416046 გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გირავნობის საგნის რეალიზაცია სესხის დასაფარად ან კრედიტორის მიერ გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.04.2023წ. განჩინების საფუძველზე გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, თბილისის საქალაქო და სენაკის რაიონულ სასამართლოებში სს „... ბანკის“/შპს „...“ სამოქალაქო სარჩელი მოპასუხის გ. გ-ას მიმართ შესული და განხილული არ ყოფილა, შესაბამისად, კრედიტორს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სამართლებრივი დაცვის ღონისძიებებისთვის არ მიუმართავს. შპს „...“ წერილ(ებ)ი სასესხო ვალდებულების ოდენობის მითითებით სააპელაციო პალატამ ფაქტიურად მიიჩნია აღსრულების ქვემდებარე აქტად და სავალდებულო ძალის მქონედ, სავალდებულო შესასრულებელ დოკუმენტად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს აღ-

სრულებას ქვემდებარე აქტებს, მაგ. ასეთ აქტს შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, საერთაშორისო აქტი და სხვ., თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღსრულების ქვემდებარე აქტის არსებობის შემთხვევაშიც სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს კრედიტორის წერილობითი განცხადება წარმოადგენს (25-ე მუხ.), შესაბამისად, უნდა არსებობდეს კრედიტორის ნება მიიღოს აღსასრულებელი აქტით მისთვის მიკუთვნებული უფლება/ქონება. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს რეალურ ზიანად მიჩნევა არ არის დასაბუთებული. მართალია, ზიანის სახეს შეიძლება შეადგენდეს სხვა პირისთვის თანხის გადახდის ვალდებულების (მაგ. ჯარიმა, კომპენსაცია და ა.შ.) წარმოშობა, რომელიც არ იარსებებდა ზიანის გამომწვევი ქმედების არარსებობის შემთხვევაში, თუმცა ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ ასეთი სახის ხარჯი პირს რეალურად აწევს ან/და მომავალში დააწევება. მოცემულ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებით არ დგინდება პირგასამტეხლოს თანხის რეალური, ფაქტობრივად განცდილი დანაკლისის სახით არსებობა. სადავო არ არის შპს „...ს“ მიმართ მოსარჩელის სასესხო ვალდებულების არსებობა, მაგრამ მხოლოდ ასეთი ვალდებულების არსებობის ფაქტი აპრიორი არ ადასტურებს ამ ვალდებულების სამომავლოდ შესრულების შესაძლებლობას ან/და სავალდებულობას. ის გარემოება, რომ გ. გ-ას შპს „...ში“ ერიცხება სს „... ბანკის“ ერთი მიმდინარე სასესხო ვალდებულება, არ ადასტურებს პირგასამტეხლოს ოდენობის მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების მართებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება შპს „...ს“ მიერ კანონით გათვალისწინებული, სამართლებრივი გზების მეშვეობით მოსარჩელისთვის პირგასამტეხლოს თანხის გადახდის მოთხოვნა, არ დგინდება ასეთი თანხის დაკისრების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობა, ამ თანხის ამოღების მიზნით სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობა, რეალურად ამ ხარჯის მოსარჩელის მიერ გაწევა, ასევე არ დგინდება სარჩელით მოთხოვნილი თანხის (პირგასამტეხლოს) მოვალეზე სამომავლოდ დაკისრების უტყუარობა. იმ შემთხვევაში, თუ სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მოვალეზე (გ. გ-აზე) დაკისრება მოსარჩელისთვის წარმოადგენს სავარაუდო სამომავლო დანაკლისს, სამომავლოდ პირგასამტეხლოს მოსარჩელეზე დაკისრება შესაძლოა დამოკიდებული იყოს სხვა პირის – კრედიტორის ქმედებაზე, მის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე. როგორც წესი, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და კრედიტორს გააჩნია ვალდებულების შესრულებისა და ხელშეკრულების დარღვევის ფაქტიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მიღების ინტენსივობა, ის ასეთი მოთხოვნით მიმართავს მოვალეს ან/და ატარებს შესა-

ბამის სამართლებრივ ზომებს. ასეთი ინტერესის გამოვლენა, სამართლებრივად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კრედიტორის მიერ საქმის მასალებით არ დგინდება, რაც მოვალეზე (გ. გ-ზე) პირგასამტეხლოს სამომავლოდ დაკისრებას ხდის ჰიპოთეტურს, გამორიცხავს პირგასამტეხლოს, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის სახით, არსებობას. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია დღეის მდგომარეობით პირგასამტეხლოს რეალურ, მატერიალიზებულ ზიანად მიჩნევის შესაძლებლობა, შესაბამისად შეუძლებელია არგუმენტაციის კანონიერებაზე მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობები და გ. გ-ას სასესიო ვალდებულებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა სს „... ბანკიდან“, შპს „...დან“, თბილისის საქალაქო და სენაკის რაიონული სასამართლოებიდან, სააპელაციო პალატას გამოთხოვილი ინფორმაციისათვის შეფასება არ მიუცია და მხოლოდ მისი გადან-ყვეტილებაში ასახვით შემოიფარგლა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მტკიცებულებათა გამოთხოვა საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად განხილვას ემსახურებოდა, თუმცა საბოლოოდ გადან-ყვეტილება მიიღო გამოთხოვილი მტკიცებულებების შეფასების გარეშე, რამაც საქმეზე (პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში) დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება განაპირობა. კასატორი (გ. გ-ა) ასევე მიუთითებს პირგასამტეხლოს თანხის ზრდაზე, თუმცა კრედიტორის მიერ გაცემული წერილები არ შეიცავს რაიმე სახის ინფორმაციას პირგასამტეხლოს ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. პირიქით, შპს „...“ 19.04.2023წ. წერილში, მის მიერ 06.12.2021წ. გაცემულ წერილთან შედარებით, პირგასამტეხლოს უფრო ნაკლები ოდენობის თანხაზე მიუთითებს. სააპელაციო სასამართლოს არც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება გამოუკვლევია და შეუფასებია.

კასატორი (გენპროკურატურა) მიუთითებს გ. გ-ასა და შპს „...ს“ შორის არსებული სასესიო ურთიერთობიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მოთხოვნის ხანდაზმულობასა და პირგასამტეხლოს შემცირების მიზნით არსებულ სასამართლოს პრაქტიკაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების

დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს (სუსგ 26.04.2024წ. საქმე №ას-265-2024). მოცემულ შემთხვევაში გ. გ-ასა და სს „...ბანკს“ შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა. კერძო პირებს შორის ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარება სამოქალაქო წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობისა და პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლების გამორკვევა განსახილველი დავის საგანს სცილდება და არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით განსახილველ საკითხს. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობათაგანია, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა მომეტებულად დაცვის ღირსია (სუსგ 21.06.2022წ. საქმე №ას-34-2022). ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს თავისი უფლების იძულებით განხორციელების ან დაცვის შესაძლებლობა ეძლევა (სუსგ 07.12.2020წ. საქმე №ბს-326(კ-19)). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე, ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოწარმოებისაგან განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოწარმოებაში ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარე(ებ)ის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მითითება ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, პროცესუალურად მთლიანად მოპასუხის კუთვნილ შესაგებელს წარმოადგენს (სუსგ 13.04.2020წ. საქმე №ას-1764-2018). როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სკ-ის 130-ე მუხ.). კასატორი (პროკურატურა) მიიჩნევს, რომ სკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის გამო კრედიტორის მოთხოვნა მოვალის გ. გ-ას მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ხანდაზმულია, შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით პირგასამტეხლოს თანხა ზიანის სახით არ ექვემდებარება ანაზღაურებას. კასატორი დამატებით მიუთითებს სასამართლოს პრაქტიკაზე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღი-

ნიშნა, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის, ასევე მოთხოვნილი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხის შეფასება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმის განხილვის საგანს, აღნიშნული საკითხის შეფასება სამოქალაქო სასამართლოწარმოების ფარგლებშია შესაძლებელი. როგორც ხანდაზმულობის, ასევე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხის სამოქალაქო წესით სასამართლოს მიერ შეფასება დამოკიდებულია მოვალის მიერ კვალიფიციური შესაგებლის წარდგენაზე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად დგინდება, რომ სს „... ბანკს“/შპს „...“ და გ. გ-ას შორის სამოქალაქო დავა სასესხო ვალდებულების შესრულების მოთხოვნით არ განხილულა. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებში ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესით სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას გ. გ-ას მიმართ შპს „...“ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე ან/და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლების არსებობაზე. ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნილი ზიანის დაუსაბუთებლობის, მისი არარსებობის კონსტატაცია. აღსანიშნავია, რომ შემდეგში ისეთი გარემოების წარმოშობა, რომლითაც დადგინდება პირგასამტეხლოს, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ფაქტი, არ ართმევს შესაძლებლობას მოსარჩელეს კვლავ მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან იმავე მხარეებს და იმავე საგანზე, მაგრამ სხვა საფუძვლით სასამართლოსადმი მიმართვა არ წარმოშობს საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს (სსკ-ის 272-ე მუხ.). დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრების თაობაზე კრედიტორსა და გ. გ-ას შორის სამოქალაქო დავის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო საქმეზე მიღებულია გადაწყვეტილებამ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირგასამტეხლოს ნაწილში სამომავლოდ შესაძლოა წარმოშვას გ. გ-ას მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი. ადმინისტრაციულ სამართალში საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმეზე მოვალის მიერ არაკვალიფიციური შესაგებლის წარდგენის, ასევე კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას შესაძლოა წარმოიშვას უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის შეფასების საჭიროება.

არ დასტურდება კასატორ გ. გ-ას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პირგასამტეხლოს ზრდასთან დაკავშირებით მოპასუხეს არ წარუდგენია რაიმე შედავაება, არ გაუკეთებია კომენტარი შესაგებლით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე არა თუ უარყოფს პირ-გასამტეხლოს თანხის ზრდას, არამედ საერთოდ უარყოფს პირგასამტეხლოს, როგორც მიყენებული ზიანის, მასზე დაკისრების შესაძლებლობას. ამასთანავე, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის ინკვიზიციური ხასიათი გამორიცხავს შესაგებლის წარუდგენლობის, მოთხოვნისადმი დათანახმების გამო მოსარჩელის მოთხოვნის ავტომატური დაკმაყოფილების შესაძლებლობას. გენერალური პროკურატურა სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.2022წ. გადაწყვეტილების მთლიანად, ყველა ნაწილში, მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შესრულებაში ხელის შეშლით გამონეული მატერიალური ზიანის სახით 116 534,19 ლარის ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას. სსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლებზე, ზიანის ანაზღაურების საფუძვლებზე (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი) მითითებით აპელანტი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება ან/და სასამართლოს გადაწყვეტილება გ. გ-ას მიერ პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით, აპელანტი აღნიშნავდა აგრეთვე პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების სასამართლო პრაქტიკაზე, შპს „...ს“ ცნობაში მითითებული პირგასამტეხლოს გამოანგარიშების საფუძვლის მიუთითებლობაზე და სხვ.. ამდენად, გ. გ-ას საკასაციო საჩივარში მითითება იმაზე, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა გარემოებებს, არ დასტურდება საქმის მასალებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სესხის/კრედიტის აღება შესაძლოა ახლდეს ისეთი სახის ფინანსური ხარჯი, როგორიც არის საკომისიო, კერძოდ, მსესხებელს საკომისიო შესაძლოა დაეკისროს იმ მომსახურებისთვის, რომელსაც მოიცავს სესხის გაცემის პროცესი, მათ შორის, სესხის დამტკიცების ან სესხის გაცემის საკომისიო, სესხის თანხის განაღდების საკომისიო, ანგარიშის მომსახურების საკომისიო და ა.შ.. ხშირ შემთხვევებში საკომისიო სესხის მოცულობის პროპორციულად ან ფიქსირებული თანხით განისაზღვრება. ამდენად, მომსახურების საკომისიო არის ის ფინანსური ხარჯი, რომლის გადახდა პირს ეკისრება ზოგიერთი საბანკო პროდუქტით სარგებლობისას. განსახილველ შემთხვევაში სს „... ბანკსა“ და გ. გ-ას შორის 09.06.2014წ. დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით საკომისიო განსაზღვრულია კრედიტის გაცემისთვის, ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის, რეფინანსირებისთვის, აღნიშნული ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) ითვალისწინებს ასევე საკომისი-

ოს ინფორმაციის გაცემისთვის. საქმის მასალებში დაცული შპს „...ს“ 06.12.2021წ. წერილის მიხედვით, გ. გ-ას სასესხო ვალდებულებიდან საკომისიო შეადგენს 208,27 ლარს. აღნიშნულ წერილში მითითებული არ არის საკომისიოს საფუძველი. საქმეზე არ არის დადგენილი გადასახდელი საკომისიო თანხის საფუძველი, საქმეზე არ არის დადგენილი წერილში აღნიშნული საკომისიო თანხის მოსარჩელის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის (გადახდის გრაფიკის დარღვევის) გამო წარმოშობა, თუმცა არ არის აგრეთვე დადგენილი საკომისიო თანხის წარმოშობის კავშირის არარსებობა, ვადის გადაცილებასთან მისი წარმოშობა საბანკო მომსახურების მიღებით. აღნიშნული გარემოების დადგენის შემდეგ უნდა შეფასდეს საკომისიო თანხის მოპასუხეზე ზიანის ანაზღაურების სახით დაკისრების საფუძვლიანობა. უკეთუ დადგინდება, რომ ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი საკომისიოს თანხა ნაწარმოებია მოსარჩელესა და კრედიტორს შორის არსებული სასესხო ურთიერთობიდან, თუ დადგინდება, რომ საკომისიოს თანხა უკავშირდება საბანკო მომსახურების განევას და არა ვალდებულების დარღვევას, მოპასუხეზე მისი დაკისრების საფუძვლების არსებობა უნდა შეფასდეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. გ-ას მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის (ხელფასის) დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა და როგორც ანაცდენი სარგებელი დაექვემდებარა ანაზღაურებას. სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს რაიმე არ დაუდგენიათ, ამ მიმართებით რაიმე მსჯელობა სასამართლოებმა არ იქონიეს.

დაუსაბუთებელია კასატორის (გენპროკურატურის) მითითება სკ-ის 1005.2 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობას, სამართლებრივი გზების მეშვეობით დაზარალებულის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის თავის აცილების მცდელობის არარსებობის შემთხვევაში. ზიანის თავიდან აცილების მცდელობის არარსებობად კასატორი მიიჩნევს მოვალის გ. გ-ას მიერ ვალდებულების შესრულების, კრედიტორისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან ვალის რესტრუქტურისაციის მოთხოვნის მიმართვის ფაქტის არარსებობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელემ სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის გამო, შესაბამისად, კასატორის მითითება ვალდებულების შესრულებაზე, როგორც ზიანის თავიდან აცილების მცდელობაზე, განსახილველ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას ან ვალის რესტრუქტურისაციას, როგორც წესი აღნიშნული გულისხმობს სასესხო ხელშეკრულების პირობების ცვლილე-

ბას იმ მიზნით, რომ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაუადვილდეს, მაგ., სასესხო ვალდებულება განაწილდეს უფრო დიდ ვადაზე, ვიდრე ეს თავდაპირველი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, გაერთიანდეს მოვალის ყველა ვალდებულება და სხვ.. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე თანამდებობიდან იყო გადაყენებული სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაბამისად, მის მიერ ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებაში ცვლილების მოთხოვნით მიმართვის არარსებობის შეფასება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის თავის აცილების მცდელობის არარსებობად, არ არის დასაბუთებული. რაც შეეხება კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის არარსებობას, კასატორის მიერ მითითებული ნორმა (სკ-ის 1005.2 მუხ.) ვერ გახდება ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია მოპასუხის მიერ მოსარჩელის გ. გ-ას სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა. მოსარჩელე მხარეს არ წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის კრედიტორი სს „... ბანკი“ ან შპს „...“, შესაბამისად, მათ ქმედებებზე მითითებული ნორმის გავრცელების საფუძველი არ არსებობს. ძველი ან/და ახალი კრედიტორის უმოქმედობამ, მათ მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობის არარსებობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – ზიანის ფაქტის დადგენაზე, თუმცა განსახილველი დავის ფარგლებში ვერ გახდება სკ-ის 1005.2 მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის წინაპირობა.

დაუსაბუთებელია არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში კასატორის (გ. გ-ას) რეგისტრაციის ფაქტზე, როგორც პრეზუმირებულ ფაქტზე, მითითება. პრეზუმირებული ფაქტებს მიეკუთვნება ისეთი ფაქტები, რომლებიც მტკიცების საგანში არ შედის. პრეზუმირებული ფაქტები ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ მხარე, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს ასეთ ფაქტებზე აფუძნებს, თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან და იგი უბრუნდება მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც მისი გაქარწყლება ევალება (სუსგ 22.12.2017 წ. საქმე №ას-1255-1175-2017). განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული გარემოების პრეზუმირებულ ფაქტად მიჩნევის საფუძვლები არ არსებობს. პრეზუმფიცია ნიშნავს ვარაუდს, რომლის მეშვეობით დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა არსებულად, თუმცა ვარაუდი და პრეზუმფიცია ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც დროებით, მტკიცებულებების მოპოვებამდე, ითვლება ნამდვილად, ხოლო პრეზუმფიცია დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. რიგი სამართლებრივი ურთიერთობები შესაძლოა

პრეზუმფციებს დაეფუძნოს, ანუ ფაქტების ნორმალური განვითარების ლოგიკურ შედეგს. პრეზუმფციების ძირითადი წინაპირობაა პროცესების განმეორებადობა და მათი ურთიერთკავშირი, ამასთან, მხოლოდ კავშირის არსებობა საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ კავშირი იყოს ლოგიკური, გონივრული და განპირობებული იყოს აუცილებლობით. პრეზუმფცია შესაძლოა დროთა განმავლობაში, რეალური ფაქტების ლოგიკური, სამართლიანი, მდგრადი კავშირის შედეგად ჩამოყალიბდეს. პრეზუმფციების ჩამოყალიბება ფაქტების ინდუქციური ანალიზის (ძირითადი დასკვნის გამოტანა ცალკეული ფაქტების საფუძველზე, აზროვნება კერძოდან ზოგადისკენ) შედეგია. პრეზუმფციის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ფაქტი ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. თუ ყველა ფაქტს ერთი და იგივე თავისებურება არ გააჩნია, ანუ ყველა ფაქტი თუ ერთიან შედეგამდე არ მიდის, მაშინ პრეზუმფცია არ ყალიბდება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (მაგ. განსხვავებით სახელმწიფო შესყიდვებისაგან) არ იცნობს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს ან/და მოვალეთა „შავ სიას“. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის თანხმობა მისი მონაცემების საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამონმეზაზე (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 27.08.2018წ. № 195/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის“ მე-6 მუხ. მე-8 პ., მე-7 მუხ. მე-8 პ.). საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ რაიმე პრეტენზიის წარდგენა მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებასთან, მოპოვება/გაცემასთან დაკავშირებით. პირის მიერ ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის ისტორია ქმნის მის საკრედიტო ისტორიას, შესაბამისად, როგორც წესი, საკრედიტო ისტორია აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც ერთხელ მაინც უსარგებლია ფინანსური პროდუქტით. საკრედიტო ისტორია წარმოადგენს პირის მიერ ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის ფაქტების ერთობლიობას. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ ფაქტების იმგვარ დიფერენცირებას, რაც კრედიტის მიმღებ პირებს კეთილსინდისიერ ან არაკეთილსინდისიერ გადამხდელებად დაყოფს და პირის მიერ სესხის გადახდის ვადის გადაცილების ფაქტებს განცალკევებულად, „შავ“ სიაში აღრიცხავს. მომხმარებელზე სესხის გაცემის შესახებ გადანყევტილებას კონკრეტული ორგანიზაცია თავისი საკრედიტო რისკების პოლიტიკის შესაბამისად იღებს. საქმის მასალებში დაცული 17.01.2022წ. სს „ს... ბანკის“ თანამშრომლის ელექტრონული ფოს-

ტის მეშვეობით გაგზავნილი წერილის მიხედვით, გ. გ-ას სესხის მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადანყვეტილების მიღება გამონეწეულია მისი გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით, ასევე „ლ... ბანკის“ 24.01.2022წ. წერილიდან გამომდინარე გ. გ-ა ვერ აკმაყოფილებს ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს. აღნიშნული პრინციპი თავის მხრივ გულისხმობს გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხის გაცემის დაუშვებლობას (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 13.03.2020წ. №44/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების“ 3.1 მუხ.). ამდენად, მოსარჩელეს სესხის გაცემაზე უარი ეთქვა არა რაიმე სახის რეესტრში აღრიცხვის გამო, არამედ მისი გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით, ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შემოსავლის წყაროს არსებობა შესაძლებელია იყოს საბანკო დანესებულების მიერ სესხის გაცემის ერთ-ერთ განმსაზღვრელი ფაქტორი, ხოლო ასეთი შემოსავლის დაუდასტურებლობა – მის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ამდენად, არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში მოსარჩელის აღრიცხვის გამო ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება არარელევანტურია, ვინაიდან არ დგინდება სამართლებრივად ან ფაქტობრივად ასეთი რეესტრის არსებობის გარემოება, შესაბამისად, არ დგინდება მოსარჩელის მიერ მითითებულ რეესტრში შეყვანით ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი. მოსარჩელე მართლოდენ სარჩელში ფაქტების მითითებით, მისთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებს, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცა. მხოლოდ იმაზე მითითება, რომ მოპასუხეს წარმოდგენილი შესაგებლით სადავო არ გაუხდია არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში მოსარჩელის შეყვანის ფაქტი, ასეთ ფაქტს პრეზუმირებულად არ აქცევს. პრეზუმფცია არის ცნობილი ფაქტის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა უცნობი ფაქტის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში „შავ სიაში“ მოსარჩელის შეყვანის პრეზუმირებულ ფაქტად მიჩნევის ვალდებულება არ არსებობს, ვინაიდან არ დგინდება ასეთი სიის არსებობა, ამდენად, ადგილი აქვს არა პრეზუმფციას, არამედ სინამდვილის შეუსაბამო ფიქციას. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102.3 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში სახეზეა უსაფუძვლო ვარაუდი და არა საკანონმდებლო დანაწესით დაშვებული პრეზუმფცია. მხარე ვალდებულია სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი პო-

ზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოების არსებობა, რაც ამ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

კასატორი (მოსარჩელე) მტკიცებულებითი პრეზუმფციების საფუძველზე მოითხოვს მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანით გამოწვეული მატერიალური ზიანის 25 000 ლარის და მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის მოპასუხეზე დაკისრებას. მოსარჩელის მითითებით ბანკების უარი სესხის გაცემაზე ეფუძნება მოსარჩელის გადახდისუუნარობას, რაც გამოწვეულია პროკურატურის ბრალეული ქმედებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში მტკიცების ვალდებულება ნაწილდება მტკიცებულებითი პრეზუმფციის შესაბამისად და მტკიცების ვალდებულების განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები. პრეზუმფციის დროს უკვე დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა სხვა გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ანუ დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე ივარაუდება სხვა ფაქტების არსებობა, რის გამოც ამ ფაქტების დამტკიცება აღარ ხდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი ადმინისტრაციულ პროცესში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპი ადმინისტრაციულ მატერიალურ სამართალში მოქმედი პრინციპების გათვალისწინებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლონარმოებაში მოსამართლე აღჭურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით (სასკ-ის მე-4 მუხ.), მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები (სასკ-ის 19.1 მუხ.). სამოქალაქო პროცესში მხარეების მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში წარდგენილი ფაქტები ბოჭავს სასამართლოს, ადმინისტრაციული დავებისგან განსხვავებით, სადაც ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მოსამართლე ბევრად ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს (სუსგ 21.07.2022წ. საქმე №ბს-1020 (კ-19)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სპეციფიკური სახეა. კრედიტი არის ფულადი თანხა, რომელსაც კრედიტორისგან დროებით იღებს პირი, შეთანხმებულ ვადებში დამატებით სარგებელთან ერთად უკან დაბრუნების პირობით. სესხის გაცემის პროცესი სესხის გამცემი პირისა და სასესხო პროდუქტის მიხედვით განსხვავებულია. სესხის გამცემი პირი სესხის გაცემამდე, როგორც წესი, მომხმარებლის გადახდისუნარიანობას აფასებს. მონაცემების შეფასება

ხდება, როგორც შიდა საკრედიტო პოლიტიკით, ისე საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით. მართალია, მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, თუმცა პირის გადახდისუნარიანობა (შემოსავლის არსებობა) იმთავითვე არ გულისხმობს სესხის გაცემის უტყუარობას სხვა გარემოებებთან ერთად ანალიზისა და შეფასების გარეშე (მაგ., მოთხოვნილი თანხის ოდენობა, გადახდის ვადა, მიზნობრიობა, მსესხებლის შემოსავლისა და სესხის სახით მოთხოვნილი თანხის თანაფარდობა და ა.შ.), შესაბამისად, გარდა პირის გადახდისუნარიანობის შეფასებისა, შეფასებას შესაძლოა დაექვემდებაროს სხვა გარემოებებიც, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სესხის გაცემის თაობაზე დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე იდება, შესაბამისად, მხოლოდ პირის განცხადება სესხის მიღებაზე არ წარმოშობს სესხის გაცემაზე კრედიტორის ვალდებულებას. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების განევაზე („კომერციული ბანკების შესახებ“ კანონის 211.4 მუხ.). საქმეში დაცული მასალებით 27.12.2021წ. გ. გ-მ განცხადებით მიმართა „ლ... ბანკს“ სესხის გაცემის მოთხოვნით. გ. გ-ას განცხადება იწყება იმაზე მითითებით, რომ მას დღეის მდგომარეობით არ გააჩნია არანაირი სახის შემოსავალი. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით ფაქტიურად ბანკისთვის აღარ არსებობდა სხვა გარემოებების შეფასების საჭიროება, ამასთანავე, სს „ლ... ბანკის“ წერილში მიეთითა, რომ სესხის გაცემა არის ბანკის უფლება და არა ვალდებულება. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ უკანონო ბრალდების არარსებობის შემთხვევაში, მისი თანამდებობისთვის დადგენილი ხელფასის ოდენობა წარმოშობდა ბანკის მიერ სესხის სახით გაცემისა და ბანკის მიერ ასეთი ნების გამოვლენის საფუძველს, ამასთან, უკვე არსებული საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებშიც გ. გ-აზე სესხის გასაცემად საკმარისი არ გამხდარა მისი შემოსავლის დადასტურება, დამატებით წარდგენილი იქნა უზრუნველყოფის საშუალება (თავდებობა). სესხის გაცემის პროცესში კრედიტორი ინდივიდუალურად განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას. ყოველი სესხის აღება მისი დაბრუნების ვალდებულებას უკავშირდება, შესაბამისად, განცხადებაში გადახდისუნარიანობაზე მითითება იმთავითვე განაპირობებდა გადახდისუნარიანობის გამო ბანკის მიერ სესხის გაცემაზე უარის თქმას, სესხის გასაცემად საჭირო სხვა გარემოებებისა და პირობების შეფასების საჭიროების გარეშე. როგორც უკვე აღინიშნა, ზიანის ანაზღაურებას შესაძლოა დაექვემდებარ-

როს რეალური ზიანი (სკ-ის 408.1 მუხ.) და მიუღებელი შემოსავალი (სკ-ის 411-ე მუხ.). კასატორი არ მიუთითებს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანით გამოწვეული მატერიალური ზიანის კონკრეტულ სახეზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის რეალურ ზიანად მიჩნევის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან მოსარჩელის მიერ სესხის მიუღებლობა არ გულისხმობს ქონებრივ დანაკლისს, სახეზე არ არის მოსარჩელის ქონების შემცირება. ქონებრივი დანაკლისის გამო ზიანის ანაზღაურება ქონების აღდგენისაკენაა მიმართული, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს მიუღებელი სესხის და არა განცდილი ქონებრივი დანაკლისის, ქონების შემცირების გამო. რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, ეს არის სავარაუდო შემოსავალი, ანაცდური მოგება, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მოცემულ შემთხვევაში სესხის, როგორც მიუღებელ შემოსავლად განხილვა, არ გამომდინარეობს სესხის/კრედიტის სამართლებრივი ბუნებიდან. სასესხო ურთიერთობებში მსესხებლის ძირითადი ვალდებულება ნა-სესხები თანხის დაბრუნებაში მდგომარეობს, სასყიდლიანი სესხის შემთხვევაში მსესხებლის ძირითად ვალდებულებას ასევე პროცენტის გადახდა შეადგენს, შესაბამისად, მიუღებელი სესხი წარმოადგენს არა მიუღებელ შემოსავალს, არამედ მიუღებელ ვალდებულებას, მიუღებელ ფინანსურ პროდუქტს, რომლის პროცენტებთან ერთად გადახდის ვალდებულება მოსარჩელეს უნდა ეკისრა ასეთი ურთიერთობის წარმოშობის შემთხვევაში. კრედიტორისაგან დროებით ფულადი თანხის მიღება, შეთანხმებულ ვადაში სარგებელთან ერთად უკან დაბრუნების პირობით, წარმოშობს მოვალის ვალდებულებებს კრედიტორის წინაშე და მისი მიუღებელ შემოსავლად მიჩნევის ნორმატიული საფუძველი არ არსებობს. დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მორალური ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სკ-ის 413 მუხ.), ანუ არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული და დაცული სიკეთის ხელყოფისას. განსახილველ შემთხვევაში ასეთი სახის ნორმატიული წინაპირობა სახეზე არ არის, რაც გამორიცხავს სესხის მიუღებლობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველსაც.

კასატორ გ. გ-ას ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვნის თაობაზე მიღებული განჩინებების გაუქმება. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სტადიაზე მტკიცებულებები გამოითხოვა იმ ფაქტების დასადგენად, რომელსაც

მოპასუხე მხარე სადავოდ არ ხდოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ადმინისტრაციულ პროცესში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აღნიშნული თავისებურებები თავად სამოქალაქო და ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის არსობრივი სხვაობით არის განპირობებული, ადმინისტრაციულ პროცესში, ისევე როგორც სამოქალაქო სასამართლოწარმოებისას, მხარეთა აქტიურობას, მათ შორის სარჩელისა თუ შესაგებლის დასაბუთებას, სათანადო ფაქტებზე მითითებას, მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებთან მიმართებით მტკიცებულებების წარდგენას და სხვ. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში მოსამართლე ალჟურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (სასკ-ის მე-4 მუხ.), საკუთარი ინიციატივით ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილებით (სასკ-ის 19.1 მუხ.), იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე მხარეებს სასამართლო წარმოების ფარგლებში არ მიუთითებიათ. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი (სასკ-ის მე-4, მე-16, მე-19 მუხ.) სასამართლოს აქტიურ მოქმედებას მოიაზრებს, რომელსაც თავისი ინიციატივით შეუძლია გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს დავის გადანყვეტისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია, ადმინისტრაციული კატეგორიის დავის გადამწყვეტი სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გადამწყვეტილების მიღებისათვის და არ განხილულა არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სამართლებრივი დავის მიმდინარეობის პროცესში. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპი, სამართლებრივი შედეგის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი განაპირობებს ინკვიზიციური პრინციპის მოქმედებას, რომლის პირობებშიც მოსამართლე არ არის შეზღუდული მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობებითა და მტკიცებულებებით, მოსამართლე უფლებამოსილია არა მხოლოდ დაავალოს მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენა, არამედ უფლებამოსილია თავად დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება აგრეთვე არ გამორიცხავს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ინკვიზიციური პროცესი მიზნად ისახავს გარემოებების სრულყოფილ შესწავლას და ნორმის სწორ მისადაგებას ფაქტობრივ გარემოებებთან. სს „... ბანკიდან“ და შპს „...დან“ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვის, ასევე საბანკო დაწესებულებებსა და გ. გ-ას შორის დავის არსებობის შესახებ თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან და სენაკის რაიონული სასამართლოდან ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ დავა გადაწყვიტა გამოთხოვილი მასალების შეფასების გარეშე. ის გარემოება, რომ სააპელაციო პალატამ შემაჯამებელ აქტში არ გამოიყენა სადავო განჩინებებით გამოთხოვილი ინფორმაცია, არ ქმნის ამ შუალედური (29.03.2023წ. და 10.04.2023წ.) განჩინებების გაუქმების საფუძველს, აღნიშნული ადასტურებს სააპელაციო პალატის შემაჯამებელი აქტის არასაკმარის დასაბუთებას. ამდენად, მითითებულ ნაწილში კასატორის გ. გ-ას მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, მით უფრო, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში ხსენებულ საკითხებზე ასევე დამატებით იქნა წარდგენილი მასალები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 47.2 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთანავე, მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეივა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146). საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება მოსარჩელისათვის წარმომადგენლის მიერ იურიდიული მომსახურების განევა, მიმდინარე დავის ფარგლებში ადვოკატი მოსარჩელის წარმომადგენლობას ახორციელებდა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქმეში დაცული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საქმეზე გ. გ-ასა და ადვოკატ ი. პ-ს შორის 2021 წლის დეკემბერში დადებული ხელშეკრულებით დასტურდება გ. გ-ას და ი. პ-ს შორის იურიდიული მომსახურების განევის შესახებ შეთანხმების არსებობა, ხელშეკრულებით განსაზღვრულია ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების საკითხიც, კერძოდ, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, კლიენტი ვალ-

დებულია ადვოკატს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის გადაუხადოს 15 600 ლარი, ხოლო ყოველი მომდევნო ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების გაგრძელების შემთხვევაში – ჰონორარის 50%-ის ოდენობით, გადახდა უნდა განხორციელდეს კლიენტის სასარგებლოდ გამოტანილი ნებისმიერი საბოლოო შემაჯამებელი (ალსა^სრულებელი) გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესრულებიდან/ალსრულებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო საქმის წარუმატებელი შედეგით დასრულების შემთხვევაში სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში. ამდენად, მოსარჩელე და მისი მარწმუნებელი შეთანხმდნენ ანგარიშსწორების სპეციალურ წესზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადახდის ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუსგ 09.02.2012წ., №ბს-1330-1315(კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ., 17.01.2019წ. №ბს-809-805(3კ-17) გადაწყვეტილებები), მით უფრო, რომ საქმის მასალებით დასტურდება მხარეთა შორის შეთანხმება ადვოკატის მომსახურების ხარჯის არა წინასწარ, არამედ დავის დასრულების შემდგომ გადახდის თაობაზე. მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (სუსგ 11.02.2008წ. საქმე №ას-792-1114-07), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება განეულია. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურების საფასური იმთავითვე არ ქმნის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის ოდენობის მოწინააღმდეგე მხარეზე დაკისრების საფუძველს. სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება, ამასთანავე, ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ.. განსახილველ დავაში ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხება წარმომადგენლობის უსასყიდლოდ განხორციელება, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ხოლო მოსარჩელეს და ადვოკატს შორის დადებული იურიდიული მომსახურების შესა-

ხებ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანაზღაურების წესი და პირობები. ამასთანავე, კანონმდებლობა არ კრძალავს ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას დავის დასრულების შემდგომ, ანაზღაურების სპეციალურ წესზე შეთანხმება არ ქმნის ადვოკატის მომსახურებისათვის გასაწევი ხარჯის გონივრული ოდენობით ანაზღაურების დამაბრკოლებელ გარემოებას (სუსგ 07.02.2019წ. საქმე №ბს-432-429(2კ-17)). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ საპროცესო ხარჯების მოპასუხეებზე დაკისრებისას გათვალისწინებული იქნა საქმის სირთულე, განხილვის ხანგრძლივობა და ის გარემოება, რომ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მართებულია ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. მოპასუხისთვის ხარჯების ანაზღაურების დავალება სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სამართლიანად დაკმაყოფილების პრინციპის დაცვით განახორციელა. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას სხვა სახის სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული, იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). მოცემულ შემთხვევაში კასატორი (მოსარჩელე) ვერ ასაბუთებს მისთვის ასანაზღაურებელი თანხის არაგონივრულობას. ამდენად, არ არსებობს საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განეული საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატაში წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემთხვევა განხორციელდა მხარეთა დასწრების გარეშე, სასამართლოს მიერ მოთხოვნილი არ ყოფილა საკასაციო შესაგებლის ან სხვა დოკუმენტების წარმოდგენა, ასევე გ. გ-ას საკასაციო საჩივარი იმეორებს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს და არ შეიცავს სააპელაციო საჩივრისაგან განსხვავებულ არგუმენტაციას. გასათვალისწინებელია აგრეთვე გარემოება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს აუნაზღაურდა ადვოკატის მომსახურების თანხა და სხვა საპროცესო ხარჯები, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – საადვოკატო მომსახურების თანხა. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ კმაყოფილდება და საქმე პირგასამტეხლოს და საკომისიო თანხის ნაწილ-

ში ხელახლა განსახილველად ბრუნდება იმავე სასამართლოში, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ას სასარგებლოდ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განეული საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. რაც შეეხება სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმას, აღნიშნული არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობას და შესაძლოა გასწორდეს უსწორობის გასწორების შესახებ განცხადების განხილვის ფარგლებში გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოსა და საკომისიოს თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, სააპელაციო პალატას არ გამოურკვევია პირგასამტეხლოს როგორც ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის ფაქტის არსებობა, მისი მომავალში დადგომის გონივრული მოსალოდნელობა, საერთოდ არ უმსჯელია საკომისიოს თანხის საფუძვლებსა და მისი ზიანის სახით დაკისრების შესაძლებლობაზე, მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებულ ნაწილებში გაუქმებისა და სსკ-ის 412.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოსა და საკომისიოს თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციის

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ას და საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასა-
ციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა პალატის 19.05.2023წ. გადაწყვეტილება გაუქმდეს ზიანის ანაზღა-
ურების სახით პირგასამტეხლოსა და საკომისიოს თანხის დაკისრების
სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი გან-
ხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში
გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.2023წ. და 10.04.2023წ. განჩინებები;
4. გაუქმებულ ნაწილში საპროცესო ხარჯების განაწილების საკით-
ხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობის დადგენა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-426(კ-24)

24 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 31 მაისს ს. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას,

მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 23 სექტემბერს ს. გ-ა დააკავეს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის განყოფილების თანამშრომლებმა, რის შემდეგაც 2020 წლის 25 სექტემბერს თბილისის პროკურატურამ ს. გ-ას წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ს. გ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულიყო პატიმრობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 25 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ს. გ-ას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, რის შედეგადაც მას შეეზღუდა თავისუფალი გადაადგილების უფლება, ვინაიდან ს. გ-ა მოთავსებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მან დაკარგა სამუშაო ადგილი, რომელიც წარმოადგენდა მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენით ს. გ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (2020 წლის 10 სექტემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (სისტემატური შეურაცხყოფის ეპიზოდი) ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა, ხოლო ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹.1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 აპრილის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ს. გ-ას მიმართ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინებით კი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე – საზოგადოებისათ-

ვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი. ს. გ-ას პატიმრობის ვადა იყო 98 დღე. შეფარდებული 240 (ორას ორმოცი საათი) უდრის პატიმრობის 48 დღეს. შესაბამისად, მოსარჩელე თვლის, რომ იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა 50 დღის განმავლობაში.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დაკავების მომენტში იგი იყო სრულად ჯანმრთელი, რაც დასტურდება ბრალდებულისათვის სამედიცინო დახმარების შეთავაზების შესახებ 2020 წლის 23 სექტემბრის ოქმით, სადაც ს. გ-ა უთითებს, რომ იგი არ საჭიროებს დახმარებას, ვინაიდან მან დანამდვილებით იცის, რომ სრულად ჯანმრთელია. თუმცა განთავისუფლების შემდგომ ს. გ-ა გახდა შეუძლოდ, რის გამოც მიმართა სამედიცინო დაწესებულებას გამოკვლევებისათვის და დაუდგინდა, რომ იგი ინფიცირებულია აივ ინფექციით, რასაც ადასტურებს აივ ინფექციაზე ტესტირების შედეგის შეტყობინების 2021 წლის 19 მარტის ფორმა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ იგი აივ ინფექციით სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნის დროს დაინფიცირდა.

მოსარჩელე განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდა ს. გ-ას უდანაშაულობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილი კი ითვალისწინებს ალტერნატიულ სასჯელს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას არ მოითხოვს. ამდენად, ს. გ-ას მოუწია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შემზღუდავი ზემოქმედების ატანა ისე, რომ დაკისრებული შეზღუდვის თემის ვალდებულება არ იყო სამართლებრივად დასაბუთებული და მოკლებული იყო რეალურ საფუძველს, რასაც გამოძიების პირველივე ეტაპზე აცხადებდა დაცვის მხარე. განხორციელების მომენტში ფორმალურად დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიება ან გამამტყუნებელი განაჩენი და ამ განაჩენით დაკისრებული სასჯელი მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის მიიჩნევიან უკანონოდ, ვინაიდან ხსენებული ნორმის მიზანია დაზარალებულის დაცვა, კერძოდ გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის გამო კომპენსაციის მიცემა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-408-405(კ-17)).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილმა ნაწილობრივ გამამართლებელმა განაჩენმა მის მიმართ მიმდინარე პროცესები, რომელიც ფორმალურად კანონიერი იყო, ფაქტობრივად უკანონოდ აქცია, რაც მის

მარეაბილიტირებელ გარემოებას წარმოადგენს.

მოსარჩელის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებით ს. გ-ას მიადგა მორალური ზიანი. ასევე, ს. გ-ამ გასწია ადვოკატის ხარჯები. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იგი იძულებული გახდა საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი და ესარგებლა მისი მომსახურებით საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში, სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. აღნიშნული ხარჯების გაწევა ცალსახად გამოწვეულია პირის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნითა და მოპასუხის ქმედების უკანონოობით.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ს. გ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 12 000 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის სახით 4 000 ლარის (ადვოკატის ხარჯი) ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის სახით 1 000 (ათასი) ლარის ანაზღაურება; საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ანაზღაურება; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა 2020 წლის 23 სექტემბერს დააკავეს ს. გ-ა, რომელსაც 2020 წლის 24 სექტემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და 11¹, 138¹ მუხლის პირველი ნაწილით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 25 სექტემბრის განჩინებით, ბრალდებულ ს. გ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

პატიმრობის ვადა აითვალა მისი ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2020 წლის 23 სექტემბრის 00:05 საათიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენით (№ 1/4583-20 საქმეზე) ს. გ-ა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (2020 წლის 10 სექტემბრის ეპიზოდი) ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. ს. გ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (სისტემატური შეურაცხყოფის ეპიზოდი), ასევე, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ს. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ოდენობით. ამასთან, ს. გ-ას დანიშნული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ვადით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე (მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით 2020 წლის 23 სექტემბრიდან – 29 დეკემბრის ჩათვლით), ჩათვალა მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 20 აპრილის განაჩენით (№ 1/ბ-208-21 საქმეზე) ქალაქ თბილისის საპროკურორო სამმართველოს პროკურატურის პროკურორ თ. ი-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელი. განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის საპროკურორო სამმართველოს პროკურატურის პროკურორმა, რომლის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საქმის მასალებით, კერძოდ, 2020 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულებით საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ს. გ-ას, დ. ლ-ასა და თ. ა-ას შორის დაიდო იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება. თ. ა-ას დაეკისრა ს. გ-ასათვის იურიდიული წარმომადგენლობა, თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (დანაშაული გათვალისწინებული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 11¹, 381^{1.1} და 126^{1.1}).

ამავე ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურება იყო ფასიანი და შეადგენდა 5 000 ლარს, საიდანაც საზღაური ნაწილდებოდა შემდეგნაირად: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 126^{1.1} (ორი ეპიზოდი) 4 000 ლარი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული შემდეგი კვალიფიკაციით: 11¹, 381^{1.1} – 1 000 ლარი. დადგენილია, რომ ს. გ-ამ 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თ. ა-ას და დ. ლ-ას გადაუხადა საადვოკატო მომსახურების თანხა – 4 000 ლარი.

სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექ-

სის მითითებული ნორმის (სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი) თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონოობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებენ პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუმცა არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონოობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

სასამართლოს შეფასებით, მითითებული ნორმა, ასევე, განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ საფუძვლებს. კერძოდ, ამავე ნორმის მე-6 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლო განაჩენით წყდება პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საპროცესო დოკუმენტით სასამართლო ადგენს, ჩაიდინა თუ არა პირმა ინკრიმინირებული ქმედება და რა სახის სასჯელი უნდა დაეკისროს მას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლზე, რომლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯა-

ხის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე – 141-ე, 143-ე, 144-ე – 144³, 149-ე – 151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე – 255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. ამავე კოდექსის 381¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა ანდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევა ანდა მოძალადის მიერ საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა ანდა მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება, ესე იგი ქმედება, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება შინაპატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – შინაპატიმრობის ერთი დღე, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღ-

კვეთის ერთი დღე, შინაპატიმრობის ორი დღე, გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ს. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ოდენობით. ამასთან, საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო (2020 წლის 23 სექტემბრიდან – 2020 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით) მას ჩაეთვალა სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381¹ მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ან ოთხმოციდან ორას ორმოცი საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან ამავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის.

ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ს. გ-ას სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნავდა თავისუფლების აღკვეთას, მისი ვადა უნდა განსაზღვრულიყო ერთი წლით, ხოლო ჯარიმის დანიშვნას კრძალავს საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი. შესაბამისად, სასამართლომ ს. გ-ას შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მისი მაქსიმალური ვადით – 240 საათით. ამრიგად, სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ 240 საათი შეესაბამება თავისუფლების აღკვეთის 48 დღეს, ხოლო ს. გ-ა საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა 98 დღე, არ წარმოშობს ზიანი ანაზღაურების უფლებას.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს დანაშაული არ ჩაუდენია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, ქმედების უკანონობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევის დადგენით, გამართლებულს პირს უნდა მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა. მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, უფლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, პირს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მისი უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მარეაბილიტირებელი გარემოება და შესაბამისად, ქმედების უკანონობა.

ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია აღიდგინოს დარღვეული უფლებები. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, რომელსაც გამამართლებელი განაჩენით შეეზღუდა უფლებები, შეუძლია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს განაჩენით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობა სასამართლოს მიერ უნდა განისაზღვროს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე იყო მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამასთან, კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ასანაზღაურებელ ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ასევე, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

ამასთან, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა დაშორდეს რეალობას. მოთხოვნა წარმოადგენს მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებას, ხოლო ანაზღაურების მოცულობის ოდენობას გონივრულ ფარგლებში განსაზღვრავს სასამართლო. შელახული სიკეთის ხასიათის, სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართე-

ბულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

ამდენად, სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (2020 წლის 10 სექტემბრის ეპიზოდი) გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი და ამ ნაწილში განხორციელებული იძულების ფორმები. ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის მოსარჩელისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 000 (ათასი) ლარის გადახდის დაკისრების საფუძვლები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გასაწევი საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების – 4 000 ლარის ოდენობით. მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელე უთითებდა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გამოტანილ განაჩენებზე, რომელთა მიხედვით, ს. გ-ას საადვოკატო მომსახურებას უწევდნენ თ. ა-ა და დ. ლ-ა. მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა, ასევე, ს. გ-ას, დ. ლ-ასა და თ. ა-ას შორის 2020 წლის 29 სექტემბერს დადებულ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე.

სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე უდავოდ დასტურდებოდა, რომ ს. გ-ას სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა თ. ა-ა და დ. ლ-ა, საქმეში დაცული იყო შესაბამისი ხელშეკრულება. ამასთან, დგინდებოდა, რომ ს. გ-ას მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე იმსჯელა სამივე ინსტანციის სასამართლომ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც გამართლებულ პირს, მორალური ზიანის სახით ეძლევა ფულადი კომპენსაცია, მის მიერ ადვოკატებისათვის გაწეული ხარჯები განხილულ უნდა იქნეს, როგორც მატერიალური ზიანი. ამდენად, რომ არა მის მიმართ უკანონო ბრალდება, მას აღნიშნული თანხის გაღების აუცილებლობა არ ექნებოდა.

ამდენად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა მოცემულ ნაწილში ფაქტობრივ-სამართლებრივად დასაბუთებული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო არსებითად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენით ს. გ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლისა და 381¹ მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავედ იქნა ცნობილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობა არ აქცევს მას რეაბილიტირებულ პირად ამ ნაწილში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. კერძოდ, პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ზემოაღნიშნული ნორმის მიზანია დაზარალებულის დაცვა და გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანით გამოწვეული ნეგატიური შედეგების კომპენსირება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, მართალია, ს. გ-ა მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსარჩელე გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. სწორედ მოცემული ფაქტიდან გამომდინარე, სააპელაციო პა-

ლატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ს. გ.-ას მარეაბილიტირებელი გარემოება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის არსებობდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამონეწეული იყო უშუალოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი უკანონო ბრალდებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან, ხოლო ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია, აღიდგინოს დარღვეული უფლებები. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით.

მიყენებული მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებით სასამართლოს მიერ არამატერიალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია: დამდგარი ზიანის სიმძიმე, შელახული უფლების მნიშვნელობა, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, საპატიმრო დაწესებულებაში პირის ყოფნის დრო და სხვა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ს. გ.-ას მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა 2020 წლის 23 სექტემბრიდან, ხოლო განაჩენი დადგა 2020 წლის 29 დეკემბერს. პალატამ, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ სამართალწარმოება 2020 წელს არ დამთავრებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურა არ დაეთანხმა ნაწილობრივ გამამტყუნებელ განაჩენს, გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციებში, რის გამოც, საბოლოოდ, 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინებით დასრულდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დროის ხანგრძლივობით მიმდინარე სისხლის სამართლის წარმოება თავისთავად ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური

ზიანის ანაზღაურების თანხა არის პროპორციული და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

რაც შეეხება მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 412-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელე სწორედ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იძულებული იყო საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი, ესარგებლა მისი მომსახურებით სასამართლოში, რომელიც აუცილებელი იყო საქმის წარმოებისთვის, რათა სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამდენად, ს. გ-ას მხრიდან აღნიშნული ხარჯების განევა ცალსახად განპირობებული იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მის მიმართ ჩატარებული ღონისძიებებით, რის გამოც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო განცხადება შეიცავდა შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტი მიიჩნევდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკმარისი მტკიცებულებების გარეშე დააკმაყოფილა სარჩელის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რასაც სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა და მიუთითა საქმეში დაცულ ს. გ-ას, დ. ლ-ასა და თ. ა-ას შორის 2020 წლის 29 სექტემბერს დადებულ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის საგანია ს. გ-ას იურიდიული მომსახურების განევა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეზე №008230920003 (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 11¹, 381^{1.1} და 126¹). ხელშეკრულების მე-6 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურება ფასიანია და შეადგენს 5 000 ლარს, საიდანაც საზღაური ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 126¹.1 (ორი ეპიზოდი) – 4 000 ლარი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით: 11¹, 381^{1.1} – 1 000 ლარი.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქმეში საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არარსებობის პირობებშიც კი, არ წარმოიშობოდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან კანონმდებლობა მხარეებს არ უზღუდავს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების როგორც ზეპირად,

ისე წერილობითი ფორმით გაფორმების შესაძლებლობას. ამასთან, ის ფაქტი, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი ადვოკატებისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, არ ცვლიდა იმ მოცემულობას, რომ ს. გ-ამ ნამდვილად ისარგებლა სისხლის სამართლის საქმეზე მითითებული ადვოკატების მომსახურებით, რომელიც, თავის მხრივ, სასყიდლიანი იყო. სააპელაციო პალატამ, ასევე, მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2022 წლის 5 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, სადაც მოსარჩელის ადვოკატმა – თ. ა-ამ განმარტა გადახდის ქვითრის წარმოდგენლობის მიზეზი, კერძოდ, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადახდა განხორციელდა ნაწილ-ნაწილ, ნაღდი ანგარიშსწორებით, მას შემდეგ, რაც ს. გ-ა გათავისუფლდა და შეძლო ადვოკატებისთვის თანხის ნაწილ-ნაწილ მიცემა (იხ. სხდომის ოქმი 14:39:52 საათი).

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეზე წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და დადგენილი გარემოება, რომ მხარემ ნამდვილად მიიღო მითითებული ადვოკატების მხრიდან იურიდიული მომსახურება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, მათ შორის, გამართლებულ ნაწილში, მართებულს ხდიდა მოპასუხისთვის ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების დაკისრებას შეთანხმებული ოდენობით.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ს. გ-ას მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენი ერთობლიობაში ქმნიდა როგორც მატერიალური, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე და 33-ე მუხლებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-19 მუხლებზე. კასატორის შეფასებით, მითითებული სამართლებრივი ნორმებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით დასტურდება, რომ ს. გ-ას მიმართ სახეზეა გამამტყუნებელი განაჩენი, ამდენად, სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი

ნი, ერთ კონკრეტულ მუხლში გამართლება არ ცვლის ფაქტობრივ გარემოებას და არ აქცევს მოსარჩელეს რეაბილიტირებულ პირად, შესაბამისად, არ წარმოშობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობას. ამასვე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც სასამართლოს ს. გ.-ასათვის არ აქვს განმარტებული, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კასატორის განმარტებით, ს. გ.-ას მიმართ წარდგენილი ბრალდება, მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავით გათვალისწინებულ ქმედებას მოიაზრებს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ გულისხმობს ოჯახში ძალადობას, ხოლო 381¹ შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას, ამასვე კოდექსის 11¹ მუხლი კი ოჯახური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებულობა. შესაბამისად, ს. გ.-ას მიმართ წარდგენილი ბრალდება ორივე მუხლის ფარგლებში თვისობრივად ოჯახურ დანაშაულს წარმოადგენს.

კასატორი, ასევე, მიუთითებს მსგავსი კატეგორიის საქმეზე სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2017 წლის 11 მაისის №33-90-2017 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ მსგავს შემთხვევაში, არ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი ისეთი გარემოება, რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძველები.

კასატორი, ასევე, სადავოდ ხდის მორალური ზიანის სახით 1 000 ლარით ოდენობის განსაზღვრას. მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია. დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც იგი ითხოვს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა მთლიანად სასამართლოს პრეროგატივაა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას აუცილებელია შეფასდეს, როგორც კონკრეტული პიროვნება და მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობი-

ექტური გარემოებები. ამ კუთხით, კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-890(კ-19) განვითარებულ მსჯელობაზე, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში (საქმე №ბს-20(კ-21)) ასახულ განმარტებაზე.

ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით დადგენილ, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, კასატორი შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს მორალური ზიანის სახით 1 000 ლარის დაკისრებას, რამდენადაც აღნიშნული არ გამომდინარეობს სამართლიანი და გონივრული ანაზღაურების კრიტერიუმებიდან.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის სახით ადვოკატის ხარჯის – 4 000 ლარის დაკისრებას, კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2020 წლის 29 სექტემბრით დათარიღებული ხელშეკრულება, ერთი მხრივ, მოსარჩელეს, ხოლო, მეორე მხრივ, დ. ლ-ასა და თ. ა-ას შორის იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე. ხელშეკრულების მე-6 პუნქტის თანახმად, საადვოკატო მომსახურება არის ფასიანი და შეადგენს 5 000 ლარს, საიდანაც საზღაური ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 4 000 ლარი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 1 000 ლარი.

კასატორის მითითებით, სასამართლომ იხელმძღვანელა აღნიშნული ჩანაწერით და მიიჩნია, რომ 4 000 ლარი წარმოადგენდა ასანაზღაურებელ საადვოკატო მომსახურების თანხას. პირველ რიგში, კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების საგანია თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაცვა ხორციელდებოდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ერთი ბრალდების ფარგლებში, რომელშიც პირი დამნაშავედ არის ცნობილი. შესაბამისად, საზღაურის დაყოფა მუხლების მიხედვით, მით უფრო ერთი და იმავე კატეგორიის (ნაკლებად მძიმე დანაშაული) დანაშაულისათვის, არ აკმაყოფილებს გონივრულობის სტან-

დარტს და არ იწვევს სანდოობას.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა აღნიშნულ გარემოებას და უსაფუძვლოდ დააკისრა მოპასუხეს 4 000 ლარის ოდენობით საადვოკატო მომსახურების თანხა. ამასთან, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ ს. გ-ამ 2020 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თ. ა-ს და დ. ლ-ას გადაუხადა საადვოკატო მომსახურების თანხა, რამდენადაც, საქმის მასალებით ადვოკატებისათვის თანხის გადახდა არ დასტურდება.

ამასთან, კასატორი მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამდენად, კასატორი თვლის, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე განხორციელებული მოქმედებები, მათ შორის, ადვოკატის აყვანა წარმოადგენს პირის (ბრალდებულის) უფლებას და ამ უფლებით სარგებლობა არ შეიძლება დევნის განმახორციელებელი ორგანოს – პროკურატურის მიერ მიყენებულ მატერიალურ ზიანად იქნეს აღქმული.

კასატორი მიიჩნევს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებებს, რომლითაც დადასტურდება ზიანის არსებობა, ზიანის გამომწვევი გარემოებები და განისაზღვრება მიყენებული ზიანის ოდენობა. მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე მითითება, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რომ დადგინდეს ბრალდების გამო მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მატერიალური ზიანის სახით 4 000 ლარის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია და მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლიანობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 22 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. გ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მიუთითებულ ნორმაში (ძველი რედაქციით 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) „საუბარია, ზოგადად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ მიყენებულ ზიანზე. ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართვე-

ლოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა განამტკიცებს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას. საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამდგენი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმა მიემართება უკანონო ქმედების შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევებს და ანაზღაურების ფარგლებსაც სწორედ ამ პირობებით ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის კონსტრუქცია და მისი შინაარსი, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების მოთხოვნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, არსებითია დადასტურებულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით (207-208-ე მუხლები) გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დამდგენი საკანონმდებლო მოწესრიგება სრულად ასახავს კანონმდებლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) გამოხატულ სულისკვეთებას. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში

დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძველების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისა ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთ გარემოებას განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენის არსებობა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უკანონო ბრალდების/მსჯავრდების და ზოგადად, უკანონო საპროცესო მოქმედებებისა თუ გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს ქმნის, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დარღვეული უფ-

ლების აღდგენა შესაძლებელია როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, ასევე უფლების სხვაგვარი რეალიზაციით, თუ პირველი, დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, შეუძლებელია. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსზე იმ კუთხით, რომ იგი მიუთითებს ზიანის ანაზღაურებისთვის შესაბამის სამოქალაქო/ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე. ასეთ წესს კი განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი. გარდა ზემოაღნიშნული საფუძვლები-სა, კანონმდებლობა ითვალისწინებს უკანონო დაკავებისა თუ პატიმრობის შემთხვევაში, უფლების აღდგენის წესს კონკრეტული საშუალებებით, კერძოდ, ფულადი კომპენსაციის სახით. ის, რომ უფლების რეალიზაციის დასახელებული საშუალება ქმედითია, დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, რაც ვლინდება საერთო სასამართლოების მიერ და საკუთრივ უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტიანი, ქმედითი შესაძლებლობა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი), სანააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის და მისი უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან (პრაქტიკის თვალსაზრისით იხ. №ბზ-485-474(2კ-14), 2015 წლის 4 ივნისი). ხაზგასასმელია, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაცია სისხლის სამართლის პროცესში არის იმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნასა თუ პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში კი, ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი პირის თავისუფლების შესახებ დასაბუთებული გადანყვეტილებაა, რომელიც ადასტურებს პირის მიმართ განხორციელებული დაკავების უკანონობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივ-

ნისის №1/4/1464 გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ ხაინდრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი გულისხმობს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების შედეგად პირისათვის მიყენებული როგორც მატერიალური, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობას. ამასთან, მატერიალური ზიანი მოიაზრებს პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში საკუთარი უფლებების სათანადო დაცვის მიზნით გაღებულ დანახარჯს, ასევე, ნებისმიერ ქონებრივ დანაკლისს, რომელიც მხარემ უკანონო სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგად განიცადა.

რაც შეეხება მორალურ ზიანს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ისეთ ობიექტს, რომლის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ხელშეუხებლობა) ხელყოფის ფაქტი... პირისათვის ბრალის წარდგენა, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, გამატყუნებელი განაჩენის გამოტანა დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესულ მდგომარეობასთან, რეპუტაციის შელახვასთან. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით... სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას (სუს №ბს-972-963(3კ-08) 08.04.2009წ. გადაწყვეტილება). მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბი-

ექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

ამავე განჩინებაში საკასაციო პალატამ, ასევე, განმარტა, რომ „მართალია პირის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაკავშირებულია ნეგატიურ განცდებთან და უქმნის პირს დისკომფორტს, თუმცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მყოფი პირი, გონივრულ ფარგლებში, ვალდებულია ითმინოს ამ პროცესის ნეგატიური შედეგები... საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამონეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამონეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით (გენერალური დელიქტი), რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციალურ წესს, რომელთან დაკავშირებითაც, ცხადია, ვრცელდება ამავე კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. გამონაკლისია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იძლევა მიყენებული ზიანის სახელმწიფოს ბრალისაგან დამოუკიდებლად ანაზღაურების შესაძლებლობას. თუმცა, აქვე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის დადასტურებასთან ერთად, არსებითია სახეზე იყოს მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს

უზენაესი სასამართლოს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს..“ (იხ. მაგ., სუს 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 დეკემბრის განაჩენით (№1/4583-20 საქმეზე) ს. გ-ა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (2020 წლის 10 სექტემბრის ეპიზოდი) ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. ს. გ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (სისტემატური შეურაცხყოფის ეპიზოდი), ასევე, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ს. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ოდენობით. ამასთან, ს. გ-ას დანიშნული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 240 (ორას ორმოცი) საათის ვადით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე (მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით 2020 წლის 23 სექტემბრიდან – 29 დეკემბრის ჩათვლით), ჩაეთვალა მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ს. გ-ას ბრალი წარედგინა როგორც ძალადობის (სსკ-ის 126¹ მუხლი) ჩადენის, ასევე, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის (სსკ-ის 11¹, 381¹ მუხლი) გამო. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელე გამართლდა ძალადობის ორივე ეპიზოდში, ამასთან, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. როგორც წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მოწმობს, საქართველოს გენერალური პროკურატურა მოსარჩელეს გამართლებულად არ მიიჩნევს, რამდენადაც მოპასუხის შეფასებით, წარდგენილი ბრალდებიდან მხოლოდ ნაწილობრივი გამართლება არ ქმნის პირის გამართლებულად მიჩნევის საფუძველს. კასატორი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის

29 დეკემბრის განაჩენზე (საქმე № 1/4583-20) და აღნიშნავს, რომ ს. გ. ას სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ არ განუმარტა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობისათვის გადაწყვეტია სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატა, უპირველესად, დგას ს. გ. ას მიმართ ასეთი გარემოების არსებობა-არარსებობის განსაზღვრის საჭიროების წინაშე, კერძოდ, შესაფასებელია, პირის ნაწილობრივი გამართლება წარმოშობს თუ არა მის მიერ უკანონო ბრალდების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-14 ნაწილზე, რომლითაც განაჩენი განმარტებულია, როგორც პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას. ამავე კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი (პირველი ნაწილი). სასამართლოს განაჩენი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში – გამამართლებელი (მე-2 ნაწილი). ამავე კოდექსის 270-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. ამას-

თან, ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან ამავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბრალდების რომელიმე ეპიზოდში გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ადასტურებს ამ ნაწილში პირის უდანაშაულობას, რაც, ზოგადი წესის თანახმად, ქმნის აღნიშნულ ეპიზოდში პირის გამართლებულად მიჩნევის საფუძველს. თუმცა, საგულისხმოა, რომ ნაწილობრივი გამართლებისაგან განსხვავებით, სრულად გამამართლებელი განაჩენის მარეაბილიტირებელ გარემოებად კვალიფიცირება განპირობებულია სწორედ იმ ფაქტორით, რომ ასეთ პირობებში დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული საპროცესო ღონისძიებების უსაფუძვლობა, რამაც შედეგობრივად ბრალდებულში ნეგატიური განცდებისა და სტრესული მდგომარეობის წარმოშობა, მისი საქმიანი რეპუტაციის, ღირსებისა თუ პატივის შელახვა გამოიწვია. სისხლისსამართლებრივი გაგებით პირის ნაწილობრივი გამართლება ავტომატურად არ წარმოშობს ამ ნაწილში მისი რეაბილიტაციის თვითკმარ საფუძველს, რამდენადაც ასეთ პირობებში, გამოსარკვევია, ბრალდების მხარის მიერ განხორციელებული საპროცესო ღონისძიებები მიმართული იყო უშუალოდ ბრალდების რომელიმე კონკრეტული ეპიზოდის მიმართ თუ იგი საერთო იყო ბრალდების მთლიანი ფორმულირებისათვის, ასევე, ბრალდების ის ეპიზოდი, რომელშიც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი, საკმარისი იყო თუ არა პირის მიმართ კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის. ამასთან, რეაბილიტაციის წინაპირობების არსებობის ჭრილში, ნიშანდობლივია უშუალოდ ბრალდების ფორმულირებაც, კერძოდ, რა კონკრეტული დანაშაულების ჩადენაში ედება პირს ბრალი და რა ურთიერთმართება არსებობს ბრალდებით მოცული დანაშაულის შემადგენლობებს შორის.

მეტი სიცხადისათვის, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მიმოიხილოს ჰიპოთეტური შემთხვევა. მაგალითისათვის, პირს ბრალი ედება ორი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლიდანაც ერთ-ერთი მათგანისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია, სხვა სასჯელებთან ერთად, თავისუფლების აღკვეთაც, ხოლო მეორისათვის – არა. ასეთ შემთხვევაში, დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, დამოუკიდებლად არ ქმნის ბრალდებულის დაკავებისა და მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი ადგენს პირის დაკავების საფუძვლებს.

მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სხვა წინაპირობების დადასტურების აუცილებლობის პარალელურად, პირის დაკავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 198-ე და 205-ე მუხლების ერთობლიობით, ანალოგიური პირობა ვრცელდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც დაკავებულ პირს (რომლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა) წაყენებული აქვს ბრალი ორი დანაშაულის ჩადენისათვის და სასამართლო განაჩენით იგი დამნაშავედ არის ცნობილი ბრალდების მხოლოდ იმ ეპიზოდში, რომელი დანაშაულის ჩადენისთვისაც მას სასჯელის სახით ვერ შეეფარებოდა თავისუფლების აღკვეთა, ბრალდების მხარის მიერ პირის დაკავებას და შემდგომში მისთვის პატიმრობის შეფარდებას ეცლება სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც სავარაუდო ორი ეპიზოდიდან პირი გამართლდა ბრალდების იმ ნაწილში, რომელმაც ბრალის წარდგენის ეტაპზე შექმნა მისი დაკავებისა და მოგვიანებით მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, რომ არა აღნიშნული ბრალდება, პირის მიმართ ვერ განხორციელდებოდა ზემოაღნიშნული საპროცესო ღონისძიებები. საკასაციო პალატა თვლის, რომ ასეთ შემთხვევებში, პირის ნაწილობრივი გამართლება იძლევა მისი რეაბილიტაციის საფუძველს, რამდენადაც ბრალდებულის მიმართ გატარებული კონკრეტული საპროცესო მოქმედება ებმის ბრალდების იმ ეპიზოდს, რომელშიც პირი გამართლდა, და გამომდინარეობს მისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ ამგვარი ბრალის წარდგენისაგან დამოუკიდებლად, ბრალდების მხარეს არ ექნებოდა კონკრეტული საპროცესო მოქმედების/ღონისძიების განხორციელების თუ სასამართლოს წინაშე მისი გამოყენების ინიცირების შესაძლებლობა.

რაც შეეხება დანაშაულთა შორის ურთიერთმიმართების დადგენის საჭიროებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსით განსხვავებული კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის პირისათვის ერთიანი ბრალის წაყენება ბრალდებულში იწვევს ერთმანეთისაგან განცალკევებულად წარმოშობადი განცდების გაჩენას, მისი საქმიანი რეპუტაციისა თუ ღირსების და პატივის ორი ურთიერთდამოუკიდებელი საფუძველით შელახვას, რამეთუ ბრალდებულს უწევს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მანძილზე ორი სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის სტატუსით არსებობა. ასეთ პირობებში, წარდგენილი ბრალდების რომელიმე ნაწილში პირის ნაწილობრივი გამართლება შესაძლოა წარმოშობდეს პირის რეაბილიტაციის საფუძველს და შესაბა-

მისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაშინ, როდესაც იგი გამართლებულია ბრალდებით მოცულ სხვა დანაშაულებთან შედარებით მძიმე დანაშაულის ეპიზოდში. ასეთ შემთხვევაში, მორალური ზიანის ქრილში, მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის უკანონო ბრალდებით გამოწვეული ფსიქო-ემოციური ზემოქმედება ფარავს ამავე ბრალდების ფარგლებში წარდგენილი შედარებით მსუბუქი დანაშაულით გამოწვეულ მორალურ განცდებს.

განსხვავებულია შემთხვევა, როდესაც ბრალდების ფორმულირება მიემართება რამდენიმე, თუმცა თვისობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ დანაშაულს, რა დროსაც მართალია, პირისათვის წაყენებული ბრალი ეხმიანება ორი ან მეტი დანაშაულის ქმედების შემადგენლობას, თუმცა დანაშაულთა არსის გათვალისწინებით, ქმედებები ერთგვაროვან, თვისობრივად ერთმანეთის მსგავს დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ასეთ დროს, დანაშაულთა არსობრივი მსგავსება შინა-არსობრივად ერთ ქუდექვმ აქცევს პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. გ-ას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლითა (ოჯახში ძალადობა) და ამავე კოდექსის 11¹, 381¹ (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ორივე დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით შესაძლო სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორივე ქმედება იძლეოდა ს. გ-ას დაკავების და მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობას.

ამავდროულად, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლზე, რომლის მიხედვით, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. ამავე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 126¹, 137-ე-139-ე, 141-ე, 143-ე და 144-ე-144³ მუხლებით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული

არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ კოდექსის 126¹ მუხლით ან რომელიმე სხვა ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენა.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ს. გ.-ასათვის წარდგენილი ბრალდება ორივე ნაწილში განეკუთვნება ოჯახურ დანაშაულთა კატეგორიას. შესაბამისად, სახეზეა თვისობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენაში ბრალდების შემთხვევა, რომლიდანაც პირი მსჯავრდებულად იქნა ცნობილი მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 381¹ (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. შესაბამისად, ს. გ.-ას ეპიზოდური გამართლება არ უნდა იქნეს აღქმული ფორმალურად, ბრალდების შინაარსობრივი დატვირთვისაგან დამოუკიდებლად, რამდენადაც მხოლოდ ბრალდების კონკრეტულ ნაწილში გამართლებას იმთავითვე არ გამოუწვევია მის მიმართ გატარებული სისხლის სამართლებრივი საპროცესო ღონისძიებების უსაფუძვლობისა და შესაბამისად, უკანონობის დადასტურება. ს. გ.-ას მიერ ჩადენილ დანაშაულთათვის გათვალისწინებული სასჯელების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებობდა ს. გ.-ას როგორც დაკავების, ასევე, მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სათანადო სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, დანაშაულთა თვისობრივი ურთიერთკავშირის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო კონკრეტულად ს. გ.-ას შემთხვევასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ნაწილობრივი გამართლების მიუხედავად, იგი საბოლოოდ დამნაშავედ იქნა მიჩნეული ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის. უშუალოდ მოსარჩელის შემთხვევასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებიდან და რეაბილიტაციის საფუძვლებიდან გამომდინარე, არსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილი ბრალის პირობებში, ბრალდების მხოლოდ ერთ კონკრეტულ ეპიზოდში ს. გ.-ას გამართლება არ უნდა იქნეს გაგებული ვინაიდან და ფორმალურად. ასეთ დროს, მიუხედავად კონკრეტულ ეპიზოდში მისი გამართლებისა და სისხლის სამართლის მატერიალური ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის დაუდასტურებლობისა, იგი სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებულია იმავე ბრალდების ფარგლებში არსობრივად ანალოგიური დანაშაულის ჩადენაში, რაც გამორიცხავს ამგვარ პირობებში ს. გ.-ას რეაბილიტაციის

შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ს. გ-ას, როგორც ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირს, ოჯახში ძალადობის ნაწილში ნაწილობრივი გამართლებით არ წარმოშობია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რეაბილიტაციის – უკანონო ბრალდებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რამდენადაც სახეზე არ არის მარეაბილიტირებელი გარემოება – ნაწილობრივ გამამართლებელი იმგვარი განაჩენი, რომელიც დაადასტურებდა მის მიმართ განხორციელებული საპროცესო ღონისძიებების უკანონობას/უსაფუძვლობას.

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობით დადასტურდა მარეაბილიტირებელი გარემოების და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობის არარსებობა, აღარ დგას მორალური და მატერიალური ზიანის ოდენობის თუ ზიანის ანაზღაურების სხვა თავისებურებათა დამატებით განსაზღვრა-განხილვის საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. გ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი

მორალური ზიანის ოდენობის შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1077(კ-23)

10 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. კ-ამ 2021 წლის 06 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 12 700 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელის მითითებით, ჯ. კ-ა 127 დღის განმავლობაში იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, რის შედეგად მიაღდა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, ამასთან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამართლებელი განაჩენი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 07 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას ჯ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

სასამართლოს მითითებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის

ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ აღძვრა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს პირისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქ-

ტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობასა ან შეზღუდვაში. ამასთან, მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის პერიოდი. ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

პალატამ მიუთითა, რომ გამამართლებელი განაჩენი წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის იურიდიულ საფუძველს, ვინაიდან, უტყუარად დასტურდება წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობა და პირის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის არამართზომიერება. ამდენად, სახეზეა ჯ. კ.-ას მარეაბილიტირებელი გარემოება და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის არსებობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ უკანონო ბრალდებითა და მსჯავრდებით, მიუხედავად ზიანის მიმცენებლის ბრალისა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს დანაშაული არ ჩაუდენია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, ქმედების უკანონობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევის დადგენით, გა-

მართლებულ პირს უნდა მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა. მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, უფლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის, საკმარისობის კუთხით, წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, პირს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეეძლო აღედგინა დარღვეული უფლებები. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრას, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე – „მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები“ (სუსგ 2017 წლის 30 ნოემბრის საქმე №ბს-509-506(2კ-17)).

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ჯ. კ.-ასათვის წაყენებული ბრალდების, პატიმრობაში ყოფნისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 4000 ლარის დაკისრება მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილზე და განმარტავს, რომ პირს ზიანი უნდა მიაღდგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით, ამასთან მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს-ზიანს შორის. ასევე მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს. შესაბამისად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ვინმეს მხრიდან განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით ზიანის მიყენებად. კასატორის მითითებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს კომპეტენციაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

მორალური ზიანის სახით მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 4 000 ლარის დაკისრებას კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვისას სასამართლომ გარდა მოსარჩელის განმარტებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკა, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ანალოგიურ საქმეებზე.

კასატორი მიუთითებს ევროსასამართლოს და საქართველოს საერთო სასამართლოების სხვადასხვა პრაქტიკაზე, რომელთა მიხედვით, სხვადასხვა შემთხვევაში მხარეებს მიენიჭათ სხვადასხვა ოდენობის

კომპენსაცია (მაგ. „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „კასრაძე საქართველოს წინააღმდეგ“, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის №3/4965-17 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხვადასხვა გადაწყვეტილება, სუსგ 2014 წლის 10 აპრილის საქმე №ბს-648-623(3კ-13), 2009 წლის 8 აპრილის საქმე №ბს-972-936(3კ-08) და სხვ.).

კასატორის ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის (საქმე №3/3/601) გადაწყვეტილებაში მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციაზე: „ბრალდებაში პირის გამართლება თავისთავად არ გულისხმობს აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული პატიმრობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არამართლზომიერებას ან მის უკანონო ხასიათს. ამასთანავე, გამამართლებელი განაჩენი ვერ გააბათილებს ყველა იმ მოქმედებას, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო პროცესის განმავლობაში განხორციელდა. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, თითოეულ დასახელებულ საპროცესო მოქმედებას გააჩნია გამოყენებისა და შეფარდების დამოუკიდებელი, კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და შესაბამისი გარემოებების არსებობისას ითვლება კანონიერად“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 აპრილის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 აპრილის განჩინებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი სარჩელი ეფუძნება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, რაც გამოწვეულია მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობით (სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანით).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯ. კ.-ას ბრალად დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არაერთგზის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის განაჩენით ჯ. კ.-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში; ჯ. კ.-ას მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან; ჯ. კ.-ას განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელი: ჯ. კ.-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში; ჯ. კ.-ას მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა; ჯ. კ.-ას განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის განჩინებით ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2022 წლის 23 ივნისის №185824/20 ცნობით დასტურდება, რომ №2 პენიტენციური დაწესებულების ბრალდებული ჯ. ნ.-ის ძე კ.-ა პატიმრობაში იმყოფებოდა 2019 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 14 ნოემბრამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქარ-

თველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალუ-

რი, ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი, თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც მოქმედი კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხ.) არის გათვალისწინებული (სუსგ 2015 წლის 4 ივნისის საქმე №ბს-485-474(2კ-14)). მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს შეადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრება.

პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (**Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia**). მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 2009 წლის 8 აპრილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთ გარემოებას განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენის არსებობა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონ-

ვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულია თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, ალკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და მოსარჩელე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს, რის გამოც საკასაციო სასამართლო იზიარებს განსახილველ შემთხვევაში ჯ. კ-ას სასარგებლოდ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მართლზომიერებას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, რამეთუ ეს საკითხი სრულებით სასამართლო მსჯელობის საგანია. მორალური (არაქონებრივი) ზიანი პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში ვლინდება, რომელსაც იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის. ამიტომ, მისი მოცულობის განსაზღვრა ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ მდგომას საჭიროებს. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეში განმარტა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო და ყოფითი მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, საპატიმროში გატარებული დრო და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორა-

ლური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (იხ. სუსგ 2024 წლის 24 ივლისის საქმე №ბს-1277(2კ-23)).

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ კომპენსაციის ოდენობის დადგენისას გასათვალისწინებელია ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის პირის პატიმრობის ხანგრძლივობა (Vasilevskiy and Bogdanov v. Russia, 2018, §23). მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობა სასამართლოს მიხედულებით წყდება, რომელსაც გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით განსაზღვრავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია და მორალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს უფლებების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და რეალობასთან შეუსაბამო. იგი უნდა განისაზღვროს გონივრულად და სამართლიანად (იხ. სუსგ 2022 წლის 03 მაისის საქმე №ბს-705(კ-21)).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებით რთულია ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხება პირად განცდებს. არ არსებობს სტანდარტი, რომლითაც ტკივილი, ტანჯვა, ფიზიკური დისკომფორტი და ფსიქოლოგიურ სტრესი, ფულადი თანხის ოდენობით შეფასდება (იხ. სუსგ 2024 წლის 18 სექტემბრის საქმე №ბს-61(2კ-24)). ამ პირობებში, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის (4 თვე და 4 დღე), საბოლოოდ მოსარჩელის უდანაშაულოდ ცნო-

ბისა და იმ განცდების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს უკანონო მსჯავრდებას, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა – 4 000 ლარი – მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნებისთვის არაპროპორციულია და იგი უნდა შემცირდეს 2 000 ლარამდე ოდენობით. აღნიშნული თანხის (2 000 ლარი) მოპასუხისთვის დაკისრება, თავის მხრივ, მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

რაც შეეხება მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. ამასთანავე, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყველა საქმეზე თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, განსახილველი დავის ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ჯ. კ.-ას

სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 2 000 (ორი ათასი) ლარის ანაზღაურება;

4. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა

გადანყვანილობა საქართველოს სახელით

№ბს-581(კ-24)

24 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 18 ოქტომბერს გ. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2019 წლის 27 მაისს დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის მე-... განყოფილების თანამშრომლებმა. მისი დაკავების საფუძველი გახდა იმავე წლის 26 მაისს გამოძიების დაწყება სისხლის სამართლის საქმეზე მისი მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე. ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოსარჩელე თავის ნებით გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, ის არსად არ მიმალულა. შესაბამისად, გ. ქ-ას მიმალვის საფრთხე არც მომავალში არსებობდა. საქმეში არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომელიც გაამართლებდა ამ საფრთხეებს. დაკავების შემდეგ გ. ქ-ა მოათავსეს დროებითი დაკავების

იზოლატორში. 2019 წლის 29 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ. ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო 3000 ლარი. ამასთან, მოსარჩელის დაკავება მიჩნეულ იქნა უკანონოდ და იგი გათავისუფლდა. უკანონო დაკავებას შედეგად მოჰყვა გ. ქ-ას დათხოვნა სამხედრო სამსახურში დაკავებული თანამდებობიდან. სამსახურისა და სახელფასო ანაზღაურების დაკარგვამ მოსარჩელეს მორალური ზიანი მიაყენა.

სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხეებისთვის გ. ქ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 20 000 ლარის, სოლიდარულად ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის სახით – 8500 (რვა ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება; გ. ქ-ას მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში გ. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შსს ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების უფროსი გამომძიებლის მიერ შედგა ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, რომლის თანახმად, 2019 წლის 27 მაისს, 15:42 წუთზე, ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გ. ქ-ა (დაბ: ... წლისს, პ/ნ...) საქართველოს სისხლის სამარ-

თლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტზე. საპროცესო იძულების ღონისძიება – დაკავების კანონიერების თაობაზე თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორმა 2019 წლის 27 მაისის შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. 2019 წლის 29 მაისს, გ.ქ-ას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. 2019 წლის 29 მაისს, თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ გ.ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 29 მაისის განჩინებით თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულ გ.ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ბრალდებულ გ.ქ-ას მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება – დაკავება გაუქმდა და ბრალდებული გათავისუფლდა დაკავებიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ბრალდებულ გ.ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო; გირაოს თანხად განისაზღვრა 3000 ლარი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 30 ივნისის განაჩენით გ.ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. მსჯავრდებულ გ.ქ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან და მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2019 წლის 27 მაისიდან 2019 წლის 29 მაისის ჩათვლით; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 30 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენი; გ.ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგენილ ბრალდებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის ...ის რაიონული პროკურორის საკასაციო საჩივარი. სპეციალური პენი-

ტენციური სამსახურის 2022 წლის 11 მარტის ცნობის თანახმად, გ. ქ-ა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებოდა 2021 წლის 22 ივნისიდან 2022 წლის 11 მარტამდე. გათავისუფლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის განაჩენის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 9 აგვისტოს №MOD 3 21 00003643 ბრძანების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ...ის დეპარტამენტის მე-... სამმართველოს მე-... განყოფილების სპეციალისტი, კაპრალ სპეციალისტი გ. ქ-ა, 2019 წლის 30 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის 7 ოქტომბრის №MOD 8 21 01035895 წერილის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროში გ. ქ-ას დარიცხული შრომითი ანაზღაურება მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერებამდე შეადგენდა 1 376,40 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მოსარჩელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, სასამართლოს ეს აქტი, მისი არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას, ანუ მის რეაბილიტაციას. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია აღიდგინოს დარღვეული უფლებები. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, რომელსაც გამამართლებელი განაჩენით შეეზღუდა უფლებები, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს მისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს გენერალური პროკურატურის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს მისთვის მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი და განმარტა, რომ მართალია, პროკურატურა, როგორც საგამოძიებო ორგანო, წინასწარ ვერ განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი საქმის შედეგს და მის მი-

ერ ბრალის წარდგენა, არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, ვინაიდან, მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპენეტენციას, მაგრამ ინდივიდს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის, მიუხედავად სახელმწიფო მოხელეთა ბრალეულობისა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებით სასამართლოს მიერ არამატერიალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია: დამდგარი ზიანის სიმძიმე, შელახული უფლების მნიშვნელობა, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, საპატიმრო დაწესებულებაში პირის ყოფნის დრო და სხვა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატა მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა გ.ქ-ასთვის წაყენებული ბრალდების გათვალისწინებით, მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა და მოპასუხისათვის 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარის დაკისრება მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია, ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ზე მუხლსა და 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლსა და ამავე კოდექსის 1005-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონისმიერი წინაპირობების ერთობლიობა ზიანის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის სახით. შესაბამისად, კასატორის აზრით, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, კასატორი მსგავსი კატეგორიის საქმეებ-

ზე მითითებით მორალური ზიანის ოდენობას მეტისმეტად გადაჭარბებულად მიიჩნევს. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, გ.ქ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 8500 ლარის დაკისრება არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 3 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ.ქ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად მორალური ზიანის სახით 20 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ.ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ.ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის სახით – 8500 (რვა ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება; გ.ქ-ას მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში გ.ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფი-

ფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. გ. ქ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრებულია მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ. ამდენად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში 8500 ლარის დაკისრების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო, მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს განსაზღვრავს მითითებული კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება

სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ამრიგად, ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და იწვევდეს პირისთვის ზიანის მიყენებას. დამდგარ შედეგსა და უკანონო ქმედებას შორის კი უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმარტებული პირის ბრალეულობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. კერძოდ, პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ზემოაღნიშნული ნორმის მიზანია დაზარალებულის დაცვა და გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანით გამოწვეული ნეგატიური შედეგების კომპენსირება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2019 წლის 27 მაისს შსს ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების მიერ შედგა ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, რომლის თანახმად, 2019 წლის 27 მაისს, ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გ. ქ-ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტზე. საპროცესო იძულების ღონისძიება – დაკავების კანონიერების თაობაზე თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორმა 2019 წლის 27 მაისის შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. 2019 წლის 29 მაისს, გ.ქ-ას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

დადგენილია, რომ თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორმა 2019 წლის 29 მაისის შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ გ. ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 29 მაისის განჩინებით თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულ გ. ქ-ას მიმართ აღკვეთის ღო-

ნისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ბრალდებულ გ. ქ-ას მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება – დაკავება გაუქმდა და ბრალდებული გათავისუფლდა დაკავებიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ბრალდებულ გ. ქ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო; გირაოს თანხად განისაზღვრა 3000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 30 ივნისის განაჩენით გ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის, „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. მსჯავრდებულ გ. ქ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან და მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2019 წლის 27 მაისიდან 2019 წლის 29 მაისის ჩათვლით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 30 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენი; გ. ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის, „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის ...ის რაიონული პროკურორის საკასაციო საჩივარი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 11 მარტის ცნობის თანახმად, გ. ქ-ა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებოდა 2021 წლის 22 ივნისიდან 2022 წლის 11 მარტამდე. გათავისუფლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის განაჩენის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ გ. ქ-ას მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე სახეზეა მოსარჩელის მარეაბილიტირებელი გარემოება, ვინაიდან უტყუარად დადასტურდა ბრალდების უსაფუძვლობა და პირის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის არამართლზომიერება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის არსებობს ზიანის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრების საფუძველი, რომელიც გამოწვეულია ბრალდების მხარის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹

მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით საფუძველზე წარდგენილი უკანონო ბრალდებით. მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან, ხოლო ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა ინვესტერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება საქართველოს გენერალური პროკურორატურის მოსაზრებას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეაბილიტირებული პირის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა თანამდებობის პირის ბრალის მიუხედავად, როგორც ეს პირდაპირაა გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციით. პირის რეაბილიტაციის უმთავრეს იურიდიულ საფუძველს გამამართლებელი განაჩენი წარმოადგენს, რომელიც მის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს – გ. ქ.-ას დაზუსტებული სარჩელით მატერიალური ზიანი არ მოუთხოვია, იგი მხოლოდ მორალურ ზიანს ითხოვდა.

მიყენებული მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებით სასამართლოს მიერ არამატერიალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია: დამდგარი ზიანის სიმძიმე, შელახული უფლების მნიშვნელობა, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, საპატიმრო დაწესებულებაში პირის ყოფნის დრო და სხვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებით სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (*Patsuria v. Georgia*; *Nikolaishvili v. Georgia*; *Jashi v. Georgia*). მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატი-

ური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 2009 წლის 8 აპრილი).

მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოება თავისთავად დაკავშირებულია ნეგატიურ ემოციებთან, მძიმე ფსიქიკურ განცდებთან, სულიერ ტანჯვასთან და ა.შ. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნა გაგრძელდა 9 თვემდე (2019 წლის 27 მაისიდან – 29 მაისამდე და 2021 წლის 22 ივნისიდან – 2022 წლის 11 მარტამდე). მხედველობაშია მისაღები იმ პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელემ დამნაშავის სტატუსით იცხოვრა, ვინაიდან გამამტყუნებელი განაჩენიდან რეაბილიტაციამდე გასულია რამდენიმე თვე. საკასაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მორალური ზიანის სახით 8500 ლარის ანაზღაურების დაკისრება არაპროპორციულია და არ ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით არ იკვეთება მოსარჩელის უფლებებში ჩარევის იმგვარი ინტენსივობა, რაც გაამართლებდა მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის ოდენობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის სახით 8500 ლარის დაკისრება ერთმნიშვნელოვნად არაა თანხვედრაში საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რის გამოც იგი შეუსაბამოდ მაღალი ოდენობაა და ექვემდებარება შემცირებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადანყვეტილების მიღების საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება; გ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილ-

დეს ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს გადამწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge